ვაჟიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 ივნისი ორშაბათი 2011
№ 130 (13427) ფასი 80 თეთრი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

16

საქართველო მესამეა

მსოფლიო ალაფის ლირსეული დასასრული

ხორვატია მორჩა, ფიქრი დარჩა

სპლიტის მაჭრის აქაურ იქაური

...რეალობა ძალიან მწარეა: საქართველოს ნაკრებს ბოლო წლებში ასე სუსტად არ უთამაშია...

...დამთრგუნველია იმის ყურება, როცა მხოლოდ იღბალზე ხარ დამოკიდებული...

...იმ სალამოს ჩვენი ნაკრები ჟულასაც არ იმსახურებდა...

...მხოლოდ დაცვის გაძლიერებით სასურველ შედეგს ვერ მიაღწევ...

...ასეთ გუნდთან ბრძოლას საფრანგეთთან თამაში ჯობია...

...ამ თამაშს დიდხანს შიშით ვუყურებდით - ნეთუ ამ შეზღუდულ გუნდთან მეორედაც უნდა წავაგოთ...

...არაფრით გამორჩეულ გუნდს უდიდესი ნერვებისწყვეტის ფასად მოვუგეთ...

...პონტინენტის საუკეთესო ნაკრებები საქართველოს წვალებას წერტილს ასე გაჭირვებით დაუსვამდნენ?...

2-3,5

ავთანდილ ქრიკიშვილისა და არტემ ვასილენკოს ფინალი

12

სამი ოქრო და გვიდგია ჭიდაობელი ასეული

ბოცხალია

ფედერერი ნადალის ნადავლია

20

მწვრთნელის საქმე მწვრთნელმა იცის, მაგრამ...

ძალიან ხომ არ ჩავსხედით?

დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია

U 21. ინტერვიუ

თორნიკე თარხნიშვილი

მე თამაშამდე ვთქვი, გავიგან-მეთქი

დუგოპოლიეში „ჰრვატსკი ვიტეზოვის“ სტადიონი მე-5 წუთზე დადუმდა, როდესაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელმა ხორვატთა კარი დალაშქრა. მასპინძლები თავს იმშვიდებდნენ, ანგარიშის გათანაბრებისა და გამარჯვების ურყევი რწმენა ჰქონდათ, მაგრამ თორნიკე თარხნიშვილის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი გამოდგა და ქართველმა ახალგაზრდებმა ბალკანეთი თავაწეულებმა დატოვეს.

ქუთაისის „ტორპედოს“ 20 წლის ნახევარმცველს, რომელმაც თამაში შეუცვლელად ჩაატარა, ამ სენსაციურ შეხვედრაზე ველაპარაკეთ.

თორნიკე თარხნიშვილი

- მატჩი ვერ ვნახეთ და, ცხადია, ყველაფერი გვაინტერესებს. უპირველესად, გაიხსენე, როგორ გაიტანე.

- მარცხენა ფლანგზე ბურთი ნიკა ჯიშკარიანმა მიიღო და შეტევა ცენტრისკენ გააგრძელა, ვაკო ყაზაიშვილმა გაატარა და ლევან მჭედლიძეს უნდა დაერტყა, მაგრამ კარგ პოზიციაში ვიყავი და დავუძახე, დამითმე-მეთქი და რაც ძალა მქონდა, 25 მეტრიდან კარში დავარტყი. მეკარე კი გადახტა, მაგრამ მასპინძლებს ვერ უშველა. ტრაბახით არ ვამბობ, მართლა ლამაზი გოლი გამოვიდა. სხვათა შორის, ხორვატიაში ბიჭებს ვეუბნებოდი, გული მიგრძნობს, გავიტან-მეთქი და ასეც მოხდა. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი.

- ისიც იცოდი, შენი გოლი გადამწყვეტი რომ იქნებოდა?

- ამდენი საიდან მეცოდინებოდა. სერიოზულად თუ ვიტყვით, მეხუთე წუთზე ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ჩემი გოლი გადამწყვეტი თუ იქნებოდა. 85 წუთი დიდი დროა, მაგრამ ხორვატებმა ვერაფერი მოგვიხერხეს.

ჩვენ კიდევ რამდენჯერმე შეგვეძლო გატანა. ორჯერ ახლოს იყო მიზანთან მჭედლიძე, მაგრამ ჯერ მცველები ჩაუწვნენ და დარტყმის საშუალება არ მისცეს, მერე კი მეკარემ აუღებელი აუღო. მომენტები სხვებსაც ჰქონდათ. ორჯერ მსაჯმა მასპინძლები დაინდო და პენალტი არ დაგვინიშნა. პირველად კუთხურიდან მოწოდებული ბურთს აფაქიძე კარში თავით აგზავნიდა, მაგრამ ხორვატმა მცველმა ხელით ითამაშა. მეორედაც დაახლოებით ასეთ ვითარებაში გადიოდა გოლი - მსაჯმა ამაზეც დახუჭა თვალები.

- ანუ ყრუ დაცვაში არ ჩამსხდარხართ.

- არა, რა დაცვაში, მოსაგებად ჩავედით და საკმაოდ მწვავედ ვუტევდით. გამარჯვება რეალური რომ იყო, ორთაბრძოლებში გამოჩნდა.

- რას გულისხმობთ?

- ხომ ამბობდნენ, რომ ხორვატები ძალიან ტექნიკურები და ფიზიკურად ძლიერები არიან, მაგრამ ორთაბრძოლების უმრავლესობა მოვუგეთ. ეს პატარა ამბავი არ იყო, ამან გამარჯვების რწმენა შეგვმატა. ეტყობა, ჩვენ მეტი მონდომებითა და ჟინით ვითამაშეთ და შეხვედრაც ლოგიკური შედეგით დასრულდა.

- მატჩისას კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ეს კი უფრო შემტევს აზარალებს. ამჯერადაც ასე მოხდა?

- ვერ ვიტყვი, რადგან წვიმა სწრაფ კონტრშეტევებში ჩვენც არანაკლებ გვიშლიდა ხელს. უკვე ვთქვი, რომ დაცვაში არც ჩავმსხდარვართ, რადგან ასეთ შემთხვევაში ხორვატები მოგვანვებოდნენ და შეტევებისთვის ველარ მოვიცლიდით.

საერთოდ, ჩვენი გუნდი შეკრული და ერთსულოვანია, მოტივაცია ყველას ეტყობა. რა თქმა უნდა, ყველას თავის წარმოჩენა და ჩვენი ხალხის გახარება გვსურდა. ასეთი სულისკვეთება რომ გვქონდა, მწვრთნელების დამსახურებაა, ფეხბურთელებთან ადამიანურად დალაპარაკება და ჩვენი მოტივირება მოახერხეს.

- შეუთამაშებელი ფეხბურთელებით სტუმრად, თანაც ხორვატებთან მოგება წარმოუდგენელი ჩანდა.

- მესმის, რომ ყველას ასე ეგონა.

- ალბათ, ფეხბურთელებსაც.

- ვერ დაგეთანხმებით, მოგება წარმოუდგენლად ნამდვილად არ გვეჩვენებოდა. სხვაგვარად რა აზრი ჰქონდა გამგზავრებას და ათდღიან შეკრებას? თუ არ იბრძოლე, ვერც მოიგებ.

- წარმატებული სტარტი სხვა მეტოქეებთან უფრო თამამად განგაწყობთ.

- რა თქმა უნდა, ძალიან კარგმა დასაწყისმა გაგვამხნევა. სექტემბერში ესპანეთი ჩამოდის და კარგად უნდა მოვემზადოთ. ასეთი მატჩების ღირსეულად ჩატარება ჩვენთვისაც ბევრს ნიშნავს და ქვეყნისთვისაც. ვიმეორებ, თუ ვიომებთ, შანსი ყველაზე ძლიერ მეტოქესთანაც გვექნება. წინასწარ ვიცით, რომ ესპანეთი მსოფლიო ფეხბურთის გრანდია, მაგრამ არანაკლები წარმოდგენა გვქონდა ხორვატიაზეც. ასე რომ, წარმოდგენები არაფერს ნიშნავს, მთავარია, მოედანზე რა განწყობით და მომზადებით გადიხარ.

მერაბ მამულაშვილი

ქართველი ახალგაზრდები ორთაბრძოლებს არ ერიდებოდნენ

სპლიტური მატჩის შემდეგ



თემურ ქეცბაია და სლავენ ბილიჩი მატჩის შემდეგ

დამთრგუნველი სანახაობა

მათემატიკური შემოდგომა

ზედიზედ ორი მარცხი და საქართველოს ნაკრები შესარჩევ ჯგუფში „მყარად“ დამკვიდრდა IV ადგილზე; ფაქტობრივად, ისეთი სიტუაციაა, რომ ამაზე ქვემოთ, ალბათ, აღარც ჩამოვალთ: დარჩენილი სამი შეხვედრიდან ორი სახლში გვაქვს, ერთიც მალტასთან სტუმრად; ანუ, თითქმის გარკვეულია, რომ შესარჩევ ტურნირს ბოლო ან ბოლოსწინა ადგილზე არ დავამთავრებთ, — მსგავსი რამ კი 2002 წლის მერე აღარ მომხდარა; ეგ კი არა, დარჩენილ სამივე მატჩს თუ მოვიგებთ, 18 ქულაც გვექნება — ამ შემთხვევაში კი, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ქვეჯგუფში მეორე ადგილის დაკავების შანსს კიდევ ვინარჩუნებთ! ოღონდ, მხოლოდ საკუთარ თავზე არ ვიქნებით დამოკიდებული — ჩვენმა უშუალო კონკურენტებმა (საბერძნეთმა და ისრაელმა) ქულები აქეთ-იქით ხომ უნდა ანიავონ (წააგონ ან ფრედ დაამთავრონ თავიანთი შეხვედრები), ამას გარდა, თითოეულმა ქართველმა ქომაგმა მხურვალედ უნდა ვუგულშემატკივროთ... ხორვატებსაც! ჰო, ჯგუფში პირველი ადგილი, მოდი, ხორვატებისთვის „გავიმეტოთ“ და ვისურვოთ, რომ **სლავენ ბილიჩის** გუნდს შინ ისრაელი დაემარცხებინოს (6 სექტემბერს), მერე კი სტუმრად - საბერძნეთიც! თუმცა მოვლენების ასეთი განვითარებაც არ იქნება საჩვენოდ „საკმარისი“: მაგალითად, ბერძნებმა ხორვატებთან (შინ!) და საქართველოს ნაკრებთან (სტუმრად) ხომ უნდა წააგონ, სტუმრად ისრაელთან. ფრედ უნდა ითამაშონ და ლატვიას კი, თუგინდ ასტრონომიული ანგარიშით მოუგონ! ამ შემთხვევაში საქართველოს და საბერძნეთის ნაკრებები შესარჩევ ეტაპს 18-18 ქულით დაამთავრებენ, მაგრამ უპირატესობა ჩვენკენ იქნება (ურთიერთშეხვედრების გათვალისწინებით)! ისრაელსაც „რაღაც“ უნდა მოვუხერხოთ: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხორვატებთან აუცილებლად უნდა დამარცხდნენ, შინ ბერძნებთან ფრედ ითამაშონ და ბოლო ტურში, მალტასთან... მოვაგებინოთ! ანუ, ისრაელის ნაკრებმა 17 ქულაზე მეტი არ უნდა მოაგროვოს, თორემ ურთიერთშეხვედრებში გვჯობია...

აი, ასეთი „მათემატიკური შემოდგომა“ გველოდება და ვიდრე ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების თუნდაც თეორიული შანსი გვაქვს, ამისათვის ჩვენმა უპირველესმა გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს; ამ ყველაფერში კი, უპირველეს ყოვლისა, მატჩების მოგებაა საჭირო. თუმცა ისეთი თამაშით, როგორიც საქართველოს ნაკრებმა 3 ივნისს სპლიტში უჩვენა, ვერც ლატვიას დავამარცხებთ, ვერც მალტასა და, აღარაფერს ვამბობთ, საბერძნეთზე: მნარე რეალობაა, მაგრამ ფაქტია: ასე სუსტად საქართველოს ნაკრებს მხოლოდ **თემურ ქეცბაიას** ხელმძღვანელობით კი არა, საერთოდ, ბოლო წლებში არ უთამაშია! რა თქმა უნდა, სასურველი შედეგის მისაღწევად, შესაძლოა, თამაშის სანახაობრივი მხარე დაივიწყო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, დამთრგუნველია იმის ცქერა, როცა მხოლოდ და მხოლოდ... იღბალზე ხარ დამოკიდებული; ჰოდა, როცა აი, ასე (ანუ გაძლებაზე) თამაშობ, მოგებას კი არა, ფრესაც არ უნდა იმსახურებდე...

უსიამოვნო ივნისი

როცა ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარი დამტკიცდა, უპირველეს ყოვლისა, ორი თარიღი არ მოგვეწონა: 29 მარტი და 3 ივნისი. შეგახსენებთ, რომ 29 მარტს ისრაელში ვთამაშობდით - ხორვატებთან საშინაო მატჩიდან... სამი დღის შემდეგ! არადა, უეფას მიერ დადგენილი კალენდრის თანახმად, ისრაელთან სტუმრად 7 ოქტომბერს უნდა გვეთამაშა, მაგრამ ჩვენ ხომ ყველასთან (მათ შორის, მეტოქეებთანაც) დიდსულოვნება უნდა გამოვიჩინოთ და მოწინააღმდეგის თხოვნას „გაგებით მოვეკიდოთ“! ზუტად ასე მოხდა კიდეც ისრაელის ნაკრების შემთხვევაშიც და, ალბათ, ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორი გადაღლილი გამოიყურებოდა ჩვენი გუნდი 29 მარტის შეხვედრაში; თუმცა, გულახდილად ვთქვათ: გასაკვირი ის იქნებოდა, ხორვატებთან უმძიმესი მატჩის მერე ჩვენებს რომ ორ-სამ დღეში ძალების აღდგენა მოესწროთ. თანაც, საქმე მხოლოდ ფიზიკურ დაღლილობაში არ არის - ხორვატებთან საშინაო გამარჯვებას ხომ ჩვენი ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელთა ემოციური „დაცლაც“ ახლდა.

მეორე არასასურველი თარიღი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 3 ივნისი იყო, — ჯერ ერთი, ჯგუფის უპირობო ფავორიტებს ვეთამაშებოდით და გულახდილად რომ ვთქვათ, ზედმეტად ოპტიმისტ ქომაგებს თუ სჯეროდათ ხორვატიასთან სტუმრად წარმატებული ასპარეზობისა; ამას გარდა, სტატისტიკაც აშკარად არასაჩვენო იყო: საქართველოს ნაკრების მონაწილეობით ივნისში ჩატარებული მატჩების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენთვის არასასურველი ანგარიშით მთავრდებოდა! თანაც, მხოლოდ ბოლო წლებს არ ვგულისხმობთ, როცა შინ და გარეთ მოლდოვასა თუ ალბანეთთან ვაგებდით: ასე იყო საქართველოს ნაკრების სადებიუტო მატჩებიდან მოყოლებული და ძალიან ხშირად სწორედ ივნისში ვმარცხდებოდით კიდეც დიდი ანგარიშით (ნიგერიასთან, უნგრეთთან, პოლონეთთან)...

ყოველივე ამას თავისებური ახსნაც ჰქონდა: იშვიათზე იშვიათი შემთხვევა თუ ყოფილა, საქართველოს ნაკრებს ივნისში... ოპტიმალური შემადგენლობით ესპარეზა! უმთავრესი მიზეზი კი, საკლუბო სეზონის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელთა გადაღლაც იყო; ამას წამყვანი ფეხბურთელების ტრავმები თუ დისკვალიფიკაციები ემატებოდა და ხორვატიასთან მატჩამდე ივნისში ჩატარებულ მატჩებში საქართველოს ნაკრების სტატისტიკაც აშკარად არაოპტიმისტურ განწყობაზე გვაყენებდა! აი, სადღეისოდ კი საივნისო სტატისტიკა ასეთია: 14 მატჩი, 3 მოგება, 1 ფრე და 10 წაგება.

» მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპლიტური მატჩის შემდეგ

დავით სირაძე ხორვატიულ მარწუხში

დამთრგუნველი სანახაობა

« მე-2 გვერდიდან

უპასუხო კითხვები

წინა შესარჩევი ციკლი სამარცხვინოდ ჩავატარეთ - არც ერთი მოგება და ჯგუფში ბოლო ადგილი! იმის წინ ბოლოსწინა ადგილზე გავედით, კიდევ იმის წინაც - ბოლოსწინაზე და ასე შემდეგ; ყოველივე ამას შემთხვევით არ ვიხსენებთ: **თემურ ქეცბაიამ** ნაკრები ურთულეს პერიოდში ჩაიბარა და მართლაც დაუნახავი უნდა იყოს კაცი, ჩვენს უპირველეს გუნდში მომხდარ სასიკეთო ძვრებს რომ ვერ ამჩნევდე. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ქეცბაიას ხელმძღვანელობით შეწყვიტა საქართველოს ნაკრებმა ის მართლაც კოშმარული 15-მატჩიანი მოუგებელი სერია. ამას გარდა, ახალი მთავარი მწვრთნელის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, ნაკრების დაკომპლექტებისას სამართლიანობის პრინციპის აღდგენაც იყო; არც ის იყო უმნიშვნელო ფაქტორი, როცა მართლაც მწირი საკადრო რესურსის პირობებში, საქართველოს ნაკრებმა მივიწყებული გამარჯვებების გემო გაგვახსენა და ახლა უკვე სულ სხვა ხასიათის სერიით ვამაყობდით - თითქმის ერთი წლის განმავლობაში წაუგებლად ვასპარეზობდით! რა თქმა უნდა, დროის ასეთ მოკლე პერიოდში საქართველოს ნაკრებს იდეალური ფეხბურთის ჩვენება არ დაუწყია; ანუ, რაღაც ზღაპრულ და ულტრათანამედროვე დონეზე მისვლამდე ჯერ კიდევ ბევრი გვაკლდა, მაგრამ, რაც მთავარია, შედეგი გვქონდა! მართლაც ძალიან ძნელია, სასურველ შედეგსაც მიაღწიო და ამავდროულად სანახაობრივადაც თამაშობდე - ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დღესდღეობით ამას მსოფლიოში ერთადერთი გუნდი ახერხებს. არა, მთლად „ბარსელონას“ მიერ ჩატარებულ საფეხბურთო საოცრებებს არავინ სთხოვდა საქართველოს ნაკრებს, მით უფრო, ჯგუფის უპირობო ფავორიტთან სტუმრად შეხვედრაში; მაგრამ, მოდი, ისიც ვაღიაროთ, რომ ასეთი დათრგუნვილები კარგა ხანია, არ ვყოფილვართ! რა თქმა უნდა, იმის ილუზია არავის ჰქონდა, რომ 2006 წლის 16 აგვისტოს მერე მაინცდამაინც ხორვატიასთან შევძლებდით ოფიციალურ ტურნირებზე პირველი საგარეო გამარჯვების მოპოვებას; ანუ, ფაქტობრივად, შეგუებულიც ვიყავით, რომ საქართველოს ნაკრები აქცენტს საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გააკეთებდა. თუმცა, ასეთი მოლოდინის მიუხედავად, მაინც ზედმეტად ფრთხილი მოგვეჩვენა ჩვენი ნაკრების ტაქტიკური სქემა: მოედანზე, ფაქტობრივად, ექვსი ნომინალური მცველი პლუს ორი თავდაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველი ვიხილეთ. ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, საკადრო პრობლემებმაც თავი იჩინა: მეტოქისაგან განსხვავებით, ერთდროულად ოთხი-ხუთი წამყვანი ფეხბურთელის სრულფასოვნად შეცვლა ნამდვილად ვერ მოხერხდა (ერთადერთი გამონაკლისი, თანაც მეტისმეტად სასიამოვნო, **გიორგი ლორიას** უაღრესად საიმედო და ოსტატური თამაში იყო). ბილიჩსაც სერიოზული თავსატეხი ჰქონდა, თანაც შემტევი სტილის ნახევარმცველები (**რაკიტიჩი, კრანჩარი**) და ფორვარდები (**პეტრიჩი, ოლიჩი**) აკლდა, მაგრამ, „თბილისური ვარიანტი“ აღარ განმეორდა! ისე, მართლაც უცნაურია: თბილისშიც ერთხელ დავარტყით სტუმართა კარში და გოლი გავიტანეთ და იგივე განმეორდა სპლიტშიც! ოღონდ, თბილისური მატჩისგან განსხვავებით, ხორვატებმა არნახული ზეწოლა განახორციელეს და უამრავი შეტევიდან ორი ზუსტი დარტყმითაც დაამთავრეს.

კონკრეტულ მატჩზე შემადგენლობისა თუ ტაქტიკის შერჩევა, მერე უკვე შეხვედრის განმავლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა თუ თამაშის გადაწყობა — ყველაფერი ეს მთავარი მწვრთნელის პრეროგატივაა; რა თქმა უნდა, ქეცბაიამ ჩვენზე უკეთ იცოდა, რომ ხორვატებთან სასურველი შედეგის მისაღწევად დაცვაში მაქსიმალური სიმკაცრით თამაში იყო საჭირო. ალბათ, ამიტომაც გააკეთა არჩევანი თავდაცვით ტაქტიკასა და საკუთარი შანსის დალოდებაზეც და უნდა ითქვას, რომ ქეცბაიას გათვლა ეფექტურიც აღმოჩნდა და ეფექტიანიც: პირველივე შეტევა გოლით დავამთავრეთ! სამწუხაროდ, აი, ამის მერე კი სათქმელი აღარც არაფერია: ხან იღბალი გვწყალობდა, ხან კი გიორგი ლორია თამაშობდა დამაჯერებლად და დიდოსტატურად! ჰო, მართლაც დამთრგუნველი „სანახაობა“ იყო: მეტოქის შეტევებს ბოლო არ უჩანდა, ჩვენ კი ვერაფერს ვუპირისპირებდით; თუმცა, არ დავმალავთ და იმის მცირე იმედიც გვქონდა, რომ მეორე ტაიმში, მასპინძლები უკანმოუხედავად შტურმზე რომ გადმოვიდოდნენ, სწრაფი და გააზრებული კონტრიერიშებით შეგვეძლო დაგვესაჯა! სამწუხაროდ, ჩვენი ფეხბურთელების მხრიდან მსგავსიც არაფერი მომხდარა; არადა, დაახლოებით 70-ე წუთიდან ბილიჩი ვა-ბანკზე წავიდა: ფლანგის მცველები, **დარიო სრნა** და **დანიელ პრანიჩი,** ფაქტობრივად, გარემარბების პოზიციაზე ასწია და საერთოდაც, ხორვატების ტაქტიკურმა სქემამ სუპერ-თამამი და... დასჯადი სახეც (2-5-3) მიიღო! ცენტრალური მცველების (**იოსიპ შიმუნიჩი, ვედრან ჩორლუკა**) გარდა, ხორვატიის ნაკრების ყველა ფეხბურთელი ჩვენს ნახევარზე „დასახლდა“, მაგრამ ჩვენებისგან ვის უნდა დაესაჯა მასპინძელთა ასეთი ავანტიურა? სამწუხაროდ, ამის გარდა, 3 ივნისის მატჩში სხვაც არაერთი უპასუხო კითხვა დაგვრჩა, აი, თუნდაც შემადგენლობასთან დაკავშირებით: მოულოდნელობა იყო **ალექსანდრე ამისულაშვილის** არყოფნაც და **კახა კალაძის** ცენტრში გამწესებაც, **გურამ კაშიასთვის** უჩვეულო ამპლუის მოძებნაც და **დავით სირაძის**, ჩვენი აზრით, ნაადრევი ცვლილებაც; საერთოდაც, ჩვენ გარდა, ალბათ, ბევრს უჩნდება კითხვა ცვლილებებთან დაკავშირებით - სათადარიგოთა სკამზე ახალგამოჯანმრთელებული **ჯანო ანანიძის** გარდა, ხომ კიდევ ორი ისეთი ფეხბურთელიც იჯდა, თამაშის გამწვავება რომ შეუძლია (**სანდრო გურული, ჯაბა ლიპარტია**); არადა, 3 ივნისის მატჩამდე ჩატარებულ შეხვედრებში თემურ ქეცბაიას განხორციელებული, ფაქტობრივად, ყველა შეცვლა წარმატებული იყო! მხოლოდ, შეცვლები? იმავეს თქმა შეიძლება შემადგენლობის შერჩევაზეც, მაგრამ სამწუხაროდ, ხორვატიასთან საპირისპირო მოხდა და, რაოდენ მწარე სათქმელიც უნდა იყოს, იმ საღამოს საქართველოს ნაკრები... ქულასაც არ იმსახურებდა! შესაძლოა, ვინმემ ზედმეტად მკაცრ შეფასებად ჩაგვითვალოს, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ დაცვის გაძლიერებით სასურველ შედეგს ვერასდროს მივაღწევთ...

გია ტუხაშვილი

მეკარე გიორგი ლორიას საყვედური ნამდვილად არ ეთქმის

U21. ინტერვიუ

ოთარ გაბელია

ხორვატია დავივიწყოთ, წინ ესპანეთია



ოთარ გაბელია ხორვატიიდან გახარებული დაბრუნდა. მისმა გაწვრთნილმა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევრო2013-ის შესარჩევი ციკლი სენსაციური გამარჯვებით (1:0) დაიწყო.

რა დასამალია, წინასთან შედარებით, ეს თაობა და ნაკრები დაუბალანსებელი ჩანდა და მოგებას ვინ ჩივის, გულშემატკივარი ნერვიულობდა, დიდი ანგარიშით არ წავაგოთო. თუმცა ახალგაზრდებმა სამი ქულა მოიპოვეს და დიდი სიხარული მოგვანიჭეს.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია გველაპარაკება დუგოპოლიეს "ჰრვატსკი ვიტეზოვის" სტადიონზე გადატანილ ბრძოლაზე, ფეხბურთელებზე, მასპინძელთა მთავარი მწვრთნელის ღირსეულ საქციელზე...

- უპირველესად, საინტერესო იქნება ხორვატიასთან მატჩის თქვენეული შეფასება.

- სტადიონზე მივდიოდით, როდესაც წვიმა წამოვიდა, ასეთ ამინდში თამაშმა კი, შესაძლოა, მწვრთნელის ჩანაფიქრი თავდაყირა დააყენოს. ძლიერი მეტოქე გველოდა და, ცხადია, ვფრთხილობდი.

ხორვატების ბოლო ორი მატჩის ჩანაწერი კი ვნახეთ, მაგრამ მათმა მთავარმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა ოთხი ახალი მოთამაშე დაიმატა და გუნდი მნიშვნელოვნად განაახლა. რადგან შეუთამაშებელნი ვიყავით, ბევრი ჩვენიანი ნაკრებში პირველ ოფიციალურ შეხვედრას ატარებდა, თან ასეთ ძლიერ მეტოქეს ვსტუმრობდით, იცით ოქრიაშვილისა და ჭანტურიას ამბებიც, ისიც, რომ ვერც ყენია და ანანიძე გვეხმარებოდნენ, ამიტომ მეორე ნომრად თამაში გადავწყვიტეთ.

ხორვატებს სწრაფი, ტექნიკური და ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდები ჰყავთ და ჩვენი ამოცანა მათთვის სათამაშო სივრცის მაქსიმალურად შეზღუდვა იყო. მიხარია, რომ მძიმე ბრძოლაში მასპინძლებს არაფერი დავუთმეთ, შემიძლია ვთქვა, რომ ორთაბრძოლებში არანაკლებ დამაჯერებლადაც გამოვიყურებოდით. ბიჭებს დავავალეთ, რომ ხორვატებს მოედნის ცენტრში დახვედროდნენ,

ლევან მჭედლიძემ (№10) ხორვატი მცველები არაერთხელ შეაწუხა

ზონები გადაეკეტათ, წინ კი ტექნიკური ბიჭები დავაყენე, შეტევები სწრაფად რომ წამოეწყოთ. მთავარი სათამაშო დისციპლინის დაცვა იყო. შეცდომები როგორ არ გვქონდა, მაგრამ ბიჭებმა დავალებები მაინც ხუთიანზე შეასრულეს.

- მატჩამდე მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, ხორვატიიდან სამი ქულით თუ დაბრუნდებოდით.

- მატჩამდე ბიჭებს ამაზეც ველაპარაკე. შარშან ხორვატიამ ესპანეთთან ევროპის ჩემპიონატის პლეიოფის მატჩი წააგო, თუმცა, ცხადია, ძლიერი გუნდი იყო, მაგრამ მერე თაობა შეიცვალა. წინასწარ თუ შეუშინდი, ფარერებიც მოგიგებს. აქვე ვიტყვი, რომ ფედერაცია და ქეცბაია ძალიან დაგვეხმარნენ. ფედერაციამ ავსტრიულ ტურნირზე გაგვიშვა, სადაც სამი მატჩი გავმართეთ, თემურმა კი ეროვნულთან თამაში შემოგვთავაზა. ამას დაემატა ათდღიანი შეკრებაც. ამ ოთხ შეხვედრაში და შეკრებისას სასარგებლო დასკვნები გავაკეთეთ და შემადგენლობაში ცვლილები გამოვიცანით. არადა, თავიდან ხორვატებთან სხვა შემადგენლობის დაყენებას ვაპირებდით.

- რომელიმე ფეხბურთელს თუ გამოარჩევთ?

- ყველამ იბრძოლა და გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა, მეკარით დაწყებული, თავდამსხმელებით დამთავრებული. ასე რომ, გამორჩევით ვერავის დავასახელებ.

- ეპიზოდების სიმრავლიდან უნდა დავასკვნათ, რომ ნაკრების ლიდერი ლევან მჭედლიძე იყო.

- ლევანი მართლაც კარგად გამოიყურებოდა, აქტიური და მონდომებული იყო. საერთოდ, საქმეს სერიოზულად უდგება, გუნდური ინტერესები საკუთარზე წინ დააყენა, რაც ძალიან მახარებს.

- მატჩამდე თქვით, რომ ხორვატიას სუსტი დაცვა ჰყავდა. ეს ვარაუდი გამართლდა?

- სუსტი იყო დანარჩენ რგოლებთან შედარებით. მეტოქეში რაღაც მინუსი უნდა დაინახო. ასე იყო თურქებთანაც - ზესტაფონის მატჩამდე შევნიშნე, რომ მოუქნელი მცველები ჰყავდათ. ასეთივე ნაკლი ეტყობოდათ ხორვატ ცენტრალურ მცველებსაც და მათი ნაკლის გამოყენება ვცადეთ. ამას მოგების გამო არ ვამბობ.

- ძნელი წარმოსადგენი არ არის, სადებიუტო შეხვედრის წაგება ივო შუშაკს რა ხასიათზე დააყენებდა.

- კაცს ფერი არ ედო, მაგრამ ღირსება არ დაკარგა, პრესკონფერენციაზე საქართველოზე თბილად ილაპარაკა, გამარჯვება მოგვილოცა და წარმოდგინეთ, საშინელი განწყობის მიუხედავად, ოჯახის წევრებთან მოკითხვა დამაბარა. ჩვენი მეგობარია, ნაკრებში ერთად გვიმუშავია, 13 მაისსაც გვესტუმრა და მისგან ღირსეული საქციელი არ გამკვირვებია.

- მატჩის შემდეგ როგორი იყო ხორვატების რეაქცია?

- არ ვიცი, რადგან მატჩის შემდეგ სპლიტში გვეჩქარებოდა და სტადიონი სწრაფად დავტოვეთ, თუმცა თამაშზე მაინც დავიგვიანეთ. ისე, როგორც კი სტადიონზე შევედით; კანკავამ ხორვატებს გოლი გაუტანა.

- თქვენი აზრით, ამ შეხვედრის შემდეგ ქართველი ახალგაზრდებით ევროპული კლუბები დაინტერესდებიან?

- მჯერა, რომ ასე მოხდება. თუმცა სერიოზულ კლუბში ფეხბურთელს ერთი თამაშის შთაბეჭდილებით არ იწვევენ. მთავარია, ასევე განაგრძონ. პირადად მე, რაც უნდა მადლიერი ვიყო ხორვატიასთან ფეხბურთელის გარჯით, ვინც ფორმაში არ იქნება, შემდეგ მატჩში არ გამოვიძახებ. თამაშის მერე ფეხბურთელებს ვუთხარი, მოგებისთვის მადლობა, მაგრამ ამაზე ფიქრი დღესვე დაასრულეთ და ესპანეთთან მატჩებისთვის მოემზადეთ-მეთქი. ჩვენ მუდამ შემართული, მებრძოლი და ფორმაში მყოფი ფეხბურთელები გვჭირდება, თორემ კმაყოფილი ადამიანი ვერაფერს მიაღწევს.

- სექტემბერში ორჯერ ვხვდებით ესპანეთს. მანამდე ამხანაგური შეხვედრა თუ დაგეგემეთ?

- აგვისტოში მოლდოვას შევხვდებით, 8-ში ან 10-ში ვითამაშებთ. შესაძლოა, მანამდე ნაკრების კანდიდატთა ორმხრივი თამაში ჩავატაროთ. ბევრი კანდიდატი გვყავს და არ გვინდა, რომელიმე გამოგვრჩეს.

თუმცა ხორვატიიდან მაინც ცუდ ხასიათზე წამოვედით, ეროვნული ნაკრების წაგებამ გული დაგვიწვა, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ ორი ბავშვური შეცდომის გამო ქულაც ვერ წამოვიღეთ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, დარჩენილ სამ შეხვედრას ეროვნული აუცილებლად მოიგებს.

- თქვენი გუნდის გაძლიერების რესურსს თუ ხედავთ?

- რა თქმა უნდა, ოქრიაშვილი დაგვიბრუნდება, ეროვნულს თუ არ დასჭირდებიან, ყენიასა და ანანიძეს დავიმატებთ და ჭანტურიასთვისაც არ გადამისვამს ხაზი. ესპანეთთან ბევრად მძიმე შეხვედრა გველის და განსაკუთრებული მონდომებით უნდა ვითამაშოთ.

- ხორვატიაში ნაკრებს მოედანზე ლევან კაკუბავა გაუძღვა. მისი კაპიტნობა გადაწყვეტილი ამბავია?

- დიახ, ლევანი კაპიტნად დავნიშნე, რადგან წინა ციკლში ითამაშა, სანაკრებო და საკლუბო დონეზე საკმაო საერთაშორისო გამოცდილება აქვს და პიროვნულადაც მოწესრიგებული ბიჭია.

მერაბ მამულაშვილი

ქართული ფეხბურთი

● U15

მესამე ადგილით ჰოლანდიიდან

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებმა ჰოლანდიაში "ფორდ როლეველდის" საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა. შეჯიბრება 3 ივნისს დაიწყო და 4-ში დასრულდა. პირველ დღეს **ნოდარ აკობიას** გუნდმა ხუთი მატჩი ჩაატარა. თითოეული შეხვედრა ორი 15-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა.

პირველი მატჩი საქართველოს ნაკრებმა არნემის "ვიტესთან" ჩაატარა და **გურამ გოშთელიანისა** და **გიორგი წივილაშვილის** გოლებით 2:0 გაიმარჯვა. შეგახსენებთ, რომ ტურნირამდე ქართველებმა ხანმოკლე შეკრება სწორედ "ვიტესის" ბაზაზე გამართეს და მასთან ამხანაგურად 1:3 დამარცხდნენ.

ტურნირის მეორე შეხვედრა ჩვენებმა **გიორგი ჯობავას** დუბლით ბელგიურ "გენტს" 2:0 მოუგეს. ამის შემდეგ აკობიას გუნდმა ჰოლანდიური "ვრეესვიკი" 4:0 გაანადგურა. ჯობავამ კვლავ დუბლი შეასრულა, თითო გოლი კი **ილია სამურკასოვმა** და **ვატო არველაძემ** გაიტანეს. ჰოლანდიურ "ნაიმეგენს" ქართველებმა **ნიკა ქორიძისა** და გიორგი ჯობავას გოლებით 2:0 სძლიეს, დღის ბოლო მატჩი კი ასევე ჰოლანდიურ "უტრეხტთან" მატჩის ბოლო წუთზე მიღებული პენალტით 1:2 წააგეს. ამ შეხვედრაში ქართველთაგან თავი **ბექა მიქელთაძემ** გამოიჩინა.

4 ივნისს საქართველოს ნაკრებმა ჯგუფის ბოლო ორი შეხვედრა ჩაატარა – სანკტ-პეტერბურგის "ზენიტს" გოშთელიანის დუბლით 2:0 მოუგო, რითაც ნახევარფინალში გასვლა გაინაღდა, ამიტომაც აკობიამ "მანჩესტერ სიტისთან" არაოპტიმალური შემადგენლობა გაამწესა და 0:2 წააგო.

ნახევარფინალში საქართველოს ნაკრები ჰოლანდიურ "ალკმაართან" 0:1 დამარცხდა, მესამე ადგილისთვის მატჩში კი ჩვენმა გუნდმა "უტრეხტზე" ჯგუფში დამარცხებისთვის რევანში აიღო და მას თერთმეტმეტრიანების სერიაში აჯობა.

ჰოლანდიაში საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ: **ბექა ქურდაძე, ნიკოლოზ შაფათავა, გიორგი თვარაძე, დემურ ჩომახიძე, ცოტნე ნადარაია, გიორგი სადღობელაშვილი, ვასილ კაციტაძე, ნიკა ქორიძე, ნიკა ლაშხია, გურამ გოშთელიანი, გიორგი ჯობავა, ვატო არველაძე, ილია სამურკასოვი, ბექა მიქელთაძე, რატი კაკიაშვილი, გიორგი გალდავაძე, ლუკა ვარძელაშვილი, გიორგი წივილაშვილი.**

ლევან ჯანეზაშვილი

● ოლიმპი

ძველები და გასასინჯები

თორნიკე მაისურაძე

რუსთავის "ოლიმპი" სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. გუშინ "ფოლადზე" ძირითადი შემადგენლობა გასასინჯ ფეხბურთელთა გუნდს შეხვდა, რომელთაც რამდენიმე "ძველი" დაემატა.

მატჩი ძირითადების გამარჯვებით 4:0 დასრულდა. ორჯერ გაიტანა **დენის დობროვოლსკიმ**, ერთხელ - **ვაკო ტყემალაძემ** და **გიორგი ქავთარაძემ**.

"ოლიმპის" დირექტორ **თორნიკე მაისურაძის** თქმით, სლოვენიაში უკვე დადგენილი შემადგენლობით გაემგზავრებიან, მაგრამ გამორიცხული არ არის, შეკრების შემდეგ ფეხბურთელები კიდევ დაიმატონ.

იქნება თუ არა ხმაურიანი შენაძენები "ოლიმპში"? ამ კითხვაზე მაისურაძე გვპასუხობს, რომ "შესაძლოა, ასეც მოხდეს", მაგრამ ჯერ გადაჭრით ვერ ამბობს. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ყველა მათგანი ქართველი იქნება.

სლოვენიაში ჩვენი ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავს, ორი მეტოქე გარკვეულია, "მარიბორი" და "კოპერი", დანარჩენი ორიც მალე გაირკვევა.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

შეჯამება. დინამო

		სულ							შინ							სტუმრად						
2	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები გატ	ბაშვ	ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები გატ	ბაშვ	ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები გატ	ბაშვ	ქ
	დინამო	36	21	9	6	55	22	72	18	12	5	1	36	12	41	18	9	4	5	19	10	31

ფოტო: www.fcdinamo.ge

„დინამოს" ყველა მატჩი

I ეტაპი		
I წრე		
II ტური	დინამო-ზესტაფონი	2:1
III ტური	ოლიმპი-დინამო	1:0
IV ტური	ბაია-დინამო	0:0
V ტური	კოლხეთი-დინამო	1:3
I ტური	დინამო-სპარტაკი	1:0
VI ტური	დინამო-სამტრედია	3:2
VII ტური	სიონი-დინამო	1:0
VIII ტური	დინამო-ვიტ ჯორჯია	2:0
IX ტური	ტორპედო-დინამო	1:1
II წრე		
X ტური	სპარტაკი-დინამო	0:0
XI ტური	ზესტაფონი-დინამო	0:1
XIV ტური	დინამო-კოლხეთი	5:0
XII ტური	დინამო-ოლიმპი	1:1
XIII ტური	დინამო-ბაია	0:0
XV ტური	სამტრედია-დინამო	1:0
XVI ტური	დინამო-სიონი	2:0
XVII ტური	ვიტ ჯორჯია-დინამო	0:1
XVIII ტური	დინამო-ტორპედო	1:0

II ეტაპი		
III წრე		
XIX ტური	დინამო-სპარტაკი	1:1
XX ტური	დინამო-ზესტაფონი	0:0
XXI ტური	ოლიმპი-დინამო	1:0
XXIII ტური	კოლხეთი-დინამო	0:2
XXIV ტური	დინამო-სამტრედია	7:1
XXV ტური	სიონი-დინამო	0:2
XXVII ტური	ტორპედო-დინამო	0:0
XXVIII ტური	სპარტაკი-დინამო	1:3
XXIX ტური	ზესტაფონი-დინამო	1:0
IV წრე		
XXX ტური	დინამო-ოლიმპი	2:0
XXII ტური	დინამო-ბაია	2:1
XXXI ტური	ბაია-დინამო	1:2
XXVI ტური	დინამო-ვიტ ჯორჯია	1:1
XXXII ტური	დინამო-კოლხეთი	4:2
XXXIII ტური	სამტრედია-დინამო	1:2
XXXIV ტური	დინამო-სიონი	1:0
XXXV ტური	ვიტ ჯორჯია-დინამო	0:2
XXXVI ტური	დინამო-ტორპედო	1:2

„დინამოს" ფეხბურთელების მონაგარი

კახა კაჭარავა

მეკარეები: გიორგი ლორია-35, თორნიკე ზარქუა-1;

მცველები: ლევან კაკუბავა-34 (2), ლევან ხმალაძე-32 (8), გულვერდ თომაშვილი-31(1), გივი კვარაცხელია-20 (4), ნიკა კვეკვესკირი-17, ირჟი ჰომოლა-13, თემურ ღონღაძე-8, მარკო მაროვიჩი-4, გურამ კაშია-3, გიორგი ოთარიშვილი-3, გიორგი გველესიანი-2, გიორგი ციმაკურიძე-2, ლაშა ჩადუნელი-1;

ნახევარმცველები: გიორგი კახელიშვილი-32, ალექსანდრე კოშკაძე-31 (8), გიორგი თექთურმანიძე-24, ედნილსონი-17, ნიკოლოზ ფირცხალავა-15 (1), ზურაბ არზიანი-14 (2), ირაკლი ლეკვთაძე-13 (5), დავით მუჯირი-12(4), სემირ ჰაჯიბულიჩი-8(1), ირაკლი ლილუაშვილი-7 (1), გიორგი გავაშელიშვილი-5, გიორგი მამუჩიშვილი-2, შოთა კაშია-1, ჯამბულ ჯიღაური-1(1).

თავდამსხმელები: დონალდ ჯუისი-30 (5), რობერტინიო-25 (1), დიმიტრი ტატანაშვილი-15(4), მათე ვაწაძე-12(2), ვახტანგ ფანცხავა-7 (2), პეტარ ელიჩი-6(2), ირაკლი სიხარულიძე-6, ზვიად ქანთარია-2.

გიორგი ლორია

მწვრთნელები: **კახა კაჭარავა (I-XIV, XIX-XXXVI ტურები)**
თამაზ სამხარაძე (XV-XVIII ტურები)

ჩვენი ჯგუფი

სპლიტმა და შაბათმა პლეი ოფს დაგვაშორა

ხორვატებთან მატჩამდე აქტიურად ვბჭობდით საქართველოს ნაკრების საპლეიოფო შანსებზე, მაგრამ ახლა კარგად რომ ჩავხედოთ ჩვენი ჯგუფის სატურნირო ცხრილს, ბოლო ტურების ხელსაყრელი კალენდრის მიუხედავად, მეორე ადგილზე გასვლის პერსპექტივა მაინც ძალიან სათუოდ მოჩანს. ყველა დარჩენილი მატჩი რომც მოვიგოთ, საკუთარ თავზე მაინც არ ვართ დამოკიდებულნი და ვეჭვობთ, საბერძნეთმა და ხორვატიამ იმდენი ქულა გაანიავონ, ჩვენ რომ გვინდა.

საქართველოს ნაკრებმა სპლიტიდან ვერაფერი წამოიღო და ჩვენთვის სასიკეთო შედეგები ვერც შაბათის მატჩებში დაფიქსირდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლატვია და მალტა არწაგებასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ, საბოლოოდ, წყვილების ფავორიტებმა იმარჯვეს და საბერძნეთისა და ხორვატიის მსგავსად, ისრაელმაც გვარიანი სხვაობით ჩამოგვიტოვა.

ისრაელი ლატვიას მეორე ტაიმშიც სჯობდა. **ლუის ფერნანდესის** გუნდი ყრუ დაცვაში არ ჩამჯდარა და ხშირად მწვავედაც უტევდა, მაგრამ ბოლოს საქმე მაინც სანერვიულოდ გაუხდა. 62-ე წუთზე ლატვიელთა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა **ალექსანდრს ცაუნიამ** მეტოქის მცველის ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა. ვერ ვიტყვით, რომ დარჩენილ დროში მასპინძლებმა სტუმრები ძალიან შეაწუხეს, მაგრამ ანგარიშის გათანაბრების ერთი რეალური შანსი მაინც გაუშვეს ხელიდან – **კრიაუკლისის** დარტყმისას ისრაელის ნაკრების კარი **გერშონმა** იხსნა.

ისრაელმა ამ გამარჯვებით ევროპის ჩემპიონატზე გასვლის განაცხადი გააკეთა. ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს 2 სექტემბერს გასამართავი მატჩი. თუ შინ ტრადიციულად ძლიერად მოთამაშე ებრაელებმა საბერძნეთს სძლიეს, მიზნისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამენ.

ლატვია-ისრაელი

საბერძნეთი-მალტა

საუკეთესო ფეხბურთელის გამოჯანმრთელება ისრაელს აშკარად შეეტყო. **იოსი ბენაიუნს** "ჩელსის" შემადგენლობაში მიღებულმა მძიმე ტრავმამ თითქმის მთელი სეზონი დააკარგვინა, მაგრამ ჩვეულ ფორმას მოედანზე დაბრუნებიდან სულ ცოტა ხანში მიუახლოვდა. რიგული მატჩის შედეგიც, უპირველესად, მისმა შთამბეჭდავმა თამაშმა განაპირობა.

მე-19 წუთზე ბენაიუნმა ანგარიში ძლიერი შორეული დარტყმით გახსნა. ებრაელები გოლთან მანამდეც ახლოს იყვნენ – **მაორ ბუზაგლომ** ბურთი ძელს გაარტყა.

შესვენებამდე ორიოდე წუთით ადრე კი ბალტიისპირელებმა კიდევ ერთი მძიმე დარტყმა მიიღეს. **იუვალ შპუნგინის** ნაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი **ტალ ბენ ჰაიმმა** გამოიყენა.

"ჯგუფიდან გასვლაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევად მიმაჩნია, მაგრამ ფაქტია, გუნდი ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება და იმ ხარისხის ფეხბურთს თამაშობს, როგორსაც მისგან გულშემატკივრები ითხოვენ. ისრაელის ნაკრებს უფრო დიდი პოტენციალი აქვს, რომელსაც უახლოეს პერიოდში სრულად გამოავლენს", - განაცხადა ნამატჩევს ლუის ფერნანდესმა, რომელსაც, სანამ საქართველოს ნაკრებს დაამარცხებდნენ, დათხოვნამდე ბევრი არაფერი უკლდა, ჩვენი და ლატვიის ძლევის შემდეგ კი ისრაელის ნაკრების მესაჭის პოზიციები საგრძნობლად გაიმყარა.

მარტში მალტას სულ ცოტა დააკლდა და საბერძნეთს ქულას აართმევდა. ალბათ, გახსოვთ, **ფერნანდუ სანტუშის** გუნდმა კუნძულზე ბოლო წამებზე გატანილი გოლის წყალობით იმარჯვა. ბერძნებს ახლა ასე ძალიან არ გასჭირვებიათ, მაგრამ ჯგუფის უიმედო აუტსაიდერის გასატეხად მაინც დიდი ოფლისღვრა დასჭირდათ.

პირეოსის "გეორგიოს კარაისკაკისზე" მასპინძლებმა უპირატესობა თავიდანვე იგდეს ხელთ და სწრაფი გოლიც გაიტანეს – **იოანის ფეტფაციდისი** ბერძენთა შორის უდავოდ გამორჩეული იყო, დუბლიც შეასრულა და მალტელთა დაცვა მთელი მატჩის განმავლობაში არ მოასვენა. "შალკეს" 19 წლის მცველმა **კირიაკოს პაპადოპულოსმა** კი სადებიუტო სანაკრებო შეხვედრა გოლით აღნიშნა. მალტელთა საუკეთესო ფორვარდმა **მიხაელ მიფსუდმა** ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ სტუმრებს მეტის მისაღწევად კლასი არ ეყოთ და 63-ე წუთზე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

"ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. გოლის მიღება ძალიან არ მესიამოვნა, მაგრამ მთლიანობაში საბერძნეთის ნაკრების უპირატესობა წამითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ. ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონატზე პირდაპირ გასვლაა და სულაც არ არის შემთხვევითი, ჯგუფის სათავეში რომ ვართ", - თქვა ბერძენთა პორტუგალიელმა თავკაცმა ფერნანდუ სანტუშმა, რომელმაც გუნდს სათამაშო სტილი კარდინალურად შეუცვალა და **რეჰაგელისეული** საბერძნეთისგან განსხვავებით, ამჟამინდელი გუნდი შემტევ ფეხბურთს მისდევს.

ჩვენი ჯგუფის საშემოდგომო მატჩები რომ გავაანალიზოთ, ზესამეულიდან საუკეთესო კალენდარი ხორვატიას აქვს და ჯგუფში გამარჯვების მთავარ კანდიდატად სწორედ **სლავენ ბილიჩის** გუნდი უნდა დავასახელოთ.

ლატვია-ისრაელი 1:2

ლატვია: ვანინსი, კლიავა, კრიაუკლისი, გორკსი, ივანოვსი, ლაზდინში, რაფალსკი (28. ჟიგაევსი), ვიშნიაკოვსი (71. რუბინსი), ცაუნია, პერეპლიოტკინსი (60. გაურაჩსი), რუდნევსი.

ისრაელი: ავათი, შპუნგინი, ბენ ჰაიმი I, გერშონი, ალმოგ კოენი, რაფაელოვი (80. ბენ ჰაიმი II), ბუზაგლო (69. ნათჰო), ჰემადი, ქეინანი, ბენაიუნი, ზაჰავი (89. გოლასა).

გოლები: 0:1 ბენაიუნი (19), 0:2 ბენ ჰაიმი I (43 პენ), 1:2 ცაუნია (62 პენ).

საბერძნეთი-მალტა 3:1

საბერძნეთი: კონსტანტოპულოსი, სპიროპულოსი, მორასი, ციოლისი, კარაგუნისი (70. კაფესი), ტოროსიდისი, კაცურანისი, პაპადოპულოსი, ნინისი (78. ხრისტოდოლოპულოსი), სალპინგიდისი (89. მიტროღლუ), ფეტფაციდისი.

მალტა: ჰოგო, კარუანა, შიბერასი, აგიუსი, რ. ფენეკი, ბოგდანოვიჩი (59. კოენი), ბრიფა, ჰატჩისონი (87. პ. ფენეკი), შკემბრი, ბაიადა (81. ფაილა), მიფსუდი.

გოლები: 1:0 ფეტფაციდისი (8), 2:0 პაპადოპულოსი (26), 2:1 მიფსუდი (54), 3:1 ფეტფაციდისი (63).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	6	4	2	0	8-3	14
2. ხორვატია	6	4	1	1	10-3	13
3. ისრაელი	7	4	1	2	10-7	13
4. საქართველო	7	2	3	2	5-5	9
5. ლატვია	6	1	1	4	5-9	4
6. მალტა	6	0	0	6	2-13	0

2 სექტემბერი

ისრაელი-საბერძნეთი
მალტა-ხორვატია
საქართველო-ლატვია

6 სექტემბერი

მალტა-საქართველო
ლატვია-საბერძნეთი
ხორვატია-ისრაელი

7 ოქტომბერი

საბერძნეთი-ხორვატია
ლატვია-მალტა

11 ოქტომბერი

საქართველო-საბერძნეთი
მალტა-ისრაელი
ხორვატია-ლატვია

მედიაექო

ფეხბურთი, რომელსაც ხელბურთი ამჯობინეს



სლავენ ბილიჩი

"კონცენტრაცია ორჯერ დავკარგეთ, რაც ორ გოლად დაგვიჯდა. ჩემი გუნდით ამაყი ვარ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო, ხორვატია ყველა ასპექტით ჩვენზე უკეთესი გუნდია და დამსახურებულად გაიმარჯვა. ვფიქრობ, ხორვატია ჯგუფში პირველ ადგილს არავის დაუთმობს. ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებთან დავმარცხდით", - თქვა ნამატჩევს თემურ ქეცბაიამ.

სლავენ ბილიჩი კი საქართველოს თამაშის სტილით დარჩა უკმაყოფილო. *"ყველა გუნდს აქვს უფლება, ისე ითამაშოს, როგორც სურს, მაგრამ ასეთი ტაქტიკით მოთამაშე ნაკრებთან ბრძოლას ისევ საფრანგეთთან თამაში მირჩევნია. უზარმაზარი უპირატესობის მიუხედავად, მეტოქის გატეხა ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მატჩის დასკვნით ნაწილში სამართლიანობამ იზეიმა და დამსახურებულ გამარჯვებას მივაღწიეთ"*, - განაცხადა ხორვატთა დამრიგებელმა.

მან მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სპლიტელ გულშემატკივრებს ენერგიული ქომაგობისთვის მადლობა გადაუხადა და ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის იმედი გამოთქვა, საქართველოს ნაკრების დამარცხებაში გადამწყვეტ ფაქტორად კი ეფექტური შეცვლები დაასახელა.

ალბათ, გაინტერესებთ, როგორ აფასებს მატჩს ხორვატიული პრესა. იქაური მედია გამარჯვებით, ბუნებრივია, კმაყოფილია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბილიჩს კრიტიკოსები მოუმრავლდნენ, რაც მეტწილად საქართველოს ნაკრების დამსახურებაა – ბუნებრივია, საქართველო-ხორვატიის თბილისურ შეხვედრას ვგულისხმობთ. თუმცა არც ჩვენი გუნდით არიან აღფრთოვანებულები.

ხორვატთა განწყობას კარგად ასახავს hrsport.net-ის მიმომხილველ **ტომისლავ პაჩაკის** წერილი, რომელსაც მცირე შემოკლებით შემოგთავაზებთ:

"ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. ორმა ეფექტურმა კომბინაციამ ხორვატიის ნაკრებს დათარსულ სპლიტში მოაგებინა მეტოქესთან, რომელსაც ამ მატჩში სასიკეთო არაფერი დაუმსახურებია. კარგია, რომ ჩვენმა გუნდმა გასალები მოუძებნა ისე მოთამაშე მეტოქეს, როგორიც უკვე დიდი ხანია, აღარ შეგვხვედრია. ვინ იცის, ჩაბარებული გამოცდა როდის გამოგვადგება.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უხერხული და უსიამოვნო მატჩი ხორვატიის ნაკრების ისტორიაში. თამაშის უდიდესმა ნაწილმა საოცარი შიშის თანხლებით ჩაიარა – ნუთუ ამ შეზღუდულ გუნდთან მეორედაც უნდა დავმარცხებულიყავით?

ძნელია, ასეთ კრიტიკულ ვითარებაში გუნდს საუკეთესო თვისებების გამოვლენა მოსთხოვო. ძალიან ვცდილობ, ობიექტურობა შევინარჩუნო, მაგრამ მაინც მიჭირს. ვალდებული ვარ, ფაქტებს ანგარიში გავუწიო. ფაქტი კი ის არის, რომ მეტოქის უკიდურესად უხერხული მანერის მიუხედავად, ხორვატიის ნაკრებმა არაფრით გამორჩეულ გუნდთან გამარჯვებას უდიდესი ნერვებისწყვეტის ფასად მიაღწია. იმის ამბიცია გვაქვს, რომ ჩვენმა გუნდმა ევროპის ჩემპიონობისთვის იბრძოლოს, არადა, ვერაფრით წარმომიდგენია, კონტინენტის საუკეთესო ნაკრებებმა საქართველოს წვალებას წერტილი ასე გაჭირვებით დაუსვან.

ფეხბურთი სხვა სათამაშო სახეობებისგან იმით განსხვავდება, რომ გაქვს უფლება, შეტევაზე არ იფიქრო და დაცვით შემოიფარგლო. კალათბურთში, ხელბურთსა თუ წყალბურთში ეს გამორიცხულია. ფეხბურთი ამ სახეობებს იმით სჯობია, რომ სუსტ გუნდს ძლიერთან მეტ შანსს უტოვებს, მაგრამ ხორვატია-საქართველომ დამაეჭვა, არის კი ფეხბურთი ხელბურთზე საინტერესო? ხორვატიის სახელბურთო ნაკრები ბრაზილიისას ასიდან ას მატჩს მოუგებს, ქართველმა ფეხბურთელებმა კი ხორვატებს კინალამ ორიდან ორი მოუგეს. არის ეს სამართლიანი? არამც და არამც".

აქვე მოკლედ სხვა გამოცემების გამოხმაურებებსაც გაგაცნობთ.

"კარგი იქნებოდა, საქმე ამხელა ნერვიულობამდე არ მიგვეყვანა, მაგრამ ახლა მთავარი ისაა, რომ საქართველოს ნაკრები უკვე წარსულშია – უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ და ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ბრძოლას ვაგრძელებთ", - წერს ინტერნეტ-პორტალი jutarnji.hr

vecernji.hr: *"ეს არ იყო ხორვატიის ნაკრების საუკეთესო თამაში, მაგრამ რევანში მაინც შედგა, მომდევნო მატჩებში კი უფრო სერიოზულ მეტოქეებთან მოგვიწევს დაპირისპირება და თამაშის ხარისხიც შესაბამისი გვჭირდება".*

glas-slavonije.hr: *"ყველას გვეგონა, რომ ხორვატიის ნაკრები ახლა მაინც დაამტკიცებდა, რომ საქართველოზე უკეთესი გუნდია. ეს შევძელით, მაგრამ არცთუ დამაჯერებლად. იმედია, ბილიჩი სათანადო დასკვნებს გამოიტანს, კარგი იქნება, თუ შემდეგ მატჩებს ოპტიმალური შემადგენლობით ჩავატარებთ და მიზანს დამაჯერებლად მივაღწევთ".*

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● ჩელსი



გუუს ჰიდინკი

მარკ ჰიუზი

ჰაე და ჰაე ჩელსის სათავეში

„ჩელსის“ რუსი მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** ოცნების ასრულებისგან შორს არ არის. მას სურს „ლურჯებს“ სათავეში ერთდროულად ჩაუყენოს **გუუს ჰიდინკი** და **მარკ ჰიუზი**. მილიარდერის აზრით, ჰოლანდიელი და უელსელი მწვრთნელების წყვილს მისი გუნდისთვის ევროპული წარმატების მოტანა შეუძლია. ბუნებრივია, აბრამოვიჩი იმდენად გულუბრყვილო არ არის, რომ ორივეს ერთი და იგივე საქმე დააკისროს. მისი გეგმის თანახმად, ერთმა მათგანმა საფეხბურთო საქმეთა დირექტორის ფუნქცია უნდა იკისროს, მეორემ კი პირველი გუნდი ჩაიბაროს და თამაშებს უხელმძღვანელოს.

ამ მიმართულებით მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და, რამდენადაც ინგლისური პრესა წერს, კარგადაც მიდის. მართალია, ჰიუზსა და ჰიდინკს ადრე ერთად არ უმუშავიათ, მაგრამ აბრამოვიჩი იმედოვნებს, რომ მათ შორის პირველი დღიდანვე საუკეთესო პარტნიორული ურთიერთობები ჩამოყალიბდება.

რუსი ოლიგარქი გასულ სეზონში „ჩელსის“ შედეგით უკმაყოფილოა. მეორე ადგილზე გასვლა მისთვის არაფერს ნიშნავს და ამიტომაც არ დაინდო **კარლო ანჩელოტი,** რომელმაც ერთი წლის წინ ინგლისის ჩემპიონის ტიტულიც მოაგებინა და ფეხბურთის ასოციაციის თასიც. აბრამოვიჩი ახალი სისხლის ეფექტს ელოდება, ანჩელოტიზე კი ამბობნ, რომ, შეიძლება, „ასტონ ვილას“ მწვრთნელი გახდეს. „ჩელსის“ ძველ ხელმძღვანელთაგან წავიდა ცნობილი დანიელი სპეციალისტი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **ფრენკ არნესენიც**.

აბრამოვიჩის ვარაუდით, ჰიდინკი, მდიდარი გამოცდილების გამო, დირექტორად უფრო გამოდგება, ჰიუზი კი ფეხბურთელების წვრთნისა და დარაზმვის საქმეს მიხედავს. ჰიდინკი 64 წლის სპეციალისტია, ჰიუზი კი 47 წლისა გახლავთ.

მოგეხსენებათ, უელსელი „ფულჰემიდან“ მოდის — „კრეიივენ კოტეჯის“ ბინადრებთან ახალი ხელშეკრულება აღარ გააფორმა. ძველი ხელშეკრულების თანახმად ის ივნისის ბოლომდე კიდევ „ფულჰემს“ უნდა ემსახუროს, თუმცა, რეალურად, ახლა იქ საქმე არ არის და დასავლეთლონდონელებმა შეიძლება ჰიუზი ახლავე გაათავისუფლონ. რაც შეეხება ჰიდინკს, ის მზად არის თურქეთის ნაკრებშიც დარჩეს და „ჩელსის“ საქმეებსაც მიხედოს.

ერთი სიტყვით, „ჩელსი“ საერთაშორისო სარბიელზე „ბარსელონასთან“, პრემიერლიგაში კი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ბრძოლისთვის ემზადება. როდესაც ჰიდინკს ჰკითხეს, არის თუ არა შესაძლებელი რომ „ლურჯებმა“ „იუნაიტედი“ ტახტიდან მომავალ სეზონშივე ჩამოაგდონ, მან უპასუხა:

„ამქვეყნად ყველა გუნდის დამარცხება შეიძლება. ერთი ცხენის დოღი არ არსებობს. პრემიერლიგის გასულ სეზონში ხუთი-ექვსი გუნდის კონკურენციას ვადევნებდით თვალს. ხომ გახსოვთ, „ჩელსი“ სეზონის დასაწყისში საოცრად ძლიერი იყო, შემდეგ პოზიციები დათმო, ბოლოს კი ისევ შესანიშნავად ათამაშდა. სულ ფავორიტთა შორის იყვნენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“, ძალიან გაძლიერდა „მანჩესტერ სიტი“... საბოლოოდ ჩემპიონი „იუნაიტედი“ გახდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის გაისადაც აუცილებლად მოიპოვებს ჩემპიონის ტიტულს. გაისად დიდი ბრძოლა იქნება“.

ჰიდინკი, რომელმაც ჩემპიონთა თასი 1988 წელს „ეინდჰოვენის“ თავკაცის რანგში მოიგო, გრძნობს, რომ მის კარიერაში „ჩელსი“ ბოლო... ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ბოლო კლუბია.

„65 წლისა ვხდები. ეს უკვე საპენსიო ასაკია“ — თქვა ჰოლანდიელმა.

რასაკვირველია, ადგილზე გაჩერებას არც „მანჩესტერ იუნაიტედი“ აპირებს. სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდიც აუცილებლად გაძლიერდება. მოგეხსენებათ, „იუნაიტედი“ „ინტერისგან“, 35 მილიონ ფუნტად, ჰიდინკის თანამემამულის, 26 წლის **ვესლი სნეიდერის** ყიდვას აპირებს, თუმცა ამ ტრანსფერს ხელს ხელფასის საკითხი უშლის. კერძოდ, სნეიდერი „ინტერში“, ინგლისელებისთვის გასაგებად რომ ვთქვათ, კვირაში 170 ათას ფუნტს იღებს. ხაზს ვუსვამთ, ეს გახლავთ თანხა, რომელიც ჰოლანდიელს შინ მიაქვს, ანუ რაც დაბეგვრის შემდეგ რჩება. ასეთი გიგანტური გასამრჯელოს გადახდა კი „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეიძლება გაუჭირდეს.

● ტოტენჰემი

კოული ლონდონში ბრუნდება

29 წლის ინგლისელი ფეხბურთელი **ჯო კოული**, რომელმაც „ლივერპულში“ ფეხი ვერ მოიკიდა, მშობლიურ ლონდონს უბრუნდება — 3 მილიონ ფუნტად მას „ტოტენჰემ ჰოთსპური“ ყიდულობს. ამ კვირაში „დეზები“ კოულს სამედიცინო ტესტებს ჩაუტარებენ და მერე კონტრაქტსაც გაუფორმებენ. ასე დაემშვიდობება გარემარი გუნდს, სადაც ტრავმებისა და შეუთავსებლობის გამო არაფერი გამოუვიდა.

„ტოტენჰემის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** კი ის კაცია, რომელმაც წლების წინ კოულს „ვესტ ჰემში“ გაუკვალა გზა. ის დარწმუნებულია, რომ ოდინდელ შეგირდს კვლავ დააბრუნებს დიდ ფეხბურთში. თავის დროზე მას კოული თაობის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ჰყავს მოხსენიებული.

კოული შარშან, „ჩელსის“ შემადგენლობაში ინგლისის ჩემპიონი გახდა, მაგრამ ზაფხულში „ლურჯებმა“ ის „ლივერპულში“ გაყიდეს და ეს მეტისმეტად წარუმატებელი პერიოდის მიზეზად იქცა.

„ენფილდ როუდზე“ საქმე თავიდანვე ცუდად წავიდა. კოულმა მყისიერი ეფექტი ვერ მოახდინა, რის შემდეგაც უიღბლობას უიღბლობა მოჰყვა — მერსისაიდში მისი გადამყვანი, „ლივერპულის“ გენერალური დირექტორი **კრისტიან პარსლოუ** სამსახურიდან წავიდა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც „ლივერპული“ ძველმა მეპატრონეებმა გაყიდეს და კლუბს ამერიკელი მილიარდერი **ჯონ ჰენრი** დაეპატრონა.

ჰენრის კოული არ მოეწონა. ამერიკელს ლონდონელზე გული წმინდა წყლის ბიზნესმოსაზრებების გამო აუცრუვდა - მან თქვა, რომ გუნდში ასაკოვანი ფეხბურთელის ყოლას და მისთვის კვირაში 90 ათასი ფუნტის გადახდას, ამ თანხის სხვანაირად დახარჯვა ჯობია. მან აქცენტის ახალგაზრდებზე გაკეთება ამჯობინა. ამის მერე კოული „ლივერპულში“ ყველამ ზედმეტ ტვირთად აღიქვა. ის „ენფილდ როუდზე“ 4,1 მილიონი ფუნტი დაუჯდათ. რომ გაყვეს, გამოვიდა, რომ 1662 წუთიდან, რომელიც მან წითელი მაისურით მოედანზე გაატარა, თითოეულის ფასი 2 470 ფუნტი ყოფილა.

სულ, გასული სეზონის განმავლობაში, კოულმა 32 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მათგან ცამეტში მოედანზე თავიდანვე არ იყო — სათადარიგოთა სკამზე იჯდა და საქმეში მერე ჩაერთო. გარდა ამისა, კოული „ლივერპულის“ შემადგენლობაში პირველ შეხვედრაშივე გააძევეს მოედნიდან, ხოლო რაც შეეხება გოლებს, ამხელა ჩემპიონატსა და თასების გათამაშებებში სამზე მეტის გატანა ვერ მოახერხა.

„ლივერპულის“ ახალმა მწვრთნელმა, **კენი დალგლიშმა**, თავიდან კოული აქო, თქვა, რომ ძალიან მოსწონს საქმისადმი მისი დამოკიდებულება, მაგრამ ქების სიტყვების მიუხედავად, თამაშით მაინც არ ათამაშა. ახლა კი, ყველაფერს ისიც ემატება, რომ „ლივერპული“ მომავალ სეზონში ევროპულ შეჯიბრებაში ვერ თამაშობს, რაც იმის წინაპირობაა რომ კოულს მოედანზე ფეხის შედგმის შანსი ერთიორად შეუმცირდებოდა.

ცუდი თამაშის გასამართლებლად კოულს შეუძლია თქვას, რომ მას ორთავა კუნთის ტრავმა არ აძლევდა ლაღად მოქმედების საშუალებას, თუმცა საქმე მარტო ეს არ უნდა იყოს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ის „ლივერპულში“ კრისტიან პარსლოუმ გადაიყვანა, სხვა სიტყვებით, რომ არა დირექტორი, გარემარბი „ლივერპულში“ ვერ მოხვდებოდა — არც წინა მწვრთნელი, **როი ჰოჯსონი** იკლავდა მისი გულისთვის თავს.

ჯო კოულის ხელმოცარვაზე ისიც მეტყველებს, რომ ის ნაკრებში დიდი ხანია არ წაუყვანიათ. თავად განსაჯეთ, კოული ბოლოს მსოფლიოს ეროვნულ გუნდთან მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო და თავისი, ჯერჯერობით ბოლო, 56-ე სანაკრებო თამაში სამხრეთ აფრიკაში, გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა.

2002 წლის მუნდიალზე კი ჯო კოული ინგლისის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო. ოთხი წლის შემდეგ, 2006-ში ის ინგლისის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს.

საინტერესოა, რომ ფეხბურთელებით ვაჭრობის თვალსაზრისით, კოულის „ტოტენჰემში“ მისვლა შესაძლოა ხორვატი **ლუკა მოდრიჩის** „დეზებიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლას ნიშნავდეს. მოგეხსენებათ, ინგლისის ჩემპიონთა თავკაც სერ **ალექს ფერგიუსონს** ხორვატის შეძენა სურს და მის სანაცვლოდ 28 მილიონი ფუნტის გადახდის ვარიანტს განიხილავს.

აღსანიშნავია, რომ კოულმა „ტოტენჰემში“ გადასვლის კიდევ ერთ მიზეზად ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება დაასახელა. აქვე დავძენთ, რომ „დეზებს“ ამ ზაფხულში რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვა სურთ. ესენია, **ალან ჰატონი, რობი კინი, დევიდ ბენტლი, უილსონ პალასიოსი, სებასტიან ბასონგი** და **ჯოვანი დოს სანტოსი**. „სანდერლენდი“ რედნაპს **პიტერ კრაუჩსაც** კი სთხოვს.

ჯო კოული

● მანჩესტერ სიტი

უმაღური ტევესი

მის სახელს ტრიბუნებიდან ერთხმად ყვირიან, ყოველკვირეულად, არც მეტი არც ნაკლები, 286 ათას ფუნტს უხდიან, მოკლედ, ხელის გულზე ატარებენ, რის გამოც ადამიანი ქალაქ მანჩესტერს, სადაც ეს ყველაფერი ხდება, წესით უნდა აღმერთებდეს მაგრამ... ვინ წარმოიდგენდა: „მანჩესტერ სიტის“ არგენტინელმა თავდამსხმელმა, **კარლოს ტევესმა** თქვა, რომ ამ ქალაქში კარგი არაფერი ხდება და იქ დამბრუნებელი არ არის.

არ დაგვავიწყდეს: „სიტიმდე“ მას „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანები ეთაყვანებოდნენ.

თუმცა, ფეხბურთელმა, რომელსაც ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი ხელფასი ჰქონდა, თქვა, რომ მარბელაში გადასახლება ურჩევნია. ცნობისათვის: მარბელა ქალაქია ესპანეთში, ხმელთაშუა ზღვის პირას და იქ დასვენება ძალიან უყვართ მდიდარ და ცნობილ ადამიანებს.

გულსატკენი სიტყვები არგენტინელმა სამშობლოში, სატელევიზიო ინტერვიუში ილაპარაკა. მან თქვა, რომ მანჩესტერში სახლს ქირაობდა, რადგან იქ საცხოვრებლის ყიდვა უაზრობაა. შოუს წამყვანმა, **სუსანა ხიმენესმა** მიზეზი ჰკითხა. ხიმენესს დაინტერესა, ასეთი დამოკიდებულება სამხრეთელი კაცისთვის უჩვეულო ჩრდილოურმა ამინდმა ხომ არ განაპირობა, რაზეც ტევესმა მიუგო:

„არც ამინდი ვარგა და არც სხვა რამ. ამ ქალაქს კარგი არაფერი აქვს“.

შემდეგ ქალბატონმა ხიმენესმა შოუში კიდევ ერთი არგენტინელი ვარსკვლავი, მოდელი **ევანხელინა ანდერსონი** მიიპატიჟა და ტელემაყურებელს მოახსენა, რომ მან მარბელაში სახლი შეიძინა. ამაზე ტევესს გაეცინა:

„ჰო, მაგრამ მარბელა მანჩესტერისგან ძალიან განსხვავდება. მარბელაში აგარაკის ყიდვა, რასაკვირველია, დიდებულია, მანჩესტერში კი აღარასოდეს ჩავალ, არც შვებულებაზე და არც სხვა მიზეზით. მარბელაში მეც სიამოვნებით შევიძენდი სახლს. იქ, შეიძლება სანაპიროსთან დასახლდე და ზაფხულობით დაისვენო. თან, მანჩესტერში სახლი ექვსი-შვიდი მილიონი ფუნტი ღირს და ქირაობა გაცილებით მომგებიანია“.

„ჰო, ინგლისი მართლაც ძალიან ძვირი ქვეყანაა“ - ჩაურთო ქალბატონმა ხიმენესმა.



კარლოს ტევესი და ბრენდა ასნიკარი

„უბრალოდ, სხვა სამყაროა“ — უპასუხა ტევესმა.

შემდეგ, პრემიერლიგის თანაბომბარდირმა (ტევესმა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბულგარელმა თავდამსხმელმა, 30 წლის **დიმიტარ ბერბატოვმა** 20-20 გოლი გაიტანეს, თუმცა „იუნაიტედის“ მწვრთნელ სერ **ალექს ფერგიუსონს** ბერბატოვი გაზაფხულზე ხშირად რომ ეთამაშებინა, ტევესს მასთან გათანაბრება ძალიან გაუჭირდებოდა) ილაპარაკა, რამდენად მარტოსულად გრძნობს თავს ინგლისში და რა ბედნიერია არგენტინაში. მან თქვა:

„მე ახალი მეგობრების გაჩენა არ შეიძლია. ყოველთვის ჩემს ოჯახთან და ბავშვობის ძმაკაცებთან ვარ. მეტიც, სახლიდან არც კი გავდივარ, ხოლმე. ბუნებით სახლში მჯდომი ადამიანი ვარ. როდესაც მამა და ძმაკაცები მაკითხავენ, კარგ დროს ვატარებთ, ბარბეკიუს ვაწყობთ, მათ გარეშე კი მოწყენილი ვარ. ბოლო თვეების განმავლობაში განსაკუთრებით მოწყენილი ვიყავი. ამ პერიოდის გადაგორება ძალიან გამიჭირდა“.

ამის შემდეგ, შოუს წამყვანმა ფეხბურთელს მხარი აუბა და ბრძანა, თქვენი მხრიდან ინგლისში ცხოვრება მართლაც დიდი მსხვერპლის გაღებაა.

კარლოს ტევესი არგენტინაში შვებულების გასატარებლად არის ჩასული. შოუში ის ყოფილ ცოლთან, **ვანესა მანსილიასა** და ქალიშვილებთან, **ფლორენსიასა** და **კეტისთან** ერთად იყო მისული. „სიტის“ ფორვარდი მანსილიას არგენტინელი მოდელის, 19 წლის **ბრენდა ასნიკარის** გამო გასცილდა.

ტევესმა სამხრეთ ამერიკა 2006 წელს დატოვა, როდესაც „ვესტ ჰემში“ გადავიდა. შემდეგ, თავდამსხმელი ლონდონიდან მანჩესტერში გადაბარგდა, სადაც ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა (2007-2009 წლებში 34 გოლი გაიტანა), შემდეგ კი თავი „სიტიში“ ამოყო. უნდა ითქვას, რომ მანჩესტერში თავის სკანდალურ ისტორიაში გაყოფა მისთვის უცხო არ არის.

„ინგლისიდან წასვლა მინდა. ექვსი წელინადია, რაც ამ ქვეყანაში ვთამაშობ და ამ ხნის განმავლობაში ოჯახთან ერთ შობა და ახალი წელინადიც კი არ გამიტარებია. მეტსაც გეტყვით, საერთოდ, ფეხბურთელის ცხოვრება არ მიყვარს“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ევრო 2012 C ჯგუფი

შემჯევი იჯალია ახალი დევიზით

დავეწიოთ და გადავასწროთ ესპანეთს

ესტონეთისან მატჩამდე **ჩეზარე პრანდელიმ** არაერთხელ განაცხადა, რომ მისი გუნდი შემტევ, ტექნიკურ ფეხბურთზე გააკეთებდა აქცენტს. ჩეზარე ყველანაირად ცდილობს სტერეოტიპი დაამსხვრიოს და დაამტკიცოს, რომ იტალიის ეროვნულ ნაკრებს შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთის თამაში შეუძლია. რაც შეეხება უშუალოდ ესტონეთთან დაპირისპირებას, პრანდელიმ თამაშამდე ერთი დღით ადრე განაცხადა, რომ მეტოქეს ორი მსუბუქი ფორვარდით: **ანტონიო კასანოსა** და **ჯუზეპე როსის** ტანდემით შეუტევდა. მიზეზი გასაგებია, ბალტიისპირელები ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, ორგანიზებულად იცავენ თავს და ძლიერები არიან საჰაერო ორთაბრძოლებში – ამიტომ, აქცენტი ტანმორჩილ, მაგრამ ტექნიკურ თავდამსმელებზე გაკეთდა, რომელთა სწრაფ და არაორდინარულ ქმედებებს დისონანსი უნდა შეეტანათ ესტონელთა დაცვით ფაზაში. ასე აგიხდეთ ყველაფერი – პრანდელის სტრატეგიამ გაჭრა, კასანომ და როსიმ საკმაოდ ადვილად აუღეს ალღო ამოცანას, გოლებიც გაიტანეს და მთლიანობაში, თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინეს.

აძურა გოლს ზეიმობს

შეხვედრის 21-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ანტონიო კასანომ სტუმართა მცველს მოჰპარა ბურთი, კარგად შენიშნა საჯარიმოში შეჭრილი ჯუზეპე როსი და დროული გადაცემა გაუკეთა – ამ უკანასკნელმა ერთ უკანახაზელს მოხდენილად აუარა გვერდი და მარცხენა ფეხით, მახვილი კუთხიდან ესტონელთა კიპერს უზუსტესად დაურტყა, 1:0. ტაიმის დასრულებამდე ხუთ წუთზე ცოტა მეტი რჩებოდა, როდესაც უკვე კასანომ მიიღო ბურთი მეტოქის საჯარიმოში, ტანით ჩამოიცილა ერთი მეურვე და მანაც მარცხენა ფეხით გადაგზავნა ბურთი ბალტიისპირელთა კარის ჩარჩოში, 2:0.

როგორც არ უნდა ეცადოს პრანდელი, რომ იტალიისგან ზეშემტევი გუნდი დააყენოს, ვფიქრობთ, რომ ბოლომდე მიზნის მიღწევა გაუჭირდება, რადგან მენტალიტეტი მაინც მენტალიტეტია – მეორე ნახევარში, იტალიელებმა თამაშის ტემპი დააგდეს და მშვიდად დაიწყეს ბურთის გორება. არადა, იმდენად დიდი იყო მასპინძელთა უპირატესობა, რომ კიდევ არაერთი გოლის გატანა შეიძლებოდა ესტონელთა კარში – თუმცა, ეს იტალიაა და არა მაგალითად გერმანია, რომელიც ასეთი ტიპის შეხვედრებში ექვს და შვიდ გოლსაც არ სჯერდება. აპენინელებმა ბურთის კონტროლს მიჰყვეს ხელი და უნდა ითქვას, რომ ეს საქმე ძალიან კარგად გამოუვიდათ. მეორე ნახევარში ანტონიო კასანო **ჯამპაოლო პაცინიმ** შეცვალა, ჯუზეპე როსი კი **სებასტიან ჯოვინკომ**. თუმცა, ამ უკანასკნელს მხოლოდ 10-12 წუთი მიეცა თავის გამოსაჩენად და განსაკუთრებული ვერაფერი შეძლო. აი პაცინიმ კი გაიტანა ერთი გოლი და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა. პაცოს გოლში **რიკარდო მონტოლივომ** დაიდო ლომის წილი, მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, ასწია თავი და რბილი გადაცემით "ინტერის" ფორვარდი მეკარეს პირისპირ შეჰყარა, ამ უკანასკნელმაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი კარის ჩარჩოში, 3:0. დარჩენილ დროში საინტერესო აღარაფერი მომხდარა, იტალიამ საკმაოდ იოლად მოუგო ესტონეთს და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, შესარჩევ ჯგუფში აუცილებლად პირველ ადგილს დაიკავებს.

ნამატჩევს, პრანდელიმ "აძურა" ესპანეთის ეროვნულ ნაკრებს შეადარა: "როგორც ხედავთ, იტალიის ნაკრებს შეტევაშიც შეუძლია თამაში და თანაც, შედეგიანად. მეტსაც გეტყვით, ძალიან ძლიერი თავდასხმის ხაზი გვყავს და ამ კომპონენტში ცოტა თუ შეგვედრება. აქცენტი ბურთის კონტროლზე გავაკეთეთ და ესეც საკმაოდ კარგად გამოგვივიდა - დაახლოებით ისე ვიასპარეზეთ, როგორც ესპანეთის ეროვნული გუნდი თამაშობს. პირინეელებს დაყენებული გუნდი ჰყავთ, ფეხბურთელები დიდი ხანია ერთად თამაშობენ და შესაბამისად, ჯერ წინ არიან, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალიან მალე დავეწევით".

კომენტარი გააკეთა ჯუზეპე როსიმაც და განაცხადა, რომ ანტონიო კასანოს მხარდამხარ თამაში ძალიან მოეწონა: "კასანო რომ დიდი ფეხბურთელია, ისედაც ვიცოდი, თუმცა ასეთი სასიამოვნო თუ იქნებოდა მის გვერდით თამაში, არ მეგონა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ წლებია ერთად ვასპარეზობთ და ურთიერთგაგების თვალსაზრისით არავითარი პრობლემა არ გვაქვს. ეს მართლაც ასეა, არც ერთხელ არ დამიგვიანა გადაცემა და პირველი გოლიც ამის შედეგი გახლდათ. ჩემი მხრივ, მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ გუნდზე მეთამაშა და ნაკლები მეფიქრა საკუთარ თავზე – თუმცა, ისე მოხდა, რომ გოლიც გავიტანე და ეს კიდევ უფრო ბედნიერს მხდის".

ესპანელებს გაეტოლა **ანდრეა პირლოც** და შემდეგი განაცხადა: "მთელი თამაშის განმავლობაში ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით და შეხვედრაც სასურველი რეზულტატით დავასრულეთ. ესტონელებმა ტალინში დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, თუმცა პრანდელიმ სწორი დასკვნები გამოიტანა იმ თამაშისგან, რამაც მიზნის მიღწევა ბევრად უფრო გაგვიადვილა. ნათელია, რომ ვპროგრესირებთ და შედეგიც კარგი გვაქვს – რაც შეეხება თამაშის მანერას, ახლოს ვართ ესპანეთის ნაკრების სტილთან და ეს ძალიან კარგია, რადგან პირენეელებმა ბოლო ოთხ წელიწადში ყველაფერი მოიგეს".

ლაშა წიკლაური

ამბები ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტორე ხულიგნობს

კამერუნის ნაკრების თავდამსხმელმა **სამუელ ეტოომ** სენეგალის ნაკრებთან აფრიკის თასის შესარჩევ შეხვედრაში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკუთარ უხიაგ ხასიათს. მატჩის შემდეგ მან ხმამაღლა გამოთქვა უკმაყოფილება მთავარი მწვრთნელის, ესპანელი **ხავიერ კლემენტეს** ტაქტიკური ჩანაფიქრით. ეს კიდევ არაფერი, რასაც ის მატჩის მიმდინარეობისას სჩადიოდა, ამას ხულიგნობა და საბოტაჟი თუ შეიძლება დაერქვას: 70-ე წუთზე, როცა ესპანელმა სპეციალისტმა **ერიკ ჩუპო-მოტინგის** შეცვლა გადაწყვიტა, სამუელი მას მოუწოდებდა, არ დამორჩილებოდა მწვრთნელს და მოედნიდან არ გასულიყო. თავდამსხმელის ამგვარ მოწოდებას ტრიბუნებიც აჰყვნენ. რაც მთავარია, საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებული ვარსკვლავი მატჩის 90-ე წუთზე პენალტის დარყმას უდიერად მიუდგა და შედეგად ვერ გაიტანა. მატჩი 0:0 დასრულდა.

დე ჯუიპის სახეცვლილება

ზაფხულის განმავლობაში როტერდამის "დე კუიპი", შეიძლება ითქვას, დანიშნულებას შეიცვლის და საკონცერტო არენად გადაიქცევა - დაგეგმილია კონცერტები და სხვა სანახაობები, მათ შორის დისკოთეკის მონყობაც. "არასაფეხბურთო სეზონი" სტადიონზე 9 ივნისს ადგილობრივი დროით 17:00 საათზე დაიწყება.

ჰსუ-ს 12 მილიონი

"პარი სენ-ჟერმენი" მზადაა, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და მთლიანად პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი **დიმიტარ ბერბატოვი** გადაიბიროს. ამ მიზნით ფრანგებს 12 მილიონი ფუნტი აქვთ გამზადებული. "დეილი მეილის" ცნობით, კლუბის ყატარელი მფლობელები მზად არიან, ამ ზაფხულს ფრანგული კლუბებისთვის არნახული ინტენსივობის სატრანსფერო კამპანია აწარმოონ. აღსანიშნავია, რომ ბულგარელს "მანიუსთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს და ჯერჯერობით თანამშრომლობის გაგრძელებაზე ხმა არსაიდან ისმის და თუკი ასე გაგრძელდა, სავარაუდოა, რომ "ეშმაკები" თავდამსხმელთან გამოთხოვებას ადვილად დათანხმდებიან.

ჰაჯი ლუჩესკუს ნაცვლად

რუმინული ფეხბურთის ლეგენდა გეორგე ჰაჯიმ შესაძლოა უახლოეს დღეებში მისი ქვეყნის ეროვნული ნაკრები ჩაიბაროს, - ამ ინფორმაციას "გაზეტა სორტურილორი" ავრცელებს. შეგახსენებთ, რომ რაზვან ლუჩესკუს გადადგომის შემდეგ აღნიშნული პოსტი რამდენიმე დღეა თავისუფალია. მირჩა ლუჩესკუს ("შახტარის" მთავარი მწვრთნელი) ვაუის მუშაობით ფედერაცია ზოგადად უკმაყოფილო იყო, მაგრამ მისი ამგვარი საქციელი ბოსნიასთან 3:0-ზე მოგებული მატჩის შემდეგ მაინც ცოტა მოულოდნელი იყო.

ლევან ბიბილაშვილი

სატრანსფერო ამბები

მონტოლივო: ალბათ ვიოლაში დავრჩები

ვიტსელი თითქმის მილანელია

ბევრი იწერება იმის შესახებ, რომ "მილანის" მესვეურები **რიკარდო მონტოლივოს** გადაბირებას ცდილობენ და დიდია შანსი, "ფიორენტინას" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი "წაართვან". 26 წლის ნახევარმცველი სიმშვიდეს ინარჩუნებს და აცხადებს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობაზეა კონცენტრირებული:

"ეროვნულ გუნდში გამომიძახეს და ასეთ დროს საკლუბო საკითხებზე ფიქრისთვის ნაკლებად მცხელა. თუმცა, რადგან მეკითხებით, შევეცდები, გიპასუხოთ. "მილანში" შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით, მეც არაერთხელ მსმენია, მაგრამ ჯერჯერობით რეალური წინადადებით ჩემთვის არავის მოუმართავს. ადრიანო გალიანიმ ერთ-ერთ ინტერვიუში ნამდვილად მახსენა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს არაფერს. რატომღაც მგონია, რომ მოლაპარაკება არ შედგება და კარიერას "ფიორენტინაში" გავაგრძელებ. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან ფლორენციაში თავს საუცხოოდ ვგრძნობ და არც მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები მაწუხებს".

რიკარდო მონტოლივო

"კორიერე დელო სპორტი" "მილანთან" დაკავშირებით ერთ მეტად საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს, რომლის მიხედვითაც ლომბარდიული გრანდი **აკსელ ვიტსელის** ტრანსფერთან ძალიან ახლოს არის და მალე მასთან ხუთწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. ბევრმა შეიძლება არ იცოდეს და აქვე გეტყვით, რომ ვიტსელი 22 წლის ბელგიელი ფეხბურთელია, ლიეჟის "სტანდარტსა" და ეროვნულ ნაკრებში ნარმატებით ასპარეზობს და მასზე ევროპულ გრანდებს ნადირობა აქვთ გამოცხადებული. "როსონერის" დირექტორი **არიედო ბრაიდა** ბელგიათურქეთის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრას დაესწრო, კიდევ ერთხელ დარწმუნდა ვიტსელის ნიჭიერებაში და როგორც ჩანს, საქმე ადგილზევე გაჩარხა. არადა, აკსელმა თერთმეტმეტრიანი გააცუდა, რამაც ბელგიელებს გვარიანი პრობლემები შეუქმნა – შეხვედრა ფრედ დასრულდა, 1:1. მიუხედავად ამისა, ბრაიდა "სტანდარტის" მესვეურებს შეხვდა და შეთანხმდა, რომ ფეხბურთელის სანაცვლოდ ლიეჟელთა ბიუჯეტში 15 მილიონ ევროს გადარიცხავს. მოსაგვარებელი რჩება ფეხბურთელის პირადი კონტრაქტის დეტალები, თუმცა წარმოუდგენელია, რომ ამ მხრივ რაიმე პრობლემა შეიქმნას.

ლაშა წიკლაური

სავარაუდო ბარტერი

მატია კასანი

ამაური კასანის სანაცვლოდ

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, "იუვენტუსის" მესვეურთა მთავარი საზრუნავი დაცვის ფლანგების გაძლიერება იქნება. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა ერთი ნაბიჯი, როდესაც ტურინულ გუნდთან **რეტო ციგლერმა** გააფორმა ორწლიანი ხელშეკრულება. რეტო მარცხენა მცველია, მაგრამ ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ კიდევ უფრო პრობლემური "იუვეში" მარჯვენა ფრთაა. გასულ სეზონში, ამ პოზიციაზე ხან **მარკო მოტა** ირჯებოდა, ხანაც **ფრედერიკ სორენსენი**, თუმცა ახალგაზრდული ასაკიდან გამომდინარე, უამრავ შეცდომას უშვებდნენ.

"გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტურინელები ყველა ღონეს იხმარენ იმისთვის, რომ **მატია კასანი** გადაიბირონ და სწორედ მას ჩააბარონ დაცვის მარჯვენა ფლანგი. გეცოდინებათ, კასანი "პალერმოს" ფეხბურთელია და იტალიის ეროვნულ ნაკრებშიც სტაბილურად იძახებენ. გამომდინარე მისი მაღალი კვალიფიკაციიდან, ტრანსფერის გაჩარხვა იოლი არ იქნება, თუმცა პიემონტელებს სიცილიელებისთვის ერთი მეტად საინტერესო შეთავაზება აქვთ მომზადებული: მატია კასანი "იუვენტუსში", სანაცვლოდ კი **კარვალიო ამაური** "პალერმოში".

ამაური უკვე ვეტერანია, მაშინ როდესაც კასანი 27 წლის არის და კიდევ არაერთი წელი შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში – ანუ, თუ სნორედ ამ მოტივით, სიცილიელებმა ბარტერზე უარი განაცხადეს, ტურინელები ამაურის კიდევ ერთ, იმავე ამპლუის ფეხბურთელს დაუმატებენ: იმავე სორენსენს, ან თუნდაც მოტას. ვნახოთ, უახლოეს პერიოდში ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

ლაშა წიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ამხანაგური მატჩები

როხამ ბოსტონში გაილაღა

ბრაზილია და არგენტინა კოპასთვის მძიმედ ემზადებიან

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ესპანეთის ნაკრებმა ამერიკული ტურნე ბრწყინვალე მოგებით დაიწყო - „ფოქსბოროზე“ 4:0 გაანადგურა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. ამით „ფურია როხამ“ 2009 წელს კონფედერაციის თასის ნახევარფინალში მარცხისთვის შური იძია ამერიკელებზე. მატჩის გმირი „ვილიარეალის“ ტანმორჩილი ნახევარმცველი **სანტიაგო კასორლა** გამოდგა, რომელმაც პირველ ტაიმში ორი თითქმის იდენტური გოლი გაიტანა **ტიმ ჰოვარდის** კარში. ესპანელებს ყველაფერი იოლად გამოსდიოდათ. საკმარისია ითქვას, რომ გოლის გატანა **ფერნანდო ტორესმაც** კი შეძლო, ეს კი ბოლო დროს ერთობ იშვიათი რამ გახლავთ.

დაიწყო თამაში და გამოჩნდა, რომ „ფურია როხა“ ერთობ აღემატებოდა მეტოქეს ყველა კომპონენტში. უკვე მე-8 წუთზე სტუმრები დაწინაურდებოდნენ, თანამსაჯს **დავიდ სილვაზე** თამაშგარე მდგომარეობა რომ არ დაეფიქსირებინა. მალევე კიდევ უფრო სახიფათო მომენტი შეიქმნა ჰოვარდის კართან, **ალვარო ნეგრედო** თავზე უგდებდა ბურთს გოლკიპერს, მაგრამ ამერიკის ნაკრები გოლისგან ხარიხამ იხსნა. მალე კიდევ ერთხელ იხსნა მასპინძელთა გუნდი ხარიხამ, ახლა **დავიდ ვილიას** დარტყმის შემდეგ.

ამხელა უპირატესობას შედეგი ოდესმე უნდა გამოეღო და 28-ე წუთზე ესპანელებმა ანგარიში გახსნეს, მარცხენა ფრთაზე დავიდ სილვამ იყოჩაღა და საჯარიმოს ცენტრში სანტი კასორლა მოძებნა, რომელმაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი ჰოვარდის კარში. 32-ე წუთზე სტუმართა უპირატესობა კიდევ ერთი გოლით გამოიხატა - **ჩაბი ალონსომ** ბრწყინვალე პასით დასარტყამ პოზიციაზე ნეგრედო გაიყვანა და „სევილიას“ ფორვარდმაც მშვიდად შეაგდო ბურთი ამერიკელთა კარში. 41-ე წუთზე პირველის ანალოგიური გოლი გავიდა, კვლავ სილვამ იყოჩაღა ფლანგზე და კვლავ საჯარიმოს ცენტრში ჩააწოდა, ამჯერად, ვილიამ ქუსლით დაუტოვა ბურთი კასორლას და ამ უკანასკნელს გატანა არც ამჯერად გაუჭირდა - 0:3. ასეთი უპირატესობით გავიდა „ფურია როხა“ შესვენებაზე. ამერიკის ნაკრები ძალიან სუსტად თამაშობდა, ერთადერთი საგოლე მომენტი ისევ ესპანელი მცველების (**პიკე**) უყურადღებობის შედეგი იყო, ამ შემთხვევაშიც **რობი როჯერსმა**, „კოლამბუს ქრუს“ ფორვარდმა ვერ ივარგა.

შესვენებაზე ამერიკელებმა, რომლებიც „გოლდ კაპისთვის“ ემზადებიან 5 ფეხბურთელი შეცვალეს, ესპანელებმა - 3. მეორე ტაიმში **ხოსე რეინას** კართან ხიფათმა იმატა. მაგრამ ერთხელ **კრის ვონდოლოვსკი** ვერ შეწვდა მაღალ ჩამოწოდებულს, მეორედ კი **კლინტ დემპსის** დარტყმული არაზუსტი გამოდგა. გოლი კი ერთი გავიდა მეორე ნახევარში და ისიც ამერიკელთა კარში, **ბორხა ვალერომ** შეცვლაზე შესული ფერნანდო ტორესი მოძებნა და „ჩელსის“ ფორვარდმაც ძელის დახმარებით მასპინძელთა რბევას წერტილი დაუსვა.

ვისენტე დელ ბოსკემ 4-3-3 ტაქტიკური სქემით ათამაშა გუნდი: კარში პეპე რეინა იდგა, დაცვის ფლანგებზე **სერხიო რამოსი** და **ალვარო არბელოა** ირჯებოდნენ, ცენტრში - **რაულ ალბიოლი** და ჟერარდ პიკე. შუახაზს კასორლა, **სერხიო ბუსკეტსი** და **ჩაბი ალონსო** ამაგრებდნენ, წინ ცენტრფორვარდ ნეგრედოს ფლანგებიდან ეხმარებოდნენ ერთ დროს თანაკლუბელები სილვა და ვილია. შესვენებაზე დელ ბოსკემ ბუსკეტსის ნაცვლად **ბრუნოს** მისცა თავის გამოჩენის შანსი, ვილიას ნაცვლად კი **ინიესტა** გამოიყვანა, ნეგრედო ტორესით ჩაანაცვლა. თამაში მოუწიათ **კასილიასს**, კასორლასა და **ბორხა ვალეროსაც**.

მატჩში საუკეთესო „მანჩესტერ სიტის“ ესპანელი ლეგიონერი იყო, რომელმაც მხოლოდ 65 წუთი დაყო მოედანზე. მის ანგარიშზე ორი საგოლე პასია. როგორც ზემოთ ვთქვით, სილვამ გაიტანა კიდევაც, თუმცა მსაჯებმა გოლი არ ჩაუთვალეს, არადა, კარგად გამოჩნდა, რომ გოლი ალალი იყო.

სანტი კასორლა: *„როცა ესპანეთის ნაკრების მაისურით ვთამაშობ, თავს არ ვ ზოგავ - ეს ხომ უდიდესი პრივილეგია, ითამაშო შენი ქვეყნის სახელით. დღეს ჩვენ ვაჩვენეთ, როგორი შეკრული გუნდია „ფურია როხა“. გოლებს ჩემს ბიჭს ვუძღვნი. მოედნის საფარი არ იყო იდეალური, თუმცა ჩვენ მას ალღო მალევე ავუღეთ. მიხარია, რომ ბორხას დებიუტი შედგა, თან მან თავი საგოლე პასით გამოიჩინა“.*

ფერნანდო ტორესი: *„ძალიან რთული წელინადი მქონდა, თუმცა როგორც კი მოედანზე გავედი, მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ბოლო დროს სულ ორჯერ ვითამაშე ნაკრებში, ტრავმებმა ძალიან დამხიეს უკან. ბედნიერი ვარ, გუნდმა მოიგო, მე კიდევ გოლი გავიტანე. ახლა კი მხოლოდ ვენესუელასთან მატჩზე ვფიქრობთ“.*

აშშ-ესპანეთი 0:4

აშშ (4-4-2): ჰოვარდი - სპექტორი, ლიჩაი, ონიეგუ (46. გუდსონი), რიმი - როჯერსი (46. დემპსი), ჯონსი (46. ბრედლი), კლისტანი, ედუ (46. ჩერუნდოლო) - აგუდელო (65. ბედოია), ალტიდორი (46. ვონდოლოვსკი).

ესპანეთი (4-3-3): რეინა - სერხიო რამოსი (65. კაპდევილა), პიკე, ალბიოლი, არბელოა - კასორლა, ბუსკეტსი (46. ბრუნო), ჩაბი ალონსო - სილვა (65. ბ. ვალერო), ნეგრედო (46. ტორესი), ვილია (46. ინიესტა).

გოლები: 0:1 კასორლა (28), 0:2 ნეგრედო (32), 0:3 კასორლა (41), 0:4 ტორესი (73)

სხვა ამხანაგური მატჩები

ბრაზილიის ნაკრების გულშემატკივრები საშინლად იმედგაცრუებულნი დარჩნენ. ქალაქ გოიანიაში ჰოლანდიის ნაკრებთან 0:0 დასრულებული შეხვედრის შემდეგ ფანები სტვენით აცილებდნენ თავისიანებს. მოკლედ, ბრაზილიელთა თავკაცი **მანო მენეზესს** ჯერ ხეირიან მეტოქესთან მოგება არ ჩაუნერია აქტივში. მართალია, ბურთს უმთავრესად ბრაზილია აკონტროლებდა, მაგრამ 30 ათასამდე გულშემატკივარმა ჰოლანდიელთა კარში გოლი ვერ იხილა. ევროპელთა გუნდში დებიუტი ჰქონდა მეკარე **ტიმ კრულს**, რომელმაც უბრალოდ შესანიშნავად ითამაშა და კარი მშრალად შეინახა. მეორე დილით ბრაზილიის უმსხვილესი გაზეთი „ფოლია დე სან პაულუ“ წერდა, რომ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ისე ითამაშა, ტრიბუნებზე ბევრი ფანი ჩამოაძინაო. „ჩვენ ჩვენი შანსები კი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გამოვიყენეთ“, - თქვა დანანებით „სელესაოს“ ამომავალმა ვარსკვლავმა **ნეიმარმა**.

ბრაზილია-ჰოლანდია 0:0

ბრაზილია (4-3-3): ჟულიო სეზარი - დანი ალვეში, ლუსიო, ტ. სილვა, სანტოსი (85. ადრიანო) - რამირესი, ლუკას ლეივა (65. სანდრო), ელანო (65. ლუკასი) - რობინიო (75. ელიასი), ფრედი (75. ლეანდრო დამიაო), ნეიმარი.

ჰოლანდია (4-2-3-1): კრული - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატიისენი, პეტერსი - დე იონგი (64. მადურო), სტროოტმანი (74. სხაარსი) - რობენი, აფელაი, კუიტი (64. ელია) - ვან პერსი (64. ჰუნტელაარი).

გაძევება: რამირესი (69)

ბოლივია-პარაგვაი 0:2

გოლები: 0:1 ბარიოსი (34), 0:2 სანტანდერი (73)

პერუ-ჩეხეთი 0:0

ნიგერიის ნაკრებთან 1:4 მარცხს, **სერხიო ბატისტას** გუნდმა პოლონელებთან წაგებაც მიაყოლა. პირველ მატჩს ფიფა-ს კომისია იძიებს, რადგან იმ შეხვედრის ირგვლივ ტოტალიზატორებში საეჭვო აქტიურობა დაფიქსირდა. ბატისტას საფიქრებელი კი უფრო ისაა, რომ კოპა ამერიკის დაწყებამდე თვეზე ნაკლები დარჩა (1 ივლისს იწყება) და მომავალ მასპინძლებს ჯერ ვერ უპოვნიათ წარმატების ფორმულა. რომელ წარმატებაზეა საუბარი, როცა არგენტინის დაცვის ხაზი ბავშვურ შეცდომებს უშვებს. პირველ ტაიმში **ფედერიკო ფასიომ** უბრალოდ აჩუქა გოლი მეტოქეს, მას შემდეგ, რაც ბოლო მცველის რანგში ბურთს აცდა! - **ადრიან მიერჟეიევსკის** აღარ გასჭირვებია გატანა. მეორე ტაიმი **მარკო რუბენის** საპასუხო გოლით დაიწყო (**შჩესნის** შეცდომა აშკარაა), თუმცა ისევ არგენტინელთა ცენტრალურმა მცველებმა „იყოჩაღეს“ და ახლა **პაველ ბროჟეკს** გაატანინეს.

პოლონეთი-არგენტინა 2:1

პოლონეთი (4-2-3-1): შჩესნი - პისჩეკი, ვოიტკოვიაკი, იოდლოვიეცი, ვავრჟინიაკი - მურავსკი (76. მატუშიკი), დუდკა - კუბა, მიერჟეიევსკი (80. კუჩარჩიკი), გროსიცკი (56. ბროჟეკი) - ლევანდოვსკი (89. კლიჩი).

არგენტინა (4-3-3): გაბარინი - საბალეტა (46. ბელუში), მუსაჩიო, ფასიო (46. ინსუა), ანსალდი - ბოლატი, ბერტოლო (46. ბოტინელი), კაბრალი (68. ფომიკა) - კრისტალდო, პიატი (78. გაიტანი), რუბენი.

გოლები: 1:0 მიერჟეიევსკი (26), 1:1 რუბენი (47), 2:1 ბროჟეკი (67)

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

აშშ-ესპანეთი. ფერნანდო ტორესმა ნავსი ნაკრებშიც გატეხა



პოლონეთი-არგენტინა. დარიუშ დუდკასა და მარიო ბოლატის ორთაბრძოლა

ბრაზილია-ჰოლანდია. ბრაზილიამ და ჰოლანდიამ მუნდიალის მეოთხედფინალი უფერულად გაიმეორეს

● ბიოგრაფია. პოლ აარონ სქოულზი

ერთგულების ისტორია

პოლ აარონ სქოულზი 1974 წლის 16 ნოემბერს ინგლისის პატარა ქალაქ სელფორდში (73 ათასი მაცხოვრებელი) დაიბადა. ის მთელი კარიერის განმავლობაში "მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობდა და სულ "ალისფერი ეშმაკების" შემადგენლობაში 676 შეხვედრა ჩაატარა, გაიტანა 150 გოლი. მას აბსოლუტურად დამსახურებულად მიიჩნევდნენ თავისი თაობის ერთ-ერთ უნიჭიერეს ნახევარმცველად. პოლი მხოლოდ 7 წლის განმავლობაში თამაშობდა ინგლისის ნაკრებში და 4 დიდ ტურნირში მოასწრო მონაწილეობა. 1998 და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე და 2000 და 2004 წლებში ევროპირველობებზე. 2004 წელს პორტუგალიაში ჩატარებული ჩემპიონატის შემდეგ მან სანაკრებო კარიერა დაასრულა და კონცენტრაცია კლუბზე მოახდინა. პოლის თქმით, უმთავრესი მოტივაცია ის იყო, რომ სურდა, ოჯახისთვის მეტი დრო დაეთმო.

ადრეული პერიოდი

პოლ სქოულზმა "მანიუში" ვარჯიში 14 წლისამ დაიწყო. ის არ ყოფილა 1992 წელს "იუნაიტედის" ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობაში ინგლისის თასის მფლობელი. ლაპარაკია იმ გუნდზე, რომლის ძირითადი ნაწილი მოგვიანებით სერ **ალექს ფერგიუსონის** განკარგულებაში გადავა და ყველაფერს მოიგებს, რაც მოსაგებია. პოლის პროფესიული კარიერა 1993 წლის 23 ივლისს დაიწყო, როცა მან კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. თუმცა პირველი მატჩი დიდი დაგვიანებით, 1994 წლის 21 სექტემბერს ლიგის თასზე "პორტ ვეილთან" ჩაატარა და უმალ დუბლი შეასრულა. მისმა გუნდმა კი 3:2 გაიმარჯვა. ზუსტად სამ დღეში, 24 სექტემბერს ჩვენს გმირს დებიუტი ჰქონდა პრემიერ-ლიგაშიც, "მანიუ" "იფსვიჩს" შეხვდა და 3:2 წააგო. ორივე გოლი ისევ და ისევ პოლ სქოულზმა გაიტანა. სულ იმ სეზონში პერსპექტიულმა ფეხბურთელმა 25 შეხვედრაში 7 გოლის გატანა მოახერხა. მიუხედავად მისი მაღალი სათამაშო კლასისა, მას 1997/98 წლების სეზონამდე უჭირდა "მანჩესტერის" ძირითად შემადგენლობაში მყარად ფეხის მოკიდება. ამ წელს პოლმა **როი კინის** ტრავმით ისარგებლა და სასტარტოში დამკვიდრდა.

1998/99 წლების სეზონში სქოულზმა წამყვანი როლი ითამაშა მისი გუნდის სამმაგ ტრიუმფში და მიუხედავად იმისა, რომ არც ის და არც როი კინი ფინალში არ თამაშობდნენ, ფერგის ბიჭებმა მაინც შეძლეს "ბაიერნთან" ზედრამატულ შეხვედრაში ლიგის მოგება. ინგლისის თასის ფინალში პოლმა "ნიუკასლს" ერთი გოლი გაუტანა, გუნდმა კი 2:0 მოიგო. 1999 წლის 17 მარტს "ინტერთან" ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში (1:1) ის გახდა "მანჩესტერის" პირველი ფეხბურთელი 1984 წლის შემდეგ, ვინც იტალიურ გუნდებს გასვლაზე გოლი გაუტანა და დანავსული სერია შეწყვიტა. "ეშმაკებმა" "კამპ ნოუსკენ" მიმავალ გზაზე სიარული განაგრძეს. რამდენიმე კვირაში პოლი იტალიაში ისევ ჩავიდა, ამჯერად "იუვენტუსთან" სათამაშოდ და მისდა სამწუხაროდ, სეზონში მესამე ყვითელი ბარათი მიიღო, რამაც მას ფინალში თამაში უფლება აღარ მისცა.

ჯარიერის პიკი

1999 წლის ტრიუმფის შემდეგ სქოულზმა როგორ იქნა მიიღო კუთვნილი აღიარება. მისი და როი კინის დუეტი "მანჩესტერის" მამოძრავებელი ძალა გახდა. ირლანდიელი საყრდენ ნახევარმცველად თამაშობდა, ინგლისელი კი კლასიკურ ცენტრალურ ნახევარმცველად. წლების განმავლობაში სწორედ პოლი ხდებოდა ხოლმე სეზონის ბოლოს ყველაზე მეტი ზუსტი პასის ავტორი (უბრალოდ პასის და არა საგოლე გადაცემის), რაც მის უმაღლეს კლასს კიდევ უფრო მეტად უსვამდა ხაზს. კინის წასვლის შემდეგა მან შეინარჩუნა პოზიცია და უფრო მეტად შეტევას უთმობდა დროს, ვიდრე დაცვას. როგორც წესი, ის ბურთს საყრდენი ნახევარმცველის ზონაში იღებდა და შემდეგ ანაწილებდა ფლანგებზე. მიუხედავად იმისა, თუ ვინ იდგა ფლანგზე მის პარტნიორთაგან **პატრის ევრა, გარი ნევილი, რაიან გიგზი, დევიდ ბექჰემი** თუ **კრიშტიანო რონალდო**, ბურთს ყველა დაუბრკოლებლივ იღებდა და რაც მთავარია, იდეალურ სიტუაციაში. ცალკე სალაპარაკოა სქოულზის საგოლე ალღო.



2002/03 წლების სეზონში მან კარიერის რეკორდი დაამყარა, როცა 52 შეხვედრაში 20 გოლის გატანა მოახერხა, მათ შორის იყო ერთი ჰეთთრიკი (ნიუკასლთან) და დუბლი (ევერტონთან). სამწუხაროდ, მომდევნო წლებში მისმა საგოლე აქტივობამ იკლო, თუმცა როცა გაჰქონდა, მხოლოდ უმნიშვნელოვანეს შეხვედრებში და უმეტესად ლამაზ სტილში. კარიერის ბოლოს მის ანგარიშზე იყო 10 საჩემპიონო ოქრო (1996, 1997, 1999, 2000, 2001, 2003, 2007, 2008, 2009, 2011), ინგლისის 3 თასი (1996, 1999, 2004), ინგლისის ლიგის 2 თასი (2009, 2010), 5 კომუნითი შილდი, ანუ ინგლისის სუპერთასი (1996, 1997, 2003, 2008, 2010), 2 ჩემპიონთა ლიგა (1999, 2008) და თითო საკონტინენტთაშორისო თასი (1999) და ფიფას საკლუბო ჩემპიონატი (2008).

ჯარიერის მიწურული

2004 წელს ნაკრებიდან მისმა წასვლამ "მანჩესტერ იუნაიტედზე" დადებითად იმოქმედა. თუმცა 2005/06 წლების სეზონის მეორე ნახევარი ჩვენმა გმირმა თითქმის მთლიანად გამოტოვა, რადგან მას სერიოზული პრობლემა ჰქონდა მხედველობასთან დაკავშირებით. ლაპარაკი იმაზეც კი წავიდა, რომ პოლს კარიერის დასრულება მოუწევდა, მაგრამ მკურნალობამ შედეგი გამოიღო. 2006 წლის 7 მაისს "ჩარლტონთან" შეხვედრაში ის მინდორს დაუბრუნდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სერიოზული მკურნალობის მიუხედავად, მხედველობა სქოულზს ბოლომდე მაინც ვერ აღუდგინეს. პოლი 2006 წლის 22 ოქტომბერს "მანჩესტერის" ისტორიაში მე-9 ფეხბურთელი გახდა, ვინც 500-მატჩიან ნიშნულს უწია. "ოლდ ტრეფორდზე" საიუბილეო შეხვედრაში "ლივერპულის" წინააღმდეგ (2:0) მან "დაუძინებელ მტრებს" ერთი გოლი გაუტანა, იმავე სეზონში "მანიუსა" და "ლივერპულის" ენფილდურ შეხვედრაში კი წითელი ბარათით დასაჯეს, რის გამოც სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. შემადგენლობაში დაბრუნების უმალ, 2007 წლის 31 მარტს ფეხბურთელმა "ბლექბერნს" (4:1) გაუტანა და მატჩის ბოლომდე ყველაფერს აკეთებდა, რათა მის გუნდს "ვარდები" ბოლომდე გაენადგურებინა. მან ამით ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინა ფანების თვალში, თუმცა ზუსტად სამ დღეში ის მეორედ მიაბრძანეს მინდვრიდან. ამჯერად ჩემპიონთა ლიგაში "რომასთან" (1:1). ბუნებრივია, ნახევარმცველმა დისკვალიფიკაცია მიიღო, რის გამოც "მანჩესტერისა" და "რომას" ისტორიულ შეხვედრას დააკლდა – 7:1 "ალისფერი ეშმაკების" სასარგებლოდ.

არ იყო მეოთხედფინალურ შეხვედრაში, სამაგიეროდ "ოლდ ტრეფორდზე" "მილანთან" პირველი ნახევარფინალის გმირი გახდა, როცა "ეშმაკებს" თამაშის შემოტრიალებაში დაეხმარა. მან ერთი პასით მოჭრა "როსონერის" მთელი დაცვა, მათ შორის **პაოლო მალდინი** და **ალესანდრო ნესტა** და **უეინ რუნი** მეკარესთან ერთი ერთზე დატოვა. ამ უკანასკნელმა ანგარიში 2:2 გახადა. "იუნაიტედმა" ის დაპირისპირება საბოლოოდ 3:2 მოიგო. საპასუხო შეხვედრაში "სან სიროზე" სტუმრობისას "მილანმა" მეტოქისგან ქვა ქვაზე არ დატოვა - 3:0.

2007/08 წლების სეზონი "ეშმაკებმა" სუსტად დაიწყეს. ამას ის დაემატა, რომ ოქტომბერში სქოულზმა მუხლის მყესები დაიზიანა და ფეხბურთს 3 თვით ჩამოშორდა. პოლი მინდორს მხოლოდ 2008 წლის იანვრის მიწურულს დაუბრუნდა. ამავე წლის 23 აპრილს ვარსკვლავმა ჩემპიონთა ლიგაში მე-100 შეხვედრა გამართა, თანაც უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში ბარსელონის "კამპ ნოუზე". "მანიუმ" "ბლაუგრანასთან" 0:0 ითამაშა, საპასუხო დაპირისპირებაში კი სქოულზის ულამაზესი გოლით 1:0 მოიგო და ფინალის საგზური მოიპოვა. 2008 წლის 21 მაისს მოსკოვში გამართულ გადამწყვეტ მატჩში "ჩელსისთან" სქოულზი ძირითად შემადგენლობაში იყო და მიუხედავად იმისა, რომ **კლოდ მაკელელესთან** ორთაბრძოლაში ცხვირი გაიტეხა, 87-ე წუთამდე თავდადებით ირჯებოდა. ალბათ მშვენივრად გახსოვთ, რომ ლიგის გამარჯვებულის ბედი პენალტების სერიამ გაარკვია. სქოულზი და კამპანია ლიგის ტრიუმფატორი გახდნენ.

2008/09 წლების სეზონი პოლისთვის წარუმატებელი გამოდგა. მის ანგარიშზე იყო 2 გოლი, 2 საგოლე პასი (21 თამაშში) და 2 წითელი ბარათი – ორივე ხელით თამაშისთვის.

სანაკრებო ჯარიერა

სქოულზს სანაკრებო დებიუტი სამხრეთი აფრიკის ნაკრებთან 1997 წლის 24 მაისს ჰქონდა. **გლენ ჰოდლმა** იწამა ახალგაზრდა ნახევარმცველის და ერთი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე იახლა, თანაც, ძირითადის ფეხბურთელის რანგში. ტუნისთან შეხვედრაში მან ერთხელ თავის გამოჩენაც შეძლო. ინგლისმა საბოლოოდ 2:0 გაიმარჯვა. საფრანგეთში გამართული ჩემპიონატი ინგლისისთვის როგორ დამთავრდა, ალბათ ყველას ახსოვს. კუნძულელები პენალტების სერიაში არგენტინასთან დამარცხდნენ.

სქოულზმა ითამაშა კორეა-იაპონიის მუნდიალზეც, სადაც ინგლისი ისევ სამხრეთამერიკულ ნაკრებთან გამოეთიშა ასპარეზობას, ამჯერად მომავალ ჩემპიონ ბრაზილიასთან. ამის შემდეგ პოლის სანაკრებო კარიერას სერიოზული საფრთხე დაემუქრა, რადგან ინგლისის ნაკრებში **სტივ ჯერარდი** და **ფრენკ ლემპარდი** დამკვიდრდნენ. ამ მიზეზით **სვენ გორან ერიკსონი** სულ უფრო იშვიათად იძახებდა ფეხბურთელს და ვიდრე ხმამაღლა ეტყოდნენ, ნაკრებს აღარ სჭირდებიო, 2004 წელს თავად წავიდა ეროვნული გუნდიდან. სადაც 66 შეხვედრაში გატანილი 14 გოლით კუთვნილი ადგილი დაიკავა ეროვნული გუნდის ისტორიაში.

● გაურკვევლობა



ბერტი ფოგთსი

ფოგთსი პიდინკის ნაცვლად?

იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთის ნაკრების თავკაცი **გუუს ჰიდინკი** თანამდებობას დატოვებს და სამუშაოდ "ჩელსიში" გადავა, მას ამ პოსტზე სავარაუდოდ გერმანელი **ბერტი ფოგთსი** შეცვლის. შეგახსენებთ, რომ ვეტერანი გერმანელი მწვრთნელი ამჟამად აზერბაიჯანის ნაკრების დამრიგებელია. თურქების თქმით, მოვლენათა ამგვარად განვითარებას არ ელოდებიან, მაგრამ მათში გარკვეული შიში მაინც შეინიშნება. აი, რას აცხადებს ფედერაციის შეფი **თურქერ თოზარი**: *"ისეთი სიტუაციაა, რომ ძალიან ბევრი უპასუხო კითხვა ჩნდება. ჰიდინკს თურქმა თუ ინგლისელმა ჟურნალისტებმა უამრავჯერ ჰკითხეს მისი უახლოესი გეგმების შესახებ, მაგრამ ჰოლანდიელი კონკრეტულ პასუხს ჯერ არ იძლევა. ის მუდმივად ერთსა და იმავე პასუხობს, მაგრამ ფრაზა, რომ "არა, მე არსადაც არ მივდივარ", ჯერ არავისთვის უთქვამს. გაურკვევლობა კი სიტუაციას უფრო და უფრო ძაბავს"*. აღსანიშნავია, რომ თურქული პრესა უკმაყოფილოა ჰოლანდიელის მუშაობით და ამას გარკვეული ობიექტური საფუძველი ნამდვილად აქვს: ბელგიასთან გასვლაზე ფრედ ნათამაშები მატჩის შემდეგ თურქები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილზე არიან.

ამასთან, გაურკვეველია, რატომ გაახსენდათ თურქეთში მაინცდამაინც გერმანელი მწვრთნელი, რადგან თამაშის ხარისხით არც მისი აზერბაიჯანი ბრწყინავს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგების შეკითხვა, აპირებდა თუ არა თურქეთში სამუშაოდ წასვლას, ფოგთსმა უპასუხოდ დატოვა. ამასობაში აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია 64 წლის გერმანელს თანამშრომლობის გახანგრძლივებას მისთვისვე სასურველი პირობებით სთავაზობს, ოღონდ იმ დათქმით, რომ მან **იოახიმ ლიოვის** გერმანიასთან უახლოესი საშინაო მატჩი არ უნდა წააგოს.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ევრო 2012. შესარჩევი მატჩები

ევროპამ ბოჟოვიჩიც დაასვენა

ინგლისმა, რა თქმა უნდა, გაირთულა, პავლიუჩენკოს სომხეთი შემოელახა, პოშტიგამ პორტუგალიას სულზე მიუსწრო

პორტუგალია-ნორვეგია. ელდერ პოშტიგას გოლმა პორტუგალიას მოაგებინა

შაბათს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის 9 შესარჩევი მატჩი გაიმართა, კიდევ 6 ამ ოთხშაბათს გველის და ერთიც აგვისტოში. ამით საშემოდგომო, გადამწყვეტი ეტაპის წინ, რომელიც 2 სექტემბერს დაიწყება, პაუზა ჩამოდგება. პარასკევსა და შაბათს ბევრი რამ გამოიკვეთა, თუმცა, ცხადია, გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი პოლონეთსა და უკრაინაში გაიმართება და ეს იქნება ბოლო პირველობა, სადაც 16 ნაკრები ითამაშებს (2016 წლის ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთში 24 გუნდი ითამაშებს). ეს ორი მასპინძელი გუნდი ავტომატურად იღებს ფინალური ეტაპის საგზურს, რომელთაც 9 შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებულებით, საუკეთესო მეორეადგილოსნით (დღეისათვის, ეს ჩერნოგორიაა) და დანარჩენი 8 მეორეადგილოსნიდან პლეი ოფში გამარჯვებული 4 ნაკრებით შეივსება.

ევრო 2012-ის შესარჩევ ჯგუფებში მხოლოდ სამი ნაკრებს აქვს ქულათა მაქსიმუმი მოგროვილი და სამივე ისეთია, რომელთაც მომავალ ევროპირველობაზე მთავარ ფავორიტებად მიიჩნევენ: ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი (5 თამაში, 5 მოგება), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰოლანდია (6 თამაში, 6 მოგება) და ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი გერმანია (6 თამაში, 6 მოგება). არა გვგონია, ამ გუნდებს მიზნის მიღწევა, ანუ ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება გაუჭირდეთ. დაუმარცხებელი, მაგრამ არა უდანაკარგო კიდევ ოთხი გუნდია: იტალია, საბერძნეთი, ინგლისი და ჩერნოგორია. ოთხ ნაკრებს ჯერ ქულა არ მოუპოვებია: ანდორას, სან მარინოს, მალტას და, რაც ყველაზე საოცარია, უელსს.

შაბათს ისეთი სენსაცია არ დაფიქსირებულა, როგორიც პარასკევს ლიხტენშტაინმა შეძლო, ხოლო საქართველოს 14 წუთი დააკლდა - ერთადერთი, „უემბლიზე" გამართულ ორთაბრძოლას თუ მოვიყვანთ, სადაც **ფაბიო კაპელოს** გუნდმა არათუ ვერ მოიგო, არამედ შეიცარიასთან მარცხს მას მერე დაუძვრა, რაც ალპელები 2:0 დაწინაურდნენ.

A ჯგუფი

ამ ქვეჯგუფში თამაშები პარასკევს გაიმართა და მათზე უკვე მოგითხრეთ. ოთხშაბათს კიდევ ერთი მატჩია, ჩვენს სამეზობლოში გერმანიის ნაკრები ჩადის, რომელიც 18 ქულით, უდანაკარგოდ ასპარეზობს. თუკი **იოახიმ ლიოვის** გუნდი ბაქოში გაიმარჯვებს, პლეი ოფში თამაშს ახლავე გაინაღდებს.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გერმანია	6	6	0	0	19-2	18
2. ბელგია	7	3	2	2	15-10	11
3. თურქეთი	6	3	1	2	9-7	10
4. ავსტრია	6	2	1	3	10-10	7
5. აზერბაიჯანი	5	1	0	4	4-15	3
6. ყაზახეთი	6	1	0	5	2-15	3

7 ივნისი

აზერბაიჯანი-გერმანია

2 სექტემბერი

აზერბაიჯანი-ბელგია
თურქეთი-ყაზახეთი
გერმანია-ავსტრია

6 სექტემბერი

აზერბაიჯანი-ყაზახეთი
ავსტრია-თურქეთი

7 ოქტომბერი

ბელგია-ყაზახეთი
თურქეთი-გერმანია
აზერბაიჯანი-ავსტრია

11 ოქტომბერი

ყაზახეთი-ავსტრია
გერმანია-ბელგია
თურქეთი-აზერბაიჯანი

B ჯგუფი

შაბათის მატჩებმა კიდევ უფრო დაძაბა ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა - ერთდროულად სამ გუნდს 13-13 ქულა აქვს - ირლანდიას, რუსეთსა და სლოვაკეთს. ის კი არა, გასვლის შანსი ჯერ სომხეთის ნაკრებსაც არ დაუკარგავს, თუმცა კი ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრა დათმო სანკტ პეტერბურგში.

რუსები გამარჯვებას **რომან პავლიუჩენკოს** „აფეთქებას" უნდა უმადლოდნენ, სწორედ მან შეასრულა ჰეთ თრიკი სომეხთა კარში. არადა, „ტოტენჰემის" თავდამსხმელი სასტარტო შემადგენლობაში არც უნდა ყოფილიყო, რომ არა **ალექსანდრ კერჟაკოვის** ტრავმა. პავლიუჩენკომ კი სრულად გამოიყენა მოულოდნელად მიცემული შანსი.

ერევანში ამ გუნდებმა მოულოდნელად 0:0 ითამაშეს. ამიტომაც, რუსები შემართებით გამოვიდნენ, რათა ყველასთვის დაემტკიცებინათ, რომ ის წაფორხილება შემთხვევითი იყო. **დიკ ადვოკაატის** გუნდი სრულ უპირატესობას ფლობდა და კინალამ დებიუტშივე დაწინაურდა, მაგრამ მე-18 წუთზე **ალექსანდრ ანიუკოვმა** ახლო მანძილიდან ვერ გაუტანა **რომან ბერეზოვსკის**. გოლი კი მოულოდნელად სტუმრებმა გაიტანეს, **იურა მოვსისიანმა** პასით ნატურალიზებული სომეხი **მარკოს პიზელი** მოძებნა, რომელმაც **იგორ აკინფეევს** შანსი არ დაუტოვა - 0:1.

ეს სენსაციური ანგარიში ტაბლოზე სულ რაღაც 60 წამი ენთო - პავლიუჩენკომ, რომელიც ნაკრებში მე-40 მატჩს ატარებდა, ანიუკოვის ჩამოწოდებულს მინაზე დაუშვებლად მიუჩინა ადგილი ბერეზოვსკის კარში. 29 წლის ფორვარდმა მეორე გოლი შესვენების მერე გაიტანა, როცა კარგი კომბინაცია გაითამაშეს **ზირიანოვმა, არშავინმა** და **სემშოვმა**. პავლიუჩენკომ ჰეთ თრიკი თამაშის დასრულებამდე 17 წუთით ადრე შეასრულა, როცა სომეხთა კაპიტანმა **სარგის ჰოვსეპიანმა** საჯარიმოში **იური ჟირკოვი** წაიქცია.

არავის ეგონა, თუ სლოვაკეთის ნაკრებს ასე გაუჭირდებოდა ანდორასთან. არადა, მასპინძლებმა მეორე ტაიმშიღა მოახერხეს ჯუჯა ქვეყნის ნაკრების კარის დალაშქვრა, როცა ფორვარდებმა ვერაფერი გააწყვეს, მხსნელად ვეტერანი მცველი **მიროსლავ კარჰანი** მოევლინათ. ბრატისლავაში თამაში მასპინძლებმა დაიწყეს მწვავედ და მათ უკვე მე-14 წამზე (!) შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, კერძოდ კი ამის შანსი **ფილიპ შებოს** ჰქონდა. ცოტა ხანში ისევ შებო გაიყვანეს დასარტყამ პოზიციაზე, მაგრამ ორივე შემთხვევაში მეკარე **ხოსე ანტონიო გომესმა** იყოჩაღა. პირველ ტაიმში გატანა **ჰამშიკსა** და **ვიტეკსაც** შეეძლოთ. მეორეში შებომ განაახლა დუელი ანდორელთა მეკარესთან, მაგრამ გომესმა 27 წლის თავდამსხმელს ახლა ახლო მანძილიდან დარტყმული თავური აუღო. 63-ე წუთზე ანდორელთა ფრთაშესხმული ოცნება დაიმსხვრა - ჰამშიკმა კუთხური ჩაანოდა და კარჰანმა დაუმუშავებლად დაარტყა სტუმართა კარში. ეს მცველის მე-14 გოლი იყო 103-ე სანაკრებო მატჩში.

სკოპიეში ირლანდიელთა გმირი კაპიტანი **რობი კინი** იყო, რომელმაც ნაკრებში 50-ე გოლი იზეიმა (რომელსაც 51-ე მოაყოლა), მაკედონიელებს კი ცუდად გასახსენებელი ექნებათ ტაიმის მიწურული, როცა პენალტი ვერ გამოიყენეს. ირლანდიელებმა უკვე იცოდნენ ჯგუფის სხვა მატჩების შედეგები და რომ მხოლოდ 3 ქულა დატოვებდა მათ ლიდერებში. ერთი კვირის წინ, ირლანდიის ნაკრებმა „ერთა თასი" მოიგო, მაშინ კინის გოლმა შოტლანდია დაამარცხა. ამიტომაც **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდი მაკედონიაში ამაღლებულ განწყობაზე იყო ჩასული. მე-8 წუთზე კინის დარტყმულს ოდნავ შეუცვალა მიმართულება **ნოვესკიმ** და ანგარიშიც გახსნა. ამის შემდეგ, რომ არა **შეი გივენის** გმირობა, **გორან პანდევი** ანგარიშს გაათანაბრებდა. 37-ე წუთზე კინმა **ბობან გრნჩაროვის** პასი ჩაჭრა და ირლანდია ორბურთიანი სხვაობით დააწინაურა. ეს უპირატესობა მალევე უნდა განახევრებულიყო - **ჯონ ოშიმ** საჯარიმოში პანდევი წააქცია, მაგრამ 24 წლის **ივან ტრიჩკოვსკიმ**, რომელიც კვიპროსულ აპოელ-ში გამოდის, პენალტი ხარიხას გაარტყა. მეორე ტაიმში ირლანდიელებმა ძალიან კარგად ჩაკეტეს ზონები და მაკედონიელები მხოლოდ შორი დისტანციიდან თუ აწუხებდნენ გივენს - 0:2. ვფიქრობთ, ამ ჯგუფში ძალზე მნიშვნელოვანი 2 სექტემბრის მატჩი იქნება, როცა დუბლინში ირლანდია სლოვაკეთს უმასპინძლებს.

რუსეთი-სომხეთი 3:1

რუსეთი (4-2-3-1): აკინფეევი - ანიუკოვი (74. იანბაევი), ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ჟირკოვი - დენისოვი, ზირიანოვი (82. ძაგოევი) - ტორბინსკი, სემშოვი (69. გლუშაკოვი), არშავინი - პავლიუჩენკო.

სომხეთი (4-1-4-1): ბერეზოვსკი - ჰოვსეპიანი, არზუმანიანი, მქოიანი, ჰაირაპეტიანი - კ. მკრტჩიანი (89. არტაკ ედიგარიანი) - პაჩაიანი (57. მანუჩარიანი), პიზელი (67. არტურ ედიგარიანი), ჰ. მკრტჩიანი, ღაზარიანი - მოვსისიანი.

გოლები: 0:1 პიზელი (25), 1:1 პავლიუჩენკო (26), 2:1 პავლიუჩენკო (59), 3:1 პავლიუჩენკო (73-პენ)

მაყურებელი: 18 000

სლოვაკეთი-ანდორა 1:0

სლოვაკეთი (4-3-3): კელო - ჰუბოჩანი, კარჰანი, დიურიცა, ჩეხი (83. სალატა) - კუჩკა (46. შესტაკი), ჰამშიკი, იეჟი - ჰოლოშკო (74. ჟოფჩაკი), ვიტეკი, შებო.

ანდორა (4-1-4-1): ხ. გომესი - ხ. რ. გომესი, ბერნაუსი, ლიმა, გარსია - ხიმენესი (86. ბესორა) - მარტინეს ალეხო, ვალესი, სილვა გარსია (64. ს. გომესი), ვიეირა - აიალა (16. ანდორა).

გოლი: 1:0 კარჰანი (63)

მაყურებელი: 4 300

მაკედონია-ირლანდია 0:2

მაკედონია (4-2-3-1): ბოგატინოვი - შიკოვი, ნოვესკი, გრნჩაროვი, პოპოვი - დემირი (72. სავიჩი), შუმულიკოსკი - ნუმოსკი (10. ჰასანი), დესპოტოვსკი (57. გიუროვსკი), ტრიჩკოვსკი - პანდევი.

ირლანდია (4-4-2): გივენი - კელი, ოში, ოდი, კილბეინი - მაკგიდი, ენდრიუსი, უელანი, ჰანტი - კინი, კოქსი (64. ლონგი).

გოლები: 0:1 კინი (8), 0:2 კინი (37)

შენიშვნა: ტრიჩკოვსკიმ (43) ვერ გაიტანა პენალტი

მაყურებელი: 29 500

რუსეთი-სომხეთი. რომან პავლიუჩენკომ ჰეთ თრიკი შეასრულა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ირლანდია	6	4	1	1	11-6	13
2. რუსეთი	6	4	1	1	9-4	13
3. სლოვაკეთი	6	4	1	1	6-4	13
4. სომხეთი	6	2	2	2	10-7	8
5. მაკედონია	6	1	1	4	5-8	4
6. ანდორა	6	0	0	6	1-13	0

2 სექტემბერი

ანდორა-სომხეთი
რუსეთი-მაკედონია
ირლანდია-სლოვაკეთი

6 სექტემბერი

სლოვაკეთი-სომხეთი
მაკედონია-ანდორა
რუსეთი-ირლანდია

7 ოქტომბერი

სლოვაკეთი-რუსეთი
სომხეთი-მაკედონია
ანდორა-ირლანდია

11 ოქტომბერი

რუსეთი-ანდორა
ირლანდია-სომხეთი
მაკედონია-სლოვაკეთი

C ჯგუფი

იტალიას ყველაფერი უწყობს ხელს, რომ მიზანს იოლად მიაღწიოს, დიდი ჰანდიკაპი (5 ქულით უსწრებს სლოვენიას, რომელსაც მეტი მატჩი აქვს ჩატარებული), იოლი კალენდარი (მხოლოდ ერთი ომი ელის ბელგრადში) და, რაც უმთავრესია, მართლაც დაბალანსებული გუნდი, კარგი შეტევითა და უნაკლო დაცვით (მხოლოდ 1 გოლი გაუშვეს 6 შეხვედრაში). მოკლედ, „სკუადრა აძურას" ალბათ ვიხილავთ პოლონეთსა და უკრაინაში. აი, მეორე ადგილისთვის ბრძოლის კონტურები კი შემოდგომით თუ გამოჩნდება...

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იტალია	6	5	1	0	14-1	16
2. სლოვენია	7	3	2	2	9-4	11
3. სერბეთი	6	2	2	2	8-9	8
4. ესტონეთი	6	2	1	3	7-9	7
5. ჩრ. ირლანდია	5	1	3	1	3-3	6
6. ფარერეები	6	0	1	5	3-18	1

7 ივნისი

ფარერეები-ესტონეთი

10 აგვისტო

ჩრ. ირლანდია-ფარერეები

2 სექტემბერი

ჩრ. ირლანდია-სერბეთი
სლოვენია-ესტონეთი
ფარერეები-იტალია

6 სექტემბერი

იტალია-სლოვენია
სერბეთი-ფარერეები
ესტონეთი-ჩრ. ირლანდია

7 ოქტომბერი

სერბეთი-იტალია
ჩრ. ირლანდია-ესტონეთი

ევრო 2012. შესარჩევი მატჩები

ინგლისი-შვეიცარია. ტრანკვილო ბარნეტამ უემბლიზე დუბლი შეასრულა

11 ოქტომბერი

სლოვენია-სერბეთი
იტალია-ჩრ. ირლანდია

D ჯგუფი

ვნახოთ, რას იზამს ოთხშაბათს ბელარუსი - თუკი ლუქსემბურგს დაამარცხებს (რაც სავსებით მოსალოდნელია), ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის სერიოზულ განაცხადს გააკეთებს. ფრანგები კი ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ ლიდერობა არ გაანიავონ...

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	6	4	1	1	9-2	13
2. ბელარუსი	6	2	3	1	4-2	9
3. რუმინეთი	6	2	2	2	8-6	8
4. ალბანეთი	5	2	2	1	4-4	8
5. ბოსნია	5	2	1	2	6-7	7
6. ლუქსემბურგი	6	0	1	5	1-11	1

7 ივნისი

ბელარუსი-ლუქსემბურგი
ბოსნია-ალბანეთი

2 სექტემბერი

ალბანეთი-საფრანგეთი
ლუქსემბურგი-რუმინეთი
ბელარუსი-ბოსნია

6 სექტემბერი

ლუქსემბურგი-ალბანეთი
ბოსნია-ბელარუსი
რუმინეთი-საფრანგეთი

7 ოქტომბერი

რუმინეთი-ბელარუსი
საფრანგეთი-ალბანეთი
ბოსნია-ლუქსემბურგი

11 ოქტომბერი

საფრანგეთი-ბოსნია
ალბანეთი-რუმინეთი

E ჯგუფი

ოთხშაბათს შვედეთის ნაკრები შეეცდება „სათოფე მანძილზე" მიუახლოვდეს ჰოლანდიას. შვედები მეზობელ ფინელებს მასპინძლობენ და ამ შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჰოლანდია	6	6	0	0	21-5	18
2. შვედეთი	5	4	0	1	15-6	12
3. უნგრეთი	6	3	0	3	15-13	9
4. ფინეთი	5	2	0	3	11-6	6
5. მოლდოვა	6	2	0	4	7-9	6
6. სან მარინო	6	0	0	6	0-30	0

7 ივნისი

შვედეთი-ფინეთი
სან მარინო-უნგრეთი

2 სექტემბერი

უნგრეთი-შვედეთი
ფინეთი-მოლდოვა
ჰოლანდია სან მარინო

6 სექტემბერი

ფინეთი-ჰოლანდია
სან მარინო-შვედეთი
მოლდოვა-უნგრეთი

7 ოქტომბერი

ფინეთი-შვედეთი
ჰოლანდია-მოლდოვა

11 ოქტომბერი

შვედეთი-ჰოლანდია
უნგრეთი-ფინეთი
მოლდოვა-სან მარინო

G ჯგუფი

„უემბლიზე" ინგლისი მოულოდნელ მარცხს გადაურჩა შვეიცარიის ნაკრებთან, რასაც **ეშლი იანგს** უნდა უმადლოდეს, რომელმაც მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა - 2:2. სატურნირო მდგომარეობამ შვეიცარია კედელთან მიიმწყვდია - მას უნდა შეეტია ინგლისში და ასეც მოიქცა, **ჯო ჰარტი** მატჩის დასაწყისში რამდენჯერმე ჩაერთო თამაშში. ნახევარი საათის გასვლის შემდეგ **ტრანკვილო ბარნეტას** დრო დადგა, რომელმაც 4 წუთში ორი საჯარიმო დარტყმა აქცია გოლად. მეორე გოლისას ჰარტი აშკარად შეცდა. ბარნეტას წინა 32 მატჩში ნაკრების ფორმით გოლი არ გაეტანა, ახლა კი ერთბაშად დუბლი მიითვალა. ინგლისელებს, ბედად, შემადგენლობაში **ჯეკ უილშირი** ჰყავდათ, რომელმაც მანამდეც სისხლი გაუშრო მცველებს. 37-ე წუთზე კი წმინდა არსენალური დუელი ვიხილეთ - უილშერი **ჯურუმ** წააქცია. **ფრენკ ლემპარდმა** პენალტი გამოიყენა. შესვენებაზე თამაშში ეშლი იანგი ჩართეს, რომელმაც 6 წუთში გამოიჩინა თავი.

ჯონ ტერი (ინგლისი): *„ახლა, 2 სექტემბერს ბულგარეთში აუცილებლად გამარჯვება გვესაჭიროება. პირველ ტაიმში ჩვენი თამაშით უკმაყოფილოები ვართ. ტემპიც არ გვივარგოდა, მეორეში ვიყოჩაღეთ, მაგრამ ვერ შევძელით გამარჯვების მიღწევა".*

ინგლისელთა ბედად, ვერც კონკურენტმა ჩერნოგორიამ მოიგო, შინ 1:1 ბულგარეთს დაუზავდა. პოდგორიცაში **ზლატკო კრანჩარის** გუნდმა ბრწყინვალე შანსი გაუშვა გალიდერების. ბულგარელმა **იველინ პოპოვმა** შეძლო ის, რაც აქამდე შესარჩევ ციკლში ვერავინ მოახერხა - ჩერნოგორიას გოლი გაუტანა. სწორედ ამ გოლმა არ მოაგებინა მასპინძლებს. კრანჩარის გუნდი უტევდა და პირველ ტაიმში ბულგარელები ორჯერ იხსნა ხარიხამ, ჯერ 37-ე წუთზე **სავო პავიჩევიჩმა** 30 მეტრიდან გაისროლა, ორ წუთში კი **ნიკოლა დრინჩიჩის** კუთხურს თავი **მარკო ბაშამ** დაუხვედრა.

დაიწყო მეორე ტაიმი და **ვლადიმირ ბოჟოვიჩის** ჩანოდების შემდეგ ანგარიში **რადომირ დიალოვიჩმა** გახსნა. ბულგარელებს ქულა მატჩში საუკეთესო ფეხბურთელის, **მარტინ პეტროვის** აქტიურობამ მოუტანა, რომელმაც მარცხენა ფლანგზე დატანჯა მოწინააღმდეგეები, მის ანგარიშზე საგოლე პასია.

ზლატკო კრანჩარი (ჩერნოგორია): *„ბიჭებმა ყველაფერი ჩადეს ამ თამაშში, კარგად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მეტოქეც მონოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. დღეს ჯგუფში ორივე მატჩი ფრედ დასრულდა, სიტუაცია შენარჩუნდა, ბრძოლას ვაგრძელებთ".*

ინგლისი-შვეიცარია 2:2

ინგლისი (4-3-3): ჰარტი - ჯონსონი, ფერდინანდი, ტერი, ე. კოული (31. ბეინესი) - ლემპარდი (46. ე. იანგი), პარკერი, უილშერი - უოლკოტი (78. დაუნინგი), ბენტი, მილნერი.

შვეიცარია (4-2-3-1): ბენალიო - ლიხტშტაინერი, ჯურუ, სენდეროსი, ციგლერი - ინლერი, ბეჰრამი (58. ძემალი) - ჩაკა, შაქირი, ბარნეტა (90. ემეგარა) - დერდიოკი (74. მეჰმედი).

გოლები: 0:1 ბარნეტა (32), 0:2 ბარნეტა (36), 1:2 ლემპარდი (37-პენ), 2:2 იანგი (51)

მაყურებელი: 84 459

ჩერნოგორია-ბულგარეთი 1:1

ჩერნოგორია (4-4-2): მ. ბოჟოვიჩი - პავიჩევიჩი (82. კასჩელანი), ბაშა, სავიჩი, პეიოვიჩი - ზეროტიჩი (72. იოვეტიჩი), დრინჩიჩი, პეკოვიჩი, ვ. ბოჟოვიჩი (76. ფატიჩი) - დიალოვიჩი, ვუჩინიჩი.

ბულგარეთი (4-2-3-1): მიხაილოვი - ბოდუროვი, ივანოვი, ბანდალოვსკი, ზანევი - იანევი (84. გენკოვი), ს. პეტროვი (46. იანკოვი) - მ. პეტროვი (88. დელევი), მარკინიოსი, მანოლევი - პოპოვი.

გოლები: 1:0 დიალოვიჩი (53), 1:1 პოპოვი (66)

მაყურებელი: 11 500

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ინგლისი	5	3	2	0	11-3	11
2. ჩერნოგორია	5	3	2	0	4-1	11
3. შვეიცარია	5	1	2	2	7-7	5
4. ბულგარეთი	5	1	2	2	2-6	5
5. უელსი	4	0	0	4	1-8	0

2 სექტემბერი

ბულგარეთი-ინგლისი
უელსი-ჩერნოგორია

6 სექტემბერი

ინგლისი-უელსი
შვეიცარია-ბულგარეთი

7 ოქტომბერი

ჩერნოგორია-ინგლისი
უელსი-შვეიცარია

11 ოქტომბერი

ბულგარეთი-უელსი
შვეიცარია-ჩერნოგორია

H ჯგუფი

ელდერ პოშტიგას გოლმა პორტუგალიას მეტად მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა ნორვეგიასთან მატჩში. ახლა ამ ჯგუფში სამხელისუფლებიანობაა - 10-10 ქულა ამ ორი გუნდის გარდა დანიას აქვს, რომელმაც ისლანდიაში იმარჯვა. თუმცა დავუბრუნდეთ ლისაბონში გამართულ შეხვედრას. ამ შესარჩევ ციკლამდე ნორვეგიას პორტუგალიისთვის ვერ მოეგო, მაგრამ სექტემბერში ოსლოში სკანდინავიელთა პირველი ტრიუმფის მომსწრენი გავხდით. **ეგილ ოლსენმა** კარგად იცოდა, რომ პორტუგალიელებს შურისძიება სწყუროდათ და მატჩის წინ აცხადებდა კიდეც ამის შესახებ. **ჟოაო მოუტინიოს, რაულ მეირელეშსა** და **კრიშტიანო რონალდოს** თავიდანვე ჰქონდათ გოლის გატანის შანსები. თანდათან ლუზიტანიელები შეტევაში გაერთნენ და სტუმრებმა კინაღამ კონტრშეტევით დასაჯეს - მე-17 წუთზე „ბარის" შემტევი **ერიკ ჰუსეკლეპი** მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ **ედუარდომ** იყოჩაღა. მაგრამ ყველაზე კარგი შანსი მაინც **მორტენ პედერსენს** ჰქონდა, თუმცა მან ბურთი ხარიხას გადააცილა.

„სელეშაუ დას ქვინასი" კი აგრძელებდა იერიშებს - კოენტრაუს ჩანოდებულს რონალდო შეწვდა, მაგრამ კაპიტანმა პირდაპირ ხელებში დაურტყა ნორვეგიელთა მეკარეს. მეორე ტაიმი კიდევ უფრო მეტი ზეწოლით დაიწყო პორტუგალიის ნაკრებმა, რომლის რიგებშიც **ნანი** და პოშტიგა გამოირჩეოდნენ. გოლიც ამ ორის შემოქმედებაა - ნანის პასის შემდეგ პოშტიგამ **იონ არნე რიისე** მოაგყუა და ახლო კუთხეში გაუტანა მანამდე ბრწყინვალედ მოთამაშე **იარსტეინს**. ამის შემდეგ ერთი აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა რონალდომ.

დანიელებმა მეორე ტაიმში გაუტანეს ისლანდიელებს. თავი შეცვლაზე შესულმა **ლასე სხონემ** და **კრისტიან ერიქსენმა** გამოიჩინეს.

ისლანდია-დანია 0:2

ისლანდია (4-2-3-1): მაგნუსონი - საევარსონი, კ. სიგურდსონი, ჰრეიდარსონი, ერიქსონი - გუნარსონი, სკულასონი (67. ფინბოგასონი) - გ. სიგურდსონი, გუდიონსენი, სიგტორსონი - ჰელგუსონი (77. გუდმუნდსონი).

დანია (4-2-3-1): სორენსენი - ციმლინგი, კიაერი, სვენსონი, პოულსენი - იაკობსენი, კვისტ იორგენსენი (62. კ. პოულსენი) - რომედალი, ერიქსენი, კრონ-დელი (46. სხონე) - ბენდტნერი.

გოლები: 0:1 სხონე (60), 0:2 ერიქსენი (75)

მაყურებელი: 7 609

პორტუგალია-ნორვეგია 1:0

პორტუგალია (4-1-4-1): ედუარდო - პერეირა (73. სარტორი), პეპე, ბალდე, ფონტრაუ - მეირელეში - რონალდო, მარტინზი (89. რუბენ მიკაელი), მოუტინიო, ნანი (85. ვარელა) - პოშტიგა.

ნორვეგია (4-2-3-1): იარსტეინი - ჰოგლი, ჰანგელანდი, დემიდოვი, ი. რიისე - ბ. რიისე, გრინდჰეიმი (84. ჰენრიკსენი) - ჰუსეკლეპი (75. ბრაატენი), ჰაუგერი, ჰედერსენი - კარეუ (60. აბდელაუე).

გოლი: 1:0 პოშტიგა (53)

მაყურებელი: 47 829

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პორტუგალია	5	3	1	1	11-7	10
2. დანია	5	3	1	1	7-4	10
3. ნორვეგია	5	3	1	1	6-4	10
4. კვიპროსი	4	0	2	2	5-8	2
5. ისლანდია	5	0	1	4	2-8	1

2 სექტემბერი

ნორვეგია-ისლანდია
კვიპროსი-პორტუგალია

6 სექტემბერი

ისლანდია-კვიპროსი
დანია-ნორვეგია

7 ოქტომბერი

კვიპროსი-დანია
პორტუგალია-ისლანდია

11 ოქტომბერი

დანია-პორტუგალია
ნორვეგია-კვიპროსი

I ჯგუფი

ამ ჯგუფში ყველაფერი სექტემბერ-ოქტომბერში გაირკვევა, რა თქმა უნდა, მე-2 ადგილისთვის ბრძოლას ვგულისხმობთ...

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ესპანეთი	5	5	0	0	15-5	15
2. ჩეხეთი	5	3	0	2	6-3	9
3. შოტლანდია	4	1	1	2	4-5	4
4. ლიტვა	5	1	1	3	3-8	4
5. ლიხტენშტაინი	5	1	0	4	3-10	3

2 სექტემბერი

ლიტვა-ლიხტენშტაინი

3 სექტემბერი

შოტლანდია-ჩეხეთი

6 სექტემბერი

ესპანეთი-ლიხტენშტაინი
შოტლანდია-ლიტვა

7 ოქტომბერი

ჩეხეთი-ესპანეთი

8 ოქტომბერი

ლიხტენშტაინი-შოტლანდია

11 ოქტომბერი

ლიტვა-ჩეხეთი
ესპანეთი-შოტლანდია

გვერდები მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

მაკედონია-ირლანდია. რობი კინის დუბლი გამარჯვებისა იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ძიუდო. ბუქარესტის მსოფლიოს თასი

ყველაზე წარმატებული ჯურნირი



ბეთქილ შუკვანი

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები ამ უქმეებზე სეზონში ყველაზე წარმატებით გაისარჯა - ბუქარესტში დამთავრებულ მსოფლიოს თასზე 3 ოქრო და 1 ვერცხლი მოიპოვა. ჩემპიონები **ბეთქილ შუკვანი** (60), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **ზვიად გოგოჭური** (90) გახდნენ, მძიმეწონისანი **ზვიად ხანჯალიაშვილი** კი ფინალში დამარცხდა. ამასთან, ჩვენმა ნაკრებმა გაიმარჯვა გუნდურ ჩათვლაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუმინეთში ძირითადად საუთადარიგოები წავიდნენ, გუნდის 8 წევრიდან კი მოპოვებულია ოთხი მედალი და ერთი მეხუთე ადგილი - **ამბაკო ავალიანის** (73) მიერ, შედეგი ნამდვილად კარგია. ჩვენებს გუშინ განსაკუთრებული დღე ჰქონდათ - სამი ქართველი ჭიდაობდა და სამივე ფინალში გავიდა. შედეგი მართლაც იმდენად გამორჩეულია, ძიუდოს ევროპული ფედერაციის საიტზე ტურნირის მიმოხილვაში იხუმრეს, ქართველები ასე წარმატებით საკუთარ შეჯიბრებაზე არ გამოსულანო. სამართლიანადაც, რადგან თბილისშიც 4 მედალი მოვიპოვეთ, მაგრამ მხოლოდ ორი ოქრო გვქონდა.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ტურნირი მთლად უძლიერესი შემადგენლობისა არ იყო, მაგრამ არც სუსტი ეთქმოდა. რუმინეთში არ ჩასულან იაპონიისა და კორეის გუნდები, ევროპელები მაინც სერიოზულად მოეკიდნენ შეჯიბრებას. რაც მთავარია, ჩვენი ნაკრების თავკაცი **პეტერ ზაიზენბახერი** ამ თასს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცალკეულ ფალავანთა გამოცდის თვალსაზრისით - ისინი საგანგებოდ შემოინახა ამ შედარებით სუსტი ტურნირისთვის, სადაც წარმატების მეტი შანსი ექნებოდათ, ეს კი საკუთარი ძალების რწმენას შემატებთო. ამ მხრივ შეჯიბრებამ სრულად გაამართლა.

მისასალმებელია შუკვანის მორიგი წარმატება. ევროპის ვიცე-ჩემპიონობის შემდეგ დღეს უკვე შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ სტაბილურობას მიაღწია და ის წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. ბუქარესტში მან ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო. არადა, თავიდან თუ წილისყრამ გაუმართლა - იტალიელი **ვინჩენცო კამერლინგო,** ჩინელი **ლიშუან იანი** და ბულგარელი **იანისლავ გერჩევი** ხვდებოდნენ, ნახევარფინალში ავსტრიელი მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ლუდვიგ პაიშერი** გადაეყარა. ტიტულების მიუხედავად, ჩვენებურმა ასეთი ძლიერი მეტოქე პირდაპირ იპონით დაამარცხა. საბედნიეროდ, ფინალშიც შეძლო მობილიზება გერმანელ **ტობიას ენგლმაიერთან** და ორი ვაზარი ჩაუტარა. რაც მთავარია, ეს გდებები ძალიან თავისუფლად შეასრულა, დაუძაბავად და არც დაღლა ეტყობოდა. მისასალმებელია, რომ ამ წონაში ძლიერი კონკურენცია გაჩნდა, რაც **ამირან პაპინაშვილს** მოდუნების საშუალებას არ მისცემს.

ბოლო პერიოდის გაჭიანურებული ჩავარდნის ფონზე ჭრიკიშვილი ზაიზენბახერმა შეგნებულად გააგზავნა რუმინეთში (თვითონ არ გაჰყოლია გუნდს. არც **ზურაბ ზვიადაური** წასულა, ხოლო ნაკრები **ივერი ჯიქურაულმა** წაიყვანა) და არა მოსკოვში - ეს უფრო სუსტი შეჯიბრებაა, სადაც წარმატების მოპოვების შანსი მეტი აქვს, რაც ფსიქოლოგიურად წაადგებაო. მწვრთნელი მართალიც აღმოჩნდა. ვინც ინტერნეტით უყურებდა შეჯიბრების მიმდინარეობას, დამეთანხმება, რომ ახალგაზრდა ტალანტის გამარჯვება ლოგიკური იყო. ამას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ შეჯიბრების სისუსტეს, რადგან საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაც გამოდიოდა და, რაც მთავარია, ჩვენებურმა კარგად იჭიდავა. შედარებით მხოლოდ მეოთხედფინალში გაუჭირდა ფრანგ **ანტუან ჟანინთან,** დამატებითი დროც დასჭირდა, მაგრამ ვაზარი მაინც გაუკეთა. ეს იყო ტურნირზე ქულებით მოგებული ორ შეხვედრიდან ერთი - მანამდე ასეთი სხვაობით ბელგიელი **იოახიმ ბოტიე** დაამარცხა, სხვა შეხვედრებში კი იპონებით იმარჯვა. დასაწყისში იტალიელი **ლუკა პოეტა** და სერბი **სრჟდან მრვალჯევიჩი** დააიპონა. აღსანიშნავია, რომ სერბის დასაჯაბნად 1 წუთიც არ დასჭირდა, არადა, სამივე ხარისხის გდება გაუკეთა. დასკვნით ნაწილში მას ურთიერთობა უკრაინელებთან მოუხდა - ნახევარფინალში **ვიქტორ სავინოვს** სძლია, ფინალში - **არტემ ვასილენკოს.** ორივეს უზადო გდებები ჩაუტარა. არადა, ფრანგთან შეხვედრის შემდეგ გაჩნდა შიში, შემორჩებოდა თუ არა ძალები დასკვნით ნაწილში. საბედნიეროდ, შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, ისე ძლიერად იჭიდავა, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა.

ალბათ, გოგოჭურს ეს ტურნირი არასოდეს დაავიწყდება, რადგან კარიერაში პირველი შეჯიბრება მოიგო. მისი წაყვანა როგორღაც მოულოდნელიც იყო, მაგრამ ჩანს, ზაიზენბახერს ვარჯიშებზე მოაწონა თავი. ამანაც ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო. თანაც - ყველაში იპონი მიითვალა. ვერც იმას ვიტყვით, რომ სუსტი მეტოქეები ჰყავდა - ავსტრიელი **მაქს შინჰოფერი** უკვე საკმაოდ გამოცდილია (ყოველ შემთხვევაში, ამასთან შედარებაც არ შეიძლება), ხოლო სლოვაკი **მილან რანდლი** ახალგაზრდებში ევროპის არაერთგზის პრიზიორია, უფროსებში კი 2009 წლის მსოფლიოზე ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა. გოგოჭურს ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აქვს, თუმცა ჟინი და შემართება მის გამოსვლას ყოველთვის ახასიათებდა, როგორც - სილამაზე. მან არც უკან დახევა იცის და ეს თვისებები ახლაც გამოავლინა, თუმცა ამჯერად ტატამზე თითქოს უფრო დაკვირვებით მოძრაობდა. ზემოდასახელებული დუეტის გარდა, ჩვენებურმა ჩეხ **მიშალ ჰორაკს,** ყირგიზ **ჩინგიზ მამედოვს** და რუს **გრიგორი სულემინის** მოუგო. ამათგან მხოლოდ შინჰოფერთან გაუჭირდა პირველივე ორთაბრძოლაში - ვაზარს აგებდა, მაგრამ შეხვედრის მიწურულს მაინც მიაღწია საწადელს. საბედნიეროდ, სხვებთან ბედი ასე სასწორზე არ შეუგდია და ბევრად იოლად აჯობა.

საჭიდაო სამყაროსთვის გოგოჭურიც უცხოა და ფინალში მისი მეტოქე სულემინიც. ეს რუსიც კარგი ფალავანი ჩანს - მანაც შეხვედრათა უმეტესობა წმინდად მოიგო. მათ შორის - ბრაზილიელ **ჰუგო პესანასთანაც.** ის ფიზიკურად ჩვენებურზე დიდიც ჩანდა და უფრო - ნავარჯიშებიც, მაგრამ მთელი თავისი სიმაღლით ამართულმა გოგოჭურმა ისე წამოიკიდა კისრულზე, ტომარასავით დაახეთქა ტატამზე. იმედია, გოგოჭურის ეს წარმატება ნაკრებში ამ წონაშიც შეგვიქმნის კონკურენციას, რაც **ვალერი ლიპარტელიანზეც** დადებითად აისახება. ევროპული ფედერაციის საიტმა ის ამ წონაში ჩვენს ახალ ტალანტად მიიჩნია ზვიადაურის, **ირაკლი ცირეკიძის** და ლიპარტელიანის შემდეგ.

ხანჯალიაშვილმა პირველ წრეში სერბი **მარკო რადულოვიჩი** ორი ვაზარით, რუმინელი **დანიელ ნატეა** იპონით, ნახევარფინალში რუსი **მაგომედ ნაჟმუტდინოვი** კი გაფრთხილებებით დაამარცხა. სამწუხაროდ, ფინალში ვერაფერს გახდა ევროპის წლევანდელ ვიცე-ჩემპიონთან, უნგრელ **ბარნა ბორთან** და გაფრთხილებებით წააგო.

უმედლოდ დარჩენილთაგან ავალიანი უნდა გამოვარჩიოთ, რომლის გამოსვლასაც წარუმატებელს ვერ დავარქმევთ. მან პირველ წრეში პორტუგალიელ **ტომაშ კოშტას** ქულებით აჯობა, მერე კი გერმანელი **კრისტოფერ ფოელკი** და თურქი **ჰასან ვანილოღლუ** დააიპონა. გერმანელმა წინა კვირას მოსკოვში ფინალი იჭიდავა, ახლა კი ავალიანმა სამივე ხარისხის ქულა აართვა. ნახევარფინალში მომხდარი მისთვის პატარა დრამა აღმოჩნდა - ებრაელ **იოსებ ფალელაშვილთან** გაფრთხილებით წააგო 1:2-ზე. არადა, წლეულს მას ორჯერ მოუგო! სამწუხაროდ, მერე ბრინჯაოსთვის ბრძოლაც დათმო ფრანგ **ჟონატან ალარდონთან,** ვინაც მანამდე პირველ წრეში **ნუგზარ ტატალაშვილი** დაგვიმარცხა. ცუდია, რომ ამ ახალგაზრდამ თავი დიდად ვერ წარმოაჩინა, როგორც - **პაატა მერებაშვილმა** (60). მართალია, მან ერთი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ ფაქტია - მისი კრიზისი კვლავაც გრძელდება. ჩვენი ბოლო მონაწილე - **შალვა ქარდავა** (66) თითქოს ურიგოდ არ გამოსულა, სამი მეტოქე დაამარცხა, მაგრამ მთავარი მაინც შედეგია, ეს კი მის ჭიდაობაში არც ამჯერად გამოჩნდა.

ავთანდილ ჭრიკიშვილი

კეარსხლბეკი

60 კგ. 1. ბეთქილ შუკვანი (საქართველო), 2. ტობიას ენგლმაიერი (გერმანია), 3. ისამ ნოური (საფრანგეთი), ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია).

66 კგ. 1. დან გეორგე ფასიე (რუმინეთი), 2. დავიდ ლაროსე (საფრანგეთი), 3. კოლინ ოუტსი (ბრიტანეთი), პაველ ზაგროდნიკი (პოლონეთი).

73 კგ. 1. რასულ ბოკიევი (ტაჯიკეთი), 2. იოსებ ფალელაშვილი (ისრაელი), 3. ჟონატან ალარდონი (საფრანგეთი), ჰასან ვანილოღლუ (თურქეთი). **5. ამბაკო ავალიანი** (საქართველო).

81 კგ. 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი (საქართველო), 2. არტემ ვასილენკო (უკრაინა), 3. ანტოინ ჟანინი (საფრანგეთი), სზლაბოშს კრისზანი (უნგრეთი).

90 კგ. 1. ზვიად გოგოჭური (საქართველო), 2. გრიგორი სულემინი (რუსეთი), 3. ჩინგიზ მამედოვი (ტაჯიკეთი), მილან რანდლი (სლოვაკეთი).

100 კგ. 1. ლუკაშ კრპალეკი (ჩეხეთი), 2. რამადან დარვიში (ეგვიპტე), 3. ლეონარდო ლეიტე (ბრაზილია), ამელ მეტიკი (ბოსნია).

+100 კგ. 1. ბარნა ბორი (უნგრეთი), **2. ზვიად ხანჯალიაშვილი** (საქართველო), 3. ვალტერ სანტოსი (ბრაზილია), სოსლან ბოსტანოვი (რუსეთი).

ირაკლი თავაძე

● კრივი. რეგიონი


ავთანდილ შოშიაშვილი

ქმარა დასვენება, მუშაობის დროა

ცნობილი გორელი მწვრთნელი ავთანდილ შოშიაშვილი სამ ათეულ წელიწადზე მეტია ქართული კრივს ემსახურება. მისი მუშაობის შთამბეჭდავი შედეგი ყველაზე ტიტულოვანი ქართველი მოკრივის, გიორგი კანდელაკის მიერ მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონობა იყო. ერთხანს ბატონი ავთო საქართველოს ნაკრებსაც ედგა სათავეში. დაახლოებით ორი წლის წინათ ადგილობრივმა ხელისუფლებამ რატომღაც იგი საერთოდ ჩამოაცილა მის მიერვე დაფუძნებულ გორის კრივის სკოლას. ქართული კრივის მესვეურების, კერძოდ, ფედერაციის პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილის თანადგომით წლეულს იანვარში შოშიაშვილი კვლავ დაინიშნა გორის კრივის სკოლის დირექტორად.

- საქმეს მოწყურებეულმა შემართებით განვაახლე მუშაობა. განახლებას მწვრთნელთა ცვლილებები არ მოჰყოლია, მაგრამ მნიშვნელოვნად შეიცვლა სასწავლო პროცესი. გაიზარდა დარტვირთვები, გავაძლიერეთ ფიზიკური მომზადება. მარტში ჩვენმა კადეტებმა საქართველოს ჩემპიონატზე სამ-სამი პირველი, მეორე და მესამე ადგილი მოიპოვეს, რამაც გუნდური პირველობაც განაპირობა. შემდეგ ისევ კადეტებში სამცხე-ჯავახეთის ღია პირველობაზეც საუკეთესო გუნდური შედეგი ვაჩვენეთ - გვითხრა ავთო შოშიაშვილმა.

- ამას წინათ უნივერსიადაზე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმაც პირველობა მოიპოვა...

- უნივერსიტეტის გუნდიც ჩვენი და ვარიანის კრივის სკოლების წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული.

- მიუხედავად ამისა, გორიდან საქართველოს პირველ ნაკრებში არცერთი წევრი არ არის ...

- მაქსიმალურად შევეცდებით ადგილების დაბრუნებას მთავარ ნაკრებში, კადეტთა და 15-წლამდელთა ნაკრებებში კი სამ-სამი მოკრივით ვართ წარმოდგენილი. ახალგაზრდულ ნაკრებში ნიკა სეხნიაშვილი (75 კგ), წლეულს ბალტიისპირეთში საერთაშორისო ტურნირზე ფინალისტი გახდა. იგი ამჟამადაც შეკრებაზეა დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე და ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადება. 22 – 31 ივნისს კი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების რიგებში, გორელი ალეკო ლურსმანაშვილი (50) ყაზახეთში გაემგზავრება მსოფლიოს პირველობაზე, სადაც მას პირადი მწვრთნელი გელა სხირტლაძეც გაჰყვება.

- გელა სხირტლაძის ჯგუფი ადრე ხომ გორში სხვა დარბაზში ვარჯიშობდა?

- დღეს ისიც ჩვენთანაა, ისევე როგორც სამაჩაბლოდან დევნილი მოზარდ მოკრივეთა ჯგუფის მწვრთნელი მერაბ მაისურაძე. სხვათა შორის, ჩვენთან ვარჯიშობენ უკვე პროფესიულ კრივში გადასული ადგილობრივი მოკრივეებიც. მათთან სპარინგი ორივე მხარეს წაადგება სასიკეთოდ.

- გორში ღია შეჯიბრებებს თუ გეგმავთ?

- ივნისში ვარიანის დარბაზში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ჩატარდება გიორგი კანდელაკის სახელობის მესამე საერთაშორისო ტურნირი უმცროს ასაკში. შემოდგომით კი გიორგი კარელიძის ტრადიციულ ტურნირს გავმართავთ ახალ ოლიმპიურ რინგზე, რომელიც შარშან სპორტის სამინისტრომ და კრივის ფედერაციამ გორს გადასცეს. 2008 წლიდან სპორტსმენთა წასახალისებლად დამკვიდრდა პრემიების სისტემაც. შეუძლებელია ასეთმა მიდგომამ შედეგი არ გამოიღოს.

- უწინ კარგი კონტაქტები გქონდათ თურქეთის თუ კავკასიის ქვეყნების საკრივო წრეებთან და არაერთხელ წაგვიყვანიათ გუნდი ამ ქვეყნებში საასპარეზოდ. აღდგება ტრადიცია?

- სამწუხაროდ, მე რომ დამაბრუნეს წლევანდელი ბიუჯეტი უკვე გაწერილი იყო და ვერაფერს შევცვლიდი. გაისად კი ძველ კონტაქტებს აუცილებლად განვაახლებთ მეზობლებთან.

- არდადეგების დრო თქვენთანაც დგება?

- სულ ორიოდე დღით თუ შევისვენებთ. სპორტმა არდადეგები არ იცის. მზადების გეგმა უნდა შესრულდეს. ჩემთვისაც კმარა, რაც „დავისვენე“, ახლა ინტენსიური მუშაობის დროა!

ვასილ ბალახაძე
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

● ჭადრაკი

ლიდერებს ჩამორჩა


მიხეილ მჭედლიშვილი

გასულ უქმეებზე ინდოეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე ორი ტური გათამაშდა. თბილისელმა დიდოსტატმა **მიხეილ მჭედლიშვილმა** საკუთარ მონაგარს მხოლოდ ნახევარი ქულა შესძინა და დანინაურებულთ საგრძნობლად ჩამორჩა. მე-9 ტურში მან შავი ფიგურებით 16 წლის ინდოელ საერთაშორისო ოსტატ **საჰაჯ გროვერთან** წააგო, გუშინ კი მასპინძელ **გირინდს** დაუზავდა და 7 ქულით მხოლოდ მერვე ადგილზეა. ბოლო ტურის წინ მას 1,5 ქულით უსწრებს **მაგეშ ჩანდრან პანჩანადანი** (ინდოეთი), რომელმაც გუშინ სწორედ გროვერს სძლია. 8-8 ქულა აქვთ სომეხ **ტიგრან პეტროსიანს,** ინდოელ **გუფთას** და ბელარუს **ალექსეი ალექსანდროვს.** მე-10 ტურში მათ, შესაბამისად, **სერგეი კასპაროვის** (ბელარუსი), **ბაბუ ლალიდისა** (ინდოეთი) და **ლაქსმანის** (ინდოეთი) დამარცხებით საკუთარ მონაგარს თითო ქულა შესძინეს.

დღეს ბოლო მე-11 ტურში მჭედლიშვილი შავი ფიგურებით ინდოელ ვენკატეშს (7,5 ქულა) შეხვდება. ლიდერები კი ასე დაწყვილდნენ: ალექსანდროვი-პანჩანადანი, გუფთა-პეტროსიანი, გროვერი (7,5)-ბაკრე (7,5). გამარჯვებული და პრიზიორებიც სწორედ მენინავეთა პაექრობებში გაირკვევა.

ვაჟა დანელია

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ბუფონი; 4. ესპოზიტო; 8. ნალბანდიანი; 10. მარაო; 11. ეფენბერგი; 13. ლეიბი; 14. გვაზავა; 15. გეიმი; 16. გუნდე; 19. კილასონია; 22. სმიტი; 25. მჭედლიშვილი; 27. ოლდ; 28. რიბოკი; 29. ჟან; 30. ალი; 31. ილიე; 32. ინდაგი.

შვეულად: 1. ბუნდესლიგა; 2. "ფულშემი"; 3. ნოა; 5. სპარინგი; 6. "ოლიმპიაკოსი"; 7. ტარასოვა; 9. დერდიიოკი; 12. ბრიგელი; 17. ნისტელროი; 18. "სამშდორია"; 20. ლუსიო; 21. ნოვოტნა; 23. ტრიკონი; 24. "ემპოლი"; 26. იუენი.

შენიშვნა. კროსვორდის ბადეში თარაზულად 1. უნდა იკითხებოდეს „იუვენტუსის“ კაპიტანი.

● სპორტული მედიცინა

სემინარის მონაწილენი

გუზბახერმა გოგშელიძე დაიმედა

ქართული სნიკერსი ევროპაში, გერმანელი - სტალინის მუზეუმში

დამთავრდა სპორტული მედიცინის სამდღიანი სემინარი თემაზე: „ფიზიკური მზადების, გამძლეობის, ტესტირების და სპორტული კვების აქტუალური საკითხები ქართულ სპორტში". ქართველ მედიკოსებთან ერთად მასში მონაწილეობდა გერმანელი დოქტორი **ალბერტ გუზბახერი,** რომელიც არც ძირითად პროფესიას მოსწყდა - თეორიული ლექციების გარდა, ოპერაციებიც გააკეთა და ბლომად პაციენტებიც გასინჯა.

შაბათს სემინარს სასტუმრო „მუზამ" უმასპინძლა, რომელსაც, ექიმების გარდა, წამყვანი ნაკრებების მწვრთნელებიც ესწრებოდნენ. განიხილეს: რეაბილიტაციისა და ფიზიკური ვარჯიშების მნიშვნელობა მუხლისა და მხრის სახსრის ოპერაციების შემდგომ პერიოდში; სპორტული კვებისა და დღის რაციონის დაგეგმარება შეჯიბრების წინა პერიოდში; ტკივილის მართვის თანამედროვე პრინციპები; დოპინგში შემავალი პრეპარატების უარყოფითი გავლენა სპორტსმენთა ჯანმრთელობაზე; ფიზიკური მომზადება და ტესტირება ორთაბრძოლის სახეობებში და სხვა საკითხები. პირველ საკითხზე მოხსენება გუზბახერმა გააკეთა და სასტუმრო უმალვე დატოვა - კლინიკას მიაშურა ოპერაციებისთვის. სემინარმა კი ნაყოფიერად განააგრძო მუშაობა - განხილვებში მწვრთნელებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მათ დატყობიათ ანალოგიური ლექციების სიკეთე. ადრე თუ იშვიათად იყვნენ ისეთები, ვინც საკვებ რაციონში ერკვეოდა და შეეძლო მენიუს განსაზღრა-შედგენა, ახლა ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. ბერძენ-რომაელთა ნაკრების მწვრთნელ **ოთარ ტატიშვილს** მაგალითიც დაასახელეს, რომელსაც მენიუში ჩვეულებრივი შოკოლადის ნაცვლად ნატურალურის და კონცენტრატებისგან თავისუფალი მწარე შოკოლადის შეტანა მოუთხოვია. აქვე ისიც ითქვა, რომ ამ მხრივ სპორტსმენებიც „გაიზარდნენ" და შეკრებებსა თუ ტურნირებზე თვითონვე მიაქვთ ენერგიის აღმდგენი საკვები დანამატები. თან უკვე საკუთარი ორგანიზმის თავისებურებებსაც ითვალისწინებენ. რაც სჭირდებათ, ყველაფერი ფედერაციისგან ისედაც აქვთ, მაგრამ აქ ლაპარაკია ისეთ დანამატებზე როგორიცაა: ჩურჩხელა, თაფლი, ხილი, ანუ ისეთები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ამასთან, ყველა ასეთი პროდუქტი მკაცრად კონტროლდება გუნდის სამედიცინო პერსონალისგან. ექიმი და მწვრთნელი თავისთავად, მაგრამ სპორტსმენსაც უნდა შეეძლოს საკუთარი თავის მოვლა, მზადების პროცესში მისი პირადი პასუხისმგებლობის დონეც მაღალია და ეს უნდა გაითავისონ. ისინი თუ საკუთარ საკვებ რაციონს გააკონტროლებენ, მაშინ ძალიან იოლად მოუვლიან ჭარბ წონას და არც კლების პროცესი იქნება მტკივნეული.

ენერგიის აღმდგენი საშუალებების თანამედროვე სპორტში გამოყენებით მაინც ჩინელები გამოირჩევიან, რომელთა „ალქიმიკოსობა" ლეგენდად იქცა. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ეს ყველაფერი ორგანულია, ანუ ბუნებრივ ნედლეულზეა დამზადებული და დოპინგის კატეგორიაში არ გადის.

საბედნიეროდ, მსგავსი „ალქიმიკოსობისთვის" პროდუქცია ჩვენც მოგვეპოვება და ვიყენებთ კიდეც - იგივე ჩურჩხელა, ქიშმიში, ღვინის ცალკეული სახეობები (ოღონდ ძალზე მცირე დოზით), თაფლი მასში დამატებული ჩირით ან რამე ამგვარებით, თუმცა ბევრ ქვეყანაში მათი შეტანის ნებას არ იძლევიან. ევროპაში მდგომარეობა ბოლო წლებში შედარებით გამოსწორდა. მაგალითად, ჩურჩხელას უკვე ისინიც „ჯორჯიან სნიკერსს" ეძახიან, თუმცა უფრო შორს - ამერიკა-აზია-ავსტრალიაში ამას კვლავაც დიდი ეჭვით უყურებენ. განსაკუთრებით - ოლიმპიადებზე, სადაც უსაფრთხოების ღონისძიებები გამკაცრებულია. ამ კონტექსტში სემინარზე პეკინის თამაშებიც გაიხსენეს, როცა ჩვენებს ყველანაირი ნაყენი ჩამოართვეს.

სნიკერს-შოკოლადები ვახსენეთ და თურმე შეაბამისი სამსახურები „ბარამბოსთან" მოლაპარაკებას აწარმოებენ სპორტსმენების საგანგებოდ დამზადებული შოკოლადით მომარაგებაზე, რომელიც ენერგიის აღმდგენიც იქნება, ანტისტრესულიც და არც დოპინგის სიაში მოხვდება. არადა, აკრძალულთა შორის ბევრი ფართოდ გავრცელებული პირველადი მოხმარების პროდუქტი თუ პრეპარატია. ჩვეულებრივი ადამიანისთვის ისინი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ, მაგრამ ათლეტებისთვის მათი მიღება დაუშვებელია სტიმულატორების შემცველობის გამო. თუმცა ბევრს სხვა თვისება გააჩნია - ორგანიზმიდან სწრაფად გამოდევნის დოპინგის კვალს და აკრძალულთა შორისაც ამიტომ მოხვდა. ასეთია, მაგალითად, შარდმდენთა გარკვეული კატეგორია, რაც ნებისმიერ აფთიაქში იყიდება და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

საერთოდ, თანამედროვე ფარმაკოლოგიის, სპორტული მედიცინის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სასარგებლოს და უვნებლის შეზავება გახდა, თორემ დოპინგის სია დღითი დღე იზრდება. სემინარის ერთმა მონაწილემ ებრაული წარმოების რაღაც პრეპარატიც წარმოადგინა, რომელიც, მისი მტკიცებით, ენერგიასაც სწრაფად აღადგენს და უსაფრთხოცაა, მაგრამ ის წამალი იქ შეკრებილი აუდიტორიისთვის სრულიად უცხო აღმოჩნდა და ასე ჰაიჰარად, შეუმოწმებლად არც მისი გამოყენების იდეას მიესალმნენ.

სემინარი გუშინ დასრულდა გორში მოწყობილი ვიზიტით. იქ გამგზავრება თავიდან ჩაფიქრებული იყო გუზბახერისთვის განკუთვნილ კულტურული პროგრამით, რადგან წინასწარ უთხოვია... სტალინის სახლ-მუზეუმის დათვალიერება. მისი ერთ-ერთი პაციენტი - თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე** რადგან გორელია, გადაწყდა - ისიც იქვე გაესინჯათ, გერმანელი კი დამატებით უფლისციხეშიც ნაეყვანათ. საბოლოოდ მეორე მსოფლიო ომში ბაბუის დამკარგავ გუზბახერზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება სწორედ უფლისციხეს მოუხდენია, თუმცა სტალინის სახლ-მუზეუმიც დიდი ინტერესით დაუთვალიერებია. გერმანელის თქმით, გოგშელიძის რეაბილიტაცია კარგად მიდის, მაგრამ ჯერ დრო სჭირდება. საგანგებო ვარჯიშები დაუნიშნა ნემსებით, პროცედურებმა ხელს ელასტიურობა და მოქნილობა უნდა დაუბრუნოს, ნემსები კი ძვლოვან სისტემას უნდა დაეხმაროს, რათა ერთმანეთთან შეხებისას მათი განლევა არ მოხდეს. გოგშელიძის გამოსვლა მომავალ უქმეებზე თბილისის სპორტის სასახლეში გასამართ **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამორიცხულია, თუმცა გუზბახერმა დაამშვიდა, რომ ხალიჩაზე შესვლას მალე შეძლებს და მსოფლიოსთვის ფორმაში იქნება.

ირაკლი თავაძე

● ფიგურული ციგურაობა

ბათუმში სტანდარტული საციგურაო გვექნება

ქართველმა მოციგურავეებმა წლევანდელი სეზონი დაასრულეს. ბოლო აკორდს - ეროვნულ ჩემპიონატს ბათუმის ყინულის სასახლემ უმასპინძლა. გოგონათა და ვაჟთა შორის სხვადასხვა ასაკში პირველ ადგილებზე გავიდნენ: **ნინო აბაშიძე, არმენ აგაიანი, ნიკა ქადაგიშვილი, სალომე როსტომიშვილი, ნიკა ეგაძე, სოფიო ზეიკიძე** (ყველა - თბილისი) და **ნია გადელია** (ზუგდიდი). შეჯიბრებაში 40-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

- ბოლო წლებში ჩვენთან ფიგურული ციგურაობის გეოგრაფია გაიზარდა, - გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა **მაკა გიორგობიანმა.** - დღეს, თბილისის გარდა, ჯგუფები ბათუმსა და ზუგდიდშიც მუშაობენ. სწორედ დედაქალაქისა და ზუგდიდის საციგურაო სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ პირველად ციგურაობის საერთაშორისო გაერთიანების მიერ საფრანგეთში ჩატარებულ „Rooster cup"-ში. განსაკუთრებით მინდა გამოვყო 11 წლის ზუგდიდელი ნია გადელია, რომელიც ნოვისებში ჩემპიონი გახდა. პერსპექტიული გოგონაა. სამი წელინადია, ნათია ბაქრაძე ავარჯიშებს. ამჟამად კი ჰოლანდიელი სპეციალისტი ჟოლტ კერეკეშიც უწევს კონსულტაციებს, რომელიც ერთ თვეზე მეტია, ზუგდიდში მწვრთნელად მიიწვიეს. განსაკუთრებით ის გვახარებს, რომ 2000-2004 წლებში დაბადებულთა შორისაც ბევრი გვყავს ნიჭიერი სპორტსმენი. ამ ასაკში მოასპარეზეთა რაოდენობა ჩვენი სინამდვილისთვის საკმაოდ სოლიდური იყო. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანადგომითა და დახმარებით ბათუმში ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დავაჯილდოვეთ, ხოლო დანარჩენებს ფედერაციამ სამახსოვრო პრიზები გადასცა.

სამივე სკოლის აღსაზრდელებისგან დავაკომპლექტეთ საქართველოს ნაკრები, რომელიც ზაფხულში საწვრთნელ შეკრებებს გაივლის როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ სტანდარტულ მოედნებზე, რათა იუნიორთა მსოფლიოს პირველობასა და გრან პრის ორ ეტაპზე საასპარეზოდ მოვემზადოთ. საგულისხმოა ისიც, რომ ბათუმში წლეულს მწყობრში ჩადგება საქართველოში პირველი სტანდარტული საციგურაო მოედანი, ქუთაისში კი ყინულის არასტანდარტული სასახლის გახსნა იგეგმება. საამისოდ უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

- პროფესიონალ ქართველ მოციგურავეთა წლევანდელ შედეგებზე რას იტყვით?

- მართალი გითხრათ, ნამდვილად კმაყოფილი ვარ. ელენე გედევანიშვილმა შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-18 ადგილი დაიკავა, წლეულს კი საუკეთესო ათეულში დაიმკვიდრა ადგილი. ოთარ ჯაფარიძისა და ელისონ რიდის ახალგაზრდულმა დუეტმა ცეკვებში პირველად გადალახა საკვალიფიკაციო ეტაპი და ფინალში მე-18 ადგილი დაიკავა, რითაც შარშანდელი მაჩვენებელი სამი საფეხურით გაუმჯობესა.

ამჟამად ქართველი სპორტსმენები მომავალი სეზონისთვის უწინდელ მწვრთნელებთან ემზადებიან, თუმცა ცვლილებებიც არ არის გამორიცხული. მსოფლიოს მოწინავე მოციგურავეები სავარჯიშოდ გუნდურ პრინციპს იყენებენ - მწვრთნელთა მთელი ჯგუფი ზრუნავს მათს დაოსტატებაზე. რობინ ვაგნერის მადლობელი ვართ და მისი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ, შესაძლოა, ჩვენც გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება და გედევანიშვილის ოსტატობის დასახვეწად მწვრთნელთა გუნდს ვთხოვოთ დახმარება. ელენე უკვე წლეულს სარეიტინგო ქულების დასაგროვებლად ციგურაობის საერთაშორისო კავშირის ეგიდით მსოფლიოს გრან პრის ორ ეტაპსა და რომელიმე საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. შემდეგ კი, როგორც ჯაფარიძე-რიდის დუეტი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის სპეციალური პროგრამით მოემზადება.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

მაკა გიორგობიანი

● ფოტო კომენტარით. 30 წლის წინათ...

სპორტულ მიღწევებით, კერძოდ, საფალავნო ასპარეზზე მოპოვებული შედეგებით გორს მსოფლიოს უბევრი ქვეყანა ვერ გაუტოლდება. აქაურმა საჭიდაო სკოლამ მთელ მსოფლიოში მოიპოვა აღიარება და ავტორიტეტი. ძიუდოსა და სამბოში მაღალი კლასის სპორტსმენთა დაოსტატებით განსაკუთრებით გაითქვა სახელი ბრწყინვალე სპეციალისტმა (დამსახურებებსა და ჯილდოებს არ ჩამოვთვლი) **გურამ პაპიტაშვილმა.** მის სამწვრთნელო ქურაში გამოიბრძმედნენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები: **შოთა ჩოჩიშვილი, თემურ ხუბულური, ანზორ ქიბრიწაშვილი, როინ მაღალთაძე, გიორგი თენაძე** (ყველა - ძიუდო) და **ჯემალ მჭედლიშვილი** (სამბო), სხვები და სხვები. ტრადიცია გრძელდება.

სურათზე: გურამ პაპიტაშვილი (შუაში) ძიუდოში საქართველოდან და საბჭოთა კავშირიდან პირველ ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ჩოჩიშვილთან (მარცხნივ) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ თემურ ხუბულურთან ერთად (სურათი გადაღებულია 1981 წელს).

გურამ საღარაძე,

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი

თავისუფალ ჭიდაობაში

ოლიმპიური საქართველო 1952-2012

ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა ჩანს, მაგრამ თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

ხუან ანტონიო სამარანჩი

● ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე

1968-1972

Munich1972

მასობრიობა და ოსტატობა არის ის ორი ძირითადი საფუძველი, რაც მაღალი სპორტული მწვერვალების დაპყრობის შესაძლებლობას იძლევა. რაც უფრო მასშტაბურია მასობრიობა, მით უფრო მეტია მჯობნის მჯობნის შერჩევის შანსი, კონკრეტული სპორტის სახეობები ჩვენში არასდროს ყოფილა მასობრივი, ოსტატები არ დაგვკლებია. ავიღოთ თუნდაც ველოტრეკი, წყალბურთი, თანამედროვე ხუთჭიდი... მაგრამ გვყავდნენ ასები და მერე მათმა ოსტატობამ შეუწყო ხელი მასობრიობას. ასეც ხდება!

1968-1972 წლების ოლიმპიურ ციკლში ჩვენში არც მასობრიობისდამი ითქმოდა საყვედური და არც ოსტატობისადმი. სპორტისადმი დიდმა ყურადღებამ განაპირობა 1972 წლის თამაშებში საქართველოს 16 სპორტსმენის მონაწილეობა სპორტის 12 ოლიმპიურ სახეობაში. და რაც მთავარია, ქართული სპორტის ისტორიაში პირველად სწორედ 1972 წელს მიუნხენში მოვიპოვეთ ყველაზე მეტი ოლიმპიური ოქროს მედალი, რაც დღემდე სარეკორდო მაჩვენებელია. ლეგენდარულმა სამხტომელმა **ვიქტორ სანეევმა** ამჯერად უკვე ზედიზედ მეორედ დაიმსახურა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება. ამავდროულად ვიქტორი გახდა საქართველოდან პირველი სპორტსმენი, რომელიც ორგზის დაეუფლა ოლიმპიურ ოქროს მედალს.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაშიც საქართველოს წარგზავნილებმა ქულათა სარეკორდო რაოდენობას მოუყარეს თავი - 46,73. ეს იყო თვალსაჩინო წვლილი, რომელიც საქართველოს სპორტსმენებმა შეიტანეს საბჭოთა სპორტული დელეგაციის საერთო წარმატებაში.

მიუნხენში წინა ოლიმპიადასთან შედარებით ორით მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა საქართველოდან.

● წლები და ათეულები

საქართველოს სპორტსმენთა საუკეთესო ათეული სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგებით **ოლიმპიურ 1968 წელს ასე გამოიყურებოდა:** 1. **ვიქტორ სანეევი** - მძლეოსნობა, 2. **რომან რურუა** - ბ\რ ჭიდაობა, 3. **დიტო შანიძე** - ძალოსნობა, 4. **შოთა ლომიძე** - თავისუფალი ჭიდაობა, 5. **ნანა ალექსანდრია** - ჭადრაკი, 6. **მურთაზ ხურცილავა** - ფეხბურთი, 7. **სლავა მეტრეველი** - ფეხბურთი, 8. **ზურაბ საკანდელიძე** - კალათბურთი, 9. **ომარ ფხაკაძე** - ველო-ტრეკი, 10. **თინათინ ლეკვეიშვილი** - ცურვა.

ოლიმპიური 1972 წლის ათეული: 1. **ვიქტორ სანეევი** - მძლეოსნობა, 2. **ნონა გაფრინდაშვილი** - ჭადრაკი, 3. **შოთა ჩოჩიშვილი** - ძიუდო, 4. **ლევან თედიაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა, 5. **ზურაბ საკანდელიძე** - კალათბურთი, 6. **ალექსანდრე მეტრეველი** - ჩოგბურთი, 7. **მიხეილ ქორქია** - კალათბურთი, 8. **დიტო შანიძე** - ძალოსნობა, 9. **ვიქტორ კრატასიუკი** - ნიჩბოსნობა, 10. **ქეთევან ლოსაბერიძე** - მშვილდოსნობა.

● ამონაწერი ოლიმპიური ქარტიიდან

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

თავი IV

1.3. ეოკ-ის შემადგენლობაში, შერჩევის წესით, ასევე უნდა შედიოდნენ აქტიური და ყოფილი სპორტსმენები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ოლიმპიურ თამაშებში; გადამდგარი სპორტსმენები, როგორც წესი, თავიანთ თანამდებობას ტოვებენ მესამე ოლიმპიადის ბოლოს, იმ ბოლო ოლიმპიური თამაშების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ.

2 ეოკ-ის წევრთა შემადგენლობაში ასევე შესაძლოა შედიოდნენ:

2.1. საერთაშორისო ფედერაციაში შემავალი (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული) ეროვნული ფედერაციები, რომელთა სპორტის სახეობა არ არის გათვალისწინებული ოლიმპიური თამაშების პროგრამაში;

2.2 მრავალმხრივ სპორტული ჯგუფები და სხვა სპორტული ორიენტაციის მქონე ორგანიზაციები ან მათი წარმომადგენლები, ისევე, როგორც ქვეყნის ის მოქალაქეები, რომლებსაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ეოკ-ის საქმიანობას და რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით განსაკუთრებული სამსახური გაუწიეს სპორტისა და ოლიმპიზმის განვითარებას.

● თქვენთვის, ერუდიტებო

ვიქტორინა

ეძღვნება XXI ოლიმპიურ თამაშებს

1. სად ჩატარდა მიუნხენის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები 1976 წელს?

ა-სეულში
ბ-მოსკოვში
გ-მონრეალში

2. რამდენი ოქროს მედალი მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებში?

ა-3
ბ-4
გ-5

3. სქართველოს სპორტსმენებმა სულ რამდენი მედალი მოიპოვეს XXI ოლიმპიურ თამაშებში?

ა-5
ბ-6
გ-9

4. საქართველოდან რომელმა სპორტსმენმა მოიპოვა 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებში მეხიკოს და მიუნხენის შემდეგ ზედიზედ მესამედ ოქროს მედალი?

ა-რომან რურუამ
ბ-ლევან თედიაშვილმა
გ-ვიქტორ სანეევმა

5. საქართველოდან რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებში?

ა-9
ბ-11
გ-14

პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-ბ, 4-ბ, 5-ბ

● საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე



ლევან თედიაშვილი

დაიბადა 15. 03. 1948, საგარეჯო. თავისუფალი ჭიდაობა (82, 90, 10 კგ). 1972 წლის მიუნხენის და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი: ოთხჯერ თავისუფალ ჭიდაობაში (1971, 73, 74, 75), ერთხელ სამბოში (1973). მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1978), მსოფლიოს თასის მფლობელი (1973), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1974, 76, 78), სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი (1971), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 74), ორგზის მეორე (1969, 80) და მესამე (1977) პრიზიორი, ერთადერთი მოჭიდავე მსოფლიოში, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში (ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი იყო 82 და 90 კგ, ევროპის ჩემპიონი - 100 კგ წონაში). სსრკ წლის საუკეთესო სპორტსმენი (1973). სამჯერ დასახელდა საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად (1971, 73, 74), საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ბრინჯაოს პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, სოკ-ისა და ფილა-ს ორდენების კავალერი.

ზოთა ჩოჩიშვილი

დაიბადა 10. 07. 1950, ღვლევი, ქარელი - 2009, იქვე. ძიუდო (93 და 95 კგ). 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1975), ევროპის ჩემპიონატის სამგზის მეორე (1974, 74, 75) და მესამე (1977) პრიზიორი, სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე (1974, 77) და ორგზის მესამე (1974, 75) პრიზიორი. ჰოლანდიის (1974), იაპონიისა (1971, 74) და ბელგიის (1973) საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. საქართველოს ორგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1972, 77). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

ნლები და ოლიმპიადა: XX, 1972 წ. მიუნხენი

I ადგილი: **ვიქტორ სანეევი** - მძლეოსნობა (სამხტომი); **ლევან თედიაშვილი** - (თავისუფალი ჭიდაობა (82კგ); **შოთა ჩოჩიშვილი** - ძიუდო (95); **მიხეილ ქორქია** - კალათბურთი; **ზურაბ საკანდელიძე** - კალათბურთი; **ვიქტორ კრატასიუკი** ნიჩბოსნობა (ორადგილიანი ბაიდარა).

II ადგილი: დიტო შანიძე - ძალოსნობა (60).

III ადგილი: ომარ ფხაკაძე - ველოსპორტი (ტრეკი); **გივი ონაშვილი** - ძიუდო (93); **მურთაზ ხურცილავა** (ფეხბურთი), **რევაზ ძოძუაშვილი** - ფეხბურთი.

IV ადგილი: თინათინ ლეკვეიშვილი - ცურვა (4X100 კომბინირებული ესტაფეტა); **ქეთევან ლოსაბერიძე** - მშვილდოსნობა.

V ადგილი: ჯემალ მეგრელიშვილი - ბ\რ ჭიდაობა (62); **გურამ გოგოლაური** -ძიუდო (80).

I – VI ადგილებს მიღმა დარჩა გურამ ნასყიდაშვილი (საწყლოსნო სლალომი (XXXI). *მონაწილე* - 16. ოქრო-6, ვერცხლი 1, ბრინჯაო-4. სულ მედალი-11.

ვიქტორ კრატასიუკი

დაიბადა 30. 01. 1949, ფოთი - 18. 03. 2003, იქვე. ნიჩბოსნობა, ბაიდარა. 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (ორადგილინია ბაიდარა), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1971, 72-ორადგილიანი ბაიდარა) და მესამე პრიზიორი (1971-ოთხადგილიანი ბაიდარა). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ზურაბ საკანდელიძე



დაიბადა 09. 08. 1945, ქუთაისი - 25. 01. 2004, თბილისი. კალათბურთი (186 სმ). თამაშობდა თბილისის „დინამოსა“ (1963-75) და სსრკ ნაკრებში (1965-73). 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი (1967) და მესამე პრიზიორი (1970), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1965, 67, 69, 71) და მესამე პრიზიორი (1973), სსრკ თასის მფლობელი (1969), ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მცველი (1967), მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების წევრი (1967), საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1967). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენების კავალერი.

მიხეილ ქორქია

დაიბადა 10. 09. 1948, ქუთაისი - 08. 02. 2004, თბილისი. კალათბურთი (196 სმ). თამაშობდა თბილისის „დინამოსა“ (1965-79) და სსრკ ნაკრებში (1971-77). 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1971) და ორგზის მეორე პრიზიორი (1975, 77), სსრკ ჩემპიონი (1968) და მეორე პრიზიორი (1969), სსრკ თასის მფლობელი (1969). იყო ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთი მეპატრონე და მისი პრეზიდენტი (1998-იდან). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/

გაგრძელება ყოველი თვის პირველ ორშაბათს

პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

● ქართველები ევროტურნირებზე

არმია ქართულ კალათბურთს ევროპაში აბრუნებს

ესპანურ გაზეთში წავიკითხე: „კახასოლის“ მთავარ მწვრთნელ **ხოან პლაზას** სეზონის დასრულების შემდეგ ვარჯიშები არ შეუწყვეტია და მომავალი სეზონისთვის შემადგენლობას არჩევსო. გუნდთან ერთად ემზადება **ბექა ბურჯანაძეც**. სტატიის ჩაკითხვის შემდეგ გავიფიქრე - ნეტავ, როდის დადგება დრო, ქართული გუნდებიც ივნისიდან რომ დაიწყებენ ახალ სეზონზე ზრუნვას-მეთქი. ჩვენთან ხომ კლუბები სექტემბერ-ოქტომბერში კომპლექტდება...

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ევროპას ჩვენც ვუახლოვდებით: „კახასოლზე“ ამბის წაკითხვიდან ორიოდე დღეში შევიტყვე, რომ საქართველოს ჩემპიონი „არმია“ მომავალი სეზონისთვის მზადებას აქედან იწყებს. მეტსაც გეტყვით - არმიელები 4 ივნისს ანთალიაში შეკრებაზე გაემგზავრნენ.

- ახალი სეზონისთვის მზადებას ანთალიიდან დავიწყებთ. იქ 16 ივნისამდე იმ შემადგენლობით ვივარჯიშებთ, რომლითაც გასული ჩემპიონატი ჩავამთავრეთ. შემდეგ კი სხვა კალათბურთელებსაც მივიწვევთ, - გვითხრა „არმიის“ მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა** თურქეთში გამგზავრებამდე.

ანთალიაში გუნდს ვერ გაჰყვა სამი კალათბურთელი: **დავით უგრეხელიძე, სერგო ათუაშვილი** და **გიორგი პირველაშვილი**. მათი გამოკლების მიზეზი ოჯახური გარემოებებია.

საქართველოს ჩემპიონატი შარშან ნოემბერში დაიწყო. მანამდე ხუთი თვეა. რა საჭიროა ასე ადრე გუნდის შეკრება? - იკითხავს მავანი. საქმე ისაა, რომ „არმიამ“ იმ ქვაბიდან გამოსვლა განიზრახა, რომელშიც ბოლო წლებია, ქართული კალათბურთი იხარშება. ბოლო ათწლეულში ქართული კლუბები ევროტურნირებზე მხოლოდ სამჯერ გავიდნენ: 2002 წელს ლევან მოსეშვილის „დინამოში“ ლეგიონერებიც თამაშობდნენ, გუნდი შეჯიბრებისთვის კარგადაც მოემზადა და „ჩელენჯ ქაფზე“ მეოთხედფინალიც ითამაშა. 2007 და 2008 წლებში იმავე შეჯიბრებაში რუსთავის „ენერჯიმ“ იასპარეზა, თუმცა ორივე შემთხვევაში ლეგიონერები ოფიციალურ შეხვედრებამდე ერთიორი კვირით ადრე ჩამოიყვანეს და არავის გაჰკვირვებია პირველივე ეტაპიდან გამოვარდნა.

2011-2012 წლების სეზონში ევროტურნირებზე თამაშს ორი ქართული გუნდი აპირებს „არმია“ და „სოხუმი“. სოხუმელებზე სხვა წერილში მოგითხრობთ, აქ კი „არმიას“ დავუბრუნდებით.

- გადაწყვეტილია, ახალ სეზონში ევროჩელენჯზე ვიასპარეზებთ. გუნდის სახელზე უამრავი წერილი მოვიდა, რომლებშიც გვთხოვდნენ მონაწილეობა მიგვეღო ევროტურნირებზე. ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და ვეცდებით საქართველოს სახე ღირსეულად წარმოვაჩინოთ, - გვითხრა ლევან მოსეშვილმა.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოში საუკეთესოობა ევროტურნირებზე წარმატებული გამოსვლის გარანტად არ გამოდგება, რადგან ევროჩელენჯი სხვა სიმაღლეა. თუნდაც ამ შეჯიბრების ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრისთვის გუნდის გაძლიერება აუცილებელია. ეს კარგად ესმის კლუბის ხელმძღვანელობას და გადაწყვეტილია ლეგიონერების მოწვევა. როგორც მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, „არმიის“ გასაძლიერებლად კალათბურთელებს ამერიკაშიც მოძებნიან და ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც.

● ქართველი იტალიაში

მანუს შვიდი და მშვიდი კანტუ

მანუჩარ მარკოიშვილმა იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალში მესამე მატჩი ჩაატარა და წინა ორი შეხვედრის მსგავსად მესამედაც 7 ქულა ჩააგდო. თუნდაც ეს შედეგი მის სტაბილურობაზე მეტყველებს - მანუჩარი გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა, როგორც ყველა მისი თანაგუნდელი, ისიც გუნდურ თამაშზეა ორიენტირებული და საკუთარ თავზე თამაშს არ იღებს. სწორედ ამიტომ აგროვებს 7-7 ქულას თორემ, მეტი რომ შეუძლია, ეს ჩვენც ვიცით და „კანტუს“ მწვრთნელმა **ანდრეა ტრინჩიერიმაც**.

მესამე მატჩში მარკოიშვილმა 27 წუთი ითამაშა, 7 ქულა, 6 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. მან 3 ორქულიანი, 2 სამიანი და 4 საჯარიმო ისროლა, საიდანაც 2 ორქულიანი და 3 საჯარიმო გამოიყენა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სერიაში 0:2 ჩამორჩენის შემდეგ „კანტუს“ მეტოქემ მილანის „არმანიმ“ მაქსიმალური კონცენტრირებით ითამაშა და სერიაში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა (1:2).

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან ენერგიულად შეუტიეს, დაცვაშიც კარგად დადგნენ და საწყისი მეოთხედი 13 ქულის სხვაობით მოიგეს (26:13). მას მერე შეხვედრის 27-ე წუთამდე მილანელთა სასარგებლოდ სხვაობა 10-დან 12 ქულამდე მერყეობდა. **ლინ გრირის** სამქულიანის შემდეგ „არმანის“ უპირატესობა 15-მდე გაიზარდა (55:40) და თითქოს ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ „კანტუმ“ ერთხელ კიდევ გაიბრძოლა - სხვაობა 8 ქულამდე შეამცირა. ეს იყო და ეს, „არმანიმ“ 70:56 მოიგო.

- მილანელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. დაცვაში სათანადოდ ვერ ვითამაშეთ. მეტოქემ 7 სამქულიანი ჩაგვიგდო. ჩვენ კი 3 შორეული ტყორცნა გამოვიყენეთ. ამ წაგებიდან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და მეოთხე მატჩში აღარ გავიმეოროთ, - მშვიდად თქვა „კანტუს“ თავკაცმა ანდრეა ტრინჩიერიმ.

სერიის მეოთხე თამაში გუშინ გაიმართა. „კანტუმ“ 74:62 გაიმარჯვა და ფინალში თამაშთან ერთად ევროლიგის საგზურიც მოიპოვა. მანუჩარ მარკოიშვილმა 20 წუთში 10 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა.

● საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

უსტიაშვილმა ჩამოთვალა

ერთწლიანი შესვენების შემდეგ **დავით უსტიაშვილი** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საჭეს დაუბრუნდა. მისი გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს (B დივიზიონი) 14 ივლისს დაიწყებს. შეჯიბრება (რომელიც ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება) 24 ივლისამდე გასტანს. ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები პოლონეთი, ესტონეთი, შვეიცარია, რუმინეთი და მაკედონია იქნებიან. ჩვენი ქვეჯგუფის კალენდარს ქვემოთ შემოგთავაზებთ, აქ კი გეტყვით, რომ შესარჩევ ტურნირზე მონაწილე 22 გუნდი ოთხ ჯგუფად გაიყო. თითოდან მეოთხედფინალში ორ-ორი საუკეთესო გავა. ამას ნახევარფინალი მოჰყვება, ხოლო ფინალში მოხვედრილი ორი ბედნიერი 2012 წელს ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე ითამაშებს.

B დივიზიონის მატჩებისთვის საქართველოს ახალგაზრდული გუნდი შეკრებას ათ ივნისს დაიწყებს. ცნობილია იმ 20 კალათბურთელის ვინაობა, რომელიც 20-წლამდელთა ნაკრების გაფართოებულ შეკრებაზე ათ ივნისს გამოცხადდება. მათ გვარ-სახელებს ქვემოთ ცხრილში გაეცნობით.

ქართველი 20-წლამდელები შეკრებას დიღომში მდებარე "დინამოს" ბაზაზე დაიწყებენ. ოცი კანდიდატი ერთად 5-6 დღე ივარჯიშებს, რის შემდეგაც, დავით უსტიაშვილის განცხადებით, ის შემადგენლობას გაცხრილავს და შეკრებაზე 15-16 მოთამაშეს დატოვებს. სწორედ ეს შემადგენლობა გააგრძელებს შეკრებას და იმ სპარინგმატჩებში მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც უახლოეს ხანებში დაიგეგმება. კალათბურთის ფედერაცია რამდენიმე ვარიანტზე მუშაობს, რათა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს სპარინგპარტნიორები შეურჩიოს.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

მოთამაშე	ამპლუა	დაბ. თარ	სმ	გუნდი
გიორგი ტეტელაშვილი	გამთამაშებელი	17.06.1992	187	სტუ
იოსებ ლეჟავა	გამთამაშებელი	31.05.1991	187	სამედიცინო
ტატო თავართქილაძე	გამთამაშებელი	16.02.1991	192	სამედიცინო
გივი ბაძრაძე	გამთამაშებელი	21.05.1991	183	არმია
ბექა ჩიკვილაძე	მსროლელი	12.02.1992	195	სტუ
მერაბ ბოძოლიშვილი	მსროლელი	27.02.1992	200	აველინო, იტალია
დუდა სანაძე	მსროლელი	25.07.1992	197	ბათუმი
აკაკი ლომოური	მსუბუქი ფორვარდი	17.01.1991	198	სტუ
გიორგი კოლუაშვილი	მსუბუქი ფორვარდი	20.05.1992	194	დინამო
ლევან ელიაძე	მსუბუქი ფორვარდი	13.12.1992	197	ბათუმი
დავით დეკანოიძე	მძიმე ფორვარდი	19.12.1991	198	შსს
ნოდარ თენიეშვილი	მძიმე ფორვარდი	07.06.1992	197	ბათუმი
ზურაბ მაჩალაძე	მძიმე ფორვარდი	15.06.1992	197	სტუ
თორნიკე შენგელია	მძიმე ფორვარდი	05.10.1991	207	პეპინსტერი, ბელგია
ავთო ლომინაშვილი	ფორვარდ-ცენტრი	26.10.1992	204	ქუთაისი
გიორგი რევაზაშვილი	ფორვარდ-ცენტრი	24.01.1991	209	მაძაბი
გოგა ჯავახიშვილი	ცენტრი	08.06.1992	200	აგრარული
ბექა ბექაური	ცენტრი	18.01.1991	208	სამედიცინო
კახა მუმლაძე	ცენტრი	27.04.1992	201	აგრარული
აკაკი დვალიშვილი	ცენტრი	14.02.1991	206	სამედიცინო

A ჯგუფის კალენდარი

14 ივლისი	
15:00	მაკედონია-პოლონეთი
17:30	რუმინეთი-ესტონეთი
20:00	საქართველო-შვეიცარია
15 ივლისი	
17:00	პოლონეთი-რუმინეთი
18:15	ესტონეთი-შვეიცარია
22:45	საქართველო-მაკედონია
16 ივლისი	
22:00	საქართველო-პოლონეთი
22:00	მაკედონია-ესტონეთი
22:45	შვეიცარია-რუმინეთი
17 ივლისი	
19:30	რუმინეთი-მაკედონია
22:00	პოლონეთი-შვეიცარია
22:45	საქართველო-ესტონეთი
18 ივლისი	
18:15	საქართველო-რუმინეთი
19:30	ესტონეთი-პოლონეთი
20:30	მაკედონია-შვეიცარია

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

● მსოფლიო ალაფი

საქართველო მესამეა და ავჭალაში დარჩა

სამხრეთ აფრიკაში სამოა გაემგზავრება

საქართველო	20
ურუგვაი	15

საქართველო (15-9) კობახიძე, ძნელაძე, ლოსაბერიძე (მარგიანი 8), გაგოშვილი, სგოგოლაშვილი, მჭედლიშვილი, ჯინაშვილი (ღამბაშიძე 75) (1-8) ნავროზაშვილი (ერისთავი 70, მატკავა (ჩომახაშვილი 72), ბიწაძე, მიქაუტაძე (ჯღენტი 65), თხილაიშვილი, ტყეშელიაძე, ბუჯიაშვილი (ხიპაშვილი 74)

2ლ: ჩილაჩავა, მჭედლიშვილი. 2ს,2გ: კობახიძე

სინბინი: გაგოშვილი

ურუგვაი (15-9) დელ-სერო, ფავარო, ბერხესი, პრადა, რომანო, სილვა, დურანი (ბერბატო 74). (1-8) ბენაიონი (სანგვინეტი 71), კარისიმი, ეჩევერია (ჰედო 63), ლამანა, ლაკოსტე, ალონსო (სენ ანდრეა 56), სპეკერი (პასინი 53), პუპო.

4ს,ა: ბერხესი.

მსაჯი: ტაიზო ჰიბარაიაში (იაპონია)

„მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" გათამაშებაში, რომელიც გუშინ დასრულდა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" მესამე ადგილისთვის მატჩში ურუგვაელი თანატოლები დაამარცხეს - 20:15.

მთელი ტურნირის განმავლობაში სამხრეთამერიკელებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ფიზიკურად ღონიერმა და საკმაო სწრაფმა ურუგველებმა A ჯგუფში რუსეთისა და აშშ-ს ნაკრებს შესანიშნავ სტილში მოუგეს და მხოლოდ შეჯიბრების ფავორიტ სამოასთან დამარცხდნენ.

ცხადია, სათამაში მანერით საქართველოს ნაკრების მსგავს გუნდთან თამაშის წინ პროგნოზის გაკეთება ძალზედ რთული იყო. ჩვენმა ნაკრებმა მთავარი მიზანს ვერ მიაღწია, „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფა" ვერ მოიგო. ამიტომ საფრთხე, რომ ქართველი მორაგბეები სათამაშოდ ვერ განეწყობოდნენ დიდი იყო.

მატჩის პირველმა ტაიმმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ნაკრები არაფრის დათმობას აპირებდა. სხვა საქმეა ის უამრავი შეცდომა, რომლებიც ჩვენმა მორაგბეებმა დაუშვეს და საქმე უკიდურესად გაგვირთულა.

პირველი ტაიმი ჩვენმა გუნდმა აქტიურად დაიწყო, თუმცა თავიდანვე რამდენიმე ძალიან უბრალო, თითქმის ახალბედური შეცდომა დაუშვა. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების კაპიტანი, შუამარბი **დავით ლოსაბერიძე** ადრევე, მე-8 წუთზე დაშავდა და შეცვალეს. ანგარიში კი საჯარიმო დარტყმით ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** ერთი წუთით ადრე გახსნა - 3:0

ანგარიშის გასაზრდელად მასპინძლებს სამიოდე წუთი დასჭირდათ. მორიგი იერიშისას ერთ-ერთმა ურუგვაელმა მორაგბემ შეტევა თამაშგარე მდგომარეობიდან ჩაშალა და კობახიძემ ისევ შეძლო ბურთის ძელებს შორის გატარება - 6:0.

ამის შემდეგ ჩვენი გუნდი თითქოს დადგა, გაჩერდა. ურუგვაელებმა რამდენჯერმე სახიფათოდ შემოგვიტიეს და 22-ე და 26-ე წუთებზე სამხრეთამერიკელთა შუამარბმა **ფელიპე ბერხესმა** ორი საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა - 6:6.

ბუნებრივია, რომ ამან ჩვენი ნაკრები საგრძნობლად გამოაცოცხლა. პირველი ტაიმის ბოლო ათ წუთში „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს, ხელდახელ ბურთაობაც გამოუვიდათ, რაც საბოლოოდ ანგარიშშიც აისახა.

31-ე წუთზე ურუგვაელებმა საკუთარი ჩათვლის მოედნიდან 30 მეტრში დერეფანში ბურთი უხეიროდ ააგდეს და ის ჩვენი მორაგბეების ნადავლი გახდა. ცხრა ნომერმა **რამაზ ჯინაშვილმა** ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანა. მეტოქის ხაზი გარემარბმა **ლევან გოგოლაშვილმა** გაჭრა, თამაში რაკში გადავიდა, მას მესამეხაზელი **გიგა თხილაიშვილი** წამოეშველა, რომელმაც თითქმის ლელოს ხაზს უწია. ისევ რაკი და ამჯერად პირველხაზელი, **ლევან ჩილაჩავას** ძალისხმევამ შედეგი მოიტანა. კობახიძემ გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 13:6.

მეორე ლელო ჩვენს გუნდს კიდევ უფრო ეფექტური გამოუვიდა. ტაიმის დამთავრებას ორი წუთი აკლდა. ურუგვაელთა 22-მეტრიან ზონაში დერეფანი სუფთად მოვიგეთ და ისევ მარცხენა, გრძელ ფრთაზე გავათამაშეთ. ჯერ შეცვლაზე შესულმა შუამარბმა **გიორგი მარგიანმა** წაიწია წინ, მერე მოკლე დარტყმა შერკინების ბურჯმა ლევან ჩილაჩავამ შეასრულა. წარმოქმნილი რაკიდან რამაზ ჯინაშვილმა შეტევა ისევ მარცხნივ გააგრძელა, სადაც მგეზავი **უჩა მჭედლიშვილი** მეტოქის ორ მოთამაშეს დაუსხლტა ხელიდან და ლელოში შეაღწია. კობახიძემ ესეც გარდასახა - 20:6, ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ ურუგვაელებს ვერ იცნობდით. მათ მარცხის საფრთხე იგრძნეს და ბრძოლაში უკანმოუხედავად ჩაებნენ. საქართველოს ნაკრებს თამაში ძალიან გაუჭირდა, აირია და თითქმის დასასრულამდე ვერ დალაგდა.

სამხრეთამერიკელებმა კი მეორე ტაიმის 15 წუთში ორი საჯარიმო და არეკნი გაიტანეს - 15:20. თამაშის დასრულებამდე 25 წუთი იყო დარჩენილი, თუმცა ვერცერთმა გუნდმა მონაგარი ველარ გაზარდა. კობახიძემ და ბერხესმა თითო საჯარიმო ვერ გაიტანეს. შედეგად, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს ნაკრებმა ხუთი ქულის სხვაობით 20:15 მოიგო და „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფზე" მესამე ადგილს დასჯერდა.

გიგა თხილაიშვილის შეტევა

ბურთით რამაზ ჯინაშვილი

მატჩის შეფლეგ

პაატა ნარიმანაშვილი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

„ამჯერადაც ორი განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ. საბედნიეროდ, პირველ ნახევარში ქულათა საკმარისი მარაგი შევქმენით საიმისოდ, რომ მეტოქე ვერ დაგვწეოდა. მოთამაშეებს მადლობა მინდა ვუთხრა იმისთვის, რომ ურუგვაელთა საკმაოდ ძლიერ, ჟინიანად მოთამაშე გუნდის შეტევებს გაუძლეს და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს.

ბევრი შეცდომა დავუშვით. ჩვენი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ხელდახელ შეტევას ვიწყებდით. ასეთი დავალება გუნდისთვის არ მიგვიცია. წესით, ბურთი საკუთარი ნახევრიდან ფეხით უნდა გადაგვეტანა და იქ, მეტოქის ნახევარზე გვეთამაშა აგრესიულად.

გულახდილად გეტყვით, რომ ურუგვაელთაგან გაცილებით მეტს ველოდი. ისე გამოვიდა, რომ ჩვენ მივეცით საშუალება საკუთარი თამაში ეპოვათ და ვითარება თამაშის ბოლომდე დაძაბული ყოფილიყო.

საერთო ჯამში, ისე გამოვიდა, რომ ჩვენი გუნდი არ იყო მზად ამ ტურნირის მოსაგებად. ვერ გამოვიყენეთ ის დიდი პოტენციალი, რაც ამ გუნდს რეალურად გააჩნია.თითქოს მზადებისას ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მეტის გაკეთება ყოფილა საჭირო.

ევროპის ჩემპიონატზე შარშან ყველა გუნდს ერთი თავით ვჯობდით. აქაც თითქოს კარგად დავიწყეთ, თუმცა გარკვეული ხარვეზები თამაშში მაინც გვქონდა, მისი აღმოფხვრა კი ტურნირის მსვლელობისას ველარ შევძელით. იაპონიასთან ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად და ამტანობითაც ვერ გავძელით და ამიტომაც დავმარცხდით"

გიორგი ტყეშელიაძე, საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი:

„ურუგვაისთან როგორც შერკინებაში, ისე უკანა ხაზში თამაშშიც გაგვიჭირდა. ეტყობოდათ, რომ წასაგებად არ იყვნენ გამოსულნი. ახლა, განვლილ მატჩებს რომ ვიხსენებ, მიმაჩნია, რომ ჩვენს ნაკრებს თავისი შესაძლებლობები სრულად არ გამოუვლენია."

ხუან ბალდიმორი, ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი:

„სანამ მატჩის ანალიზს გაკეთებ, ყველაფერს ორივე მხრიდან უნდა შეხედო. პირველ ტაიმში ჩვენი გუნდი თითქოს დანებდა. ეს, ალბათ, ქართველების კარგმა თამაშმა გამოიწვია. მათ მძლავრი წნეხის ქვეშ მოაქციეს ჩვენი მოთამაშეები.

მეორე ტაიმში მდგომარეობა შეიცვალა, ჩვენ მოვახერხეთ სათამაშო უპირატსეობის მოპოვება. ბურთს ძირითადად სულ ჩვენ ვაკონტროლებდით. ვფიქრობ, რაც შევძელით, მაქსიმუმი იყო."

ფელიპე ბერხესი, ურუგვაის ნაკრების კაპიტანი:

„მინდა მივულოცო საქართველოს ნაკრებს ეს გამარჯვება. ძალიან კარგი, ძლიერი გუნდია და დამსახურებულად მოიგეს. ძალიან კმაყოფილი ვართ ტურნირის ორგანიზებით, მასპინძლებმა შესანიშნავი საცხოვრებელი და სავარჯიშო პირობები შეგვიქმნეს. არასდროს დამავიწყდება აქ გატარებული ეს ორი კვირა."

სამოა	31
იაპონია	24

სამოა (15-9) პ.შუსტერი, ალაუნი, ფაავე (სუა 77), ლილომაიავა, პოლიკო, ფააპალე, ტუია (აფამაი 37). (1-8) გ.შუსტერი (ლაფო 45), ვაიომანუ, სმითი (ალაატოა 65), სკელტონი, ალოფიპო, , ფააფოუ (ფოე 65), ტუილეტუფუგა (ტაგატაული 70).

5ლ: პ.შუსტერი, ალაუნი, ფაავე, ლილომაიავა, ტაუფუა. 3გ: ფააპალე

იაპონია (15-9) კუროსავა, ჰიკოსაკა (ნივაი 56), ვაიფუ, ნუნომაკი (ნოდა 45), ჰანო, ნაკამურა, უჩიდა (იოშიკავა 62). (1-8) კიტაგავა, ჰიკოსაკა, ენოკი, აშია (ლიი 60), სონონაკა, ცუჯი, კობიაში, ტაუფა.

3ლ: ჰიკოსაკა (2), ენოკი. 3გ,ს: ნაკამურა

მსაჯი: ხოაკინ მონტესი (ურუგვაი)

ტურნირი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სამოას ნაკრებმა მოიგო. არადა, ფინალში იაპონიის საკმაოდ ძლიერმა, ღონიერმა და ბრძოლისუნარიანმა გუნდმა სამოელებს დიდი პრობლემები შეუქმნა. „ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა" მრისხანე მეტოქეს მატჩის დასაწყისშივე ორი ლელო გაუტანეს და მე-20 წუთისთვის სოლიდური ანგარიშით 17:0-ს იგებდნენ.

სამოელები, როგორც ჩანს, არ ელოდნენ მოწინააღმდეგის ასეთ კადნიერებას, თუმცა ნელ-ნელა თამაში დაალაგეს, პირველივე ტაიმში სამი ლელო გაიტანეს და შესვენებაზე ორქულიანი უპირატესობით წავიდნენ - 19:17.

მეორე ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ანგარიში 24:24 იყო. ამ დროს სამოელებმა მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირეს. მარჯვენა გრძელ ფრთაზე ბურთი ხელდახელ ჩაათამაშეს და ფულბეკმა **პიტერ შუსტერმა** საჩემპიონო ლელო გაიტანა.

VII ადგილისთვის	
აშშ-ზიმბაბვე	30:29
V ადგილისთვის	
რუსეთი-კანადა	24:49

საბოლოო მდგომარეობა

1. სამოა, 2. იაპონია, 3. საქართველო, 4. ურუგვაი, 5. კანადა, 6. რუსეთი, 7. აშშ, 8. ზიმბაბვე.

ბესიკ ჯანგავაძე
ალექსანდრე კოტორაშვილის
ფოტოები

msy.gov.ge

ფორმულა 1

ბაჰრეინი არ უნდა იყოს

ARAERONGVARONVANI რეაქცია გამოიწვია ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც ბაჰრეინის გრანპრი მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის კალენდარში დააბრუნეს.

ფორმულა 1-ს ადანაშაულებენ იმაში, რომ ყველაფერი ჩემპიონატის ორგანიზატორთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული, რომლებიც კომერციულ ინტერესებს ადამიანთა უფლებებზე მაღლა აყენებენ. ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი **მაქს მოსლი** დარწმუნებულია, რომ მომავალში ფორმულა 1-ის ბოსებსა და FIA-ს დღევანდელ ხელმძღვანელობას ძვირად დაუჯდებათ ეს გადაწყვეტილება. მოსლი ამბობს, რომ ფორმულა 1 ბაჰრეინის მთავრობის კიდევ ერთ იარაღად იქცა საკუთარი მოქმედების დასაფარავად. მაგრამ ბევრს აწუხებს ეტაპის მონაწილეთა და გულშემატკივართა უსაფრთხოების პრობლემა, რადგან ქვეყანაში გრძელდება აჯანყება და იქ რბოლის ჩატარება ძალიან სარისკოა.

ტელეკომპანია BBC-თვის მოცემულ ინტერვიუში ადამიანთა უფლებების ბაჰრეინის ცენტრის პრეზიდენტმა **ნაბელ რაჯაბმა** პირდაპირ განაცხადა: თუ წელს მის ქვეყანაში ფორმულა 1-ის ეტაპი ჩატარდება, რბოლის დღე „ეროვნული მრისხანების დღედ იქცევა“.

„ეჭვგარეშეა, რომ რბოლა სხვადასხვა ოპოზიციური ორგანიზაციის სამიზნე გახდება, - წერს ბრიტანული ვებგვერდი Pitpass.com. - დააყენეთ საკუთარი თავი ამ ადამიანების ადგილზე - ბაჰრეინის გრანპრი ძალიან დიდი ცდუნებაა იმისთვის, რომ ის შენი მიზნებისთვის არ გამოიყენო. თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს ეროვნული საზღვრები, ახლო აღმოსავლეთი კი სავსეა პოლიტიკური აქტივისტებით, რომლებიც მონარქიის დამხობისკენ არიან მიმართულნი. და არაფერია იმაზე ადვილი, რომ მიმართო ნებისმიერ კომპანიას, რომელიც გრანპრიზე ტურებს უწევს ორგანიზაციას.

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია უნდა დაუბრუნდეს ჩემპიონატის კალენდრის პირველად ვერსიას, ბაჰრეინისთვის კი დაანესოს გამოსაცდელი ვადა. თუ ერთ-ორი წლის შემდეგ სიტუაცია სტაბილური გახდება, რბოლის განახლება შესაძლებელი იქნება.

დროა ფორმულა 1-მა მკაფიოდ დააფიქსიროს საკუთარ პოზიცია“.

საპირის ცარიელი ავტოდრომი

ბუემიმ კინაღამ კაცი გაიჭანა

გასულ უქმეებზე ფორმულა 1-ის გუნდები ისვენებდნენ, თუმცა იტალიურმა საჯინიბო „ტორო როსომ“ იაპონიაში გამგზავრება და იქ საჩვენებელი გამოსვლა გადაწყვიტა. ქალაქ ჩიბაში გამართული სადემონსტრაციო რბოლა უცნაური ინციდენტით დასრულდა.

ერთ-ერთი წრის გავლისას ტრასაზე გამოვარდა უცნობი მამაკაცი და პირდაპირ საბურავებში ჩაუვარდა შვეიცარიელი **სებასტიან ბუემის** ბოლიდს. იმ მომენტში მანქანის სიჩქარე საათში 30 კილომეტრი იყო, მაგრამ ყველაფერი იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ პილოტმა დამუხრუჭება ვერ მოასწრო და STR6-მა იაპონელი ტრასაზე დასცა.

„უფლება არ მაქვს მომხდარზე კომენტარი გავაკეთო, სანამ „რედ ბულში“ საკუთარ გამოძიებას არ ჩაატარებენ“, - განუცხადა სებასტიანმა შვეიცარიულ პრესას.

წესრიგის დამრღვევს გაუმართლა - მას რამდენიმე უმნიშვნელო ტრავმა აქვს, რადგან ბუემის აჩქარება დაწყებული არ ჰქონდა.



ინციდენტის მომენტი

ქრონიკა



შეტევაზე უმცროსი ჩავესი

დიდი მამის ნაკვალევზე

გასულ უქმეებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი საინტერესო საკრივო ორთაბრძოლა შედგა, რომლებშიც პრესტიჟული ვერსიებით საჩემპიონო ქამრები თამაშდებოდა. გარდა ამისა, გაირკვა საშუალონონოსანთა ტურნირის - Super Six-ის მეორე ფინალისტი.

ამ ტურნირის რანგში ატლანტიკ-სიტიში (ნიუ ჯერსის შტატი) ერთმანეთს შეხვდნენ ბრიტანელი **კარლ ფროჩი** და ამერიკელი **გლენ ჯონსონი**. ფროჩი ამ ბრძოლაში მეორე ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის ტიტულს იცავდა. ეს საჩემპიონო ქამარი ფროჩმა გასულ ნოემბერს ჰელსინკიში სომხური წარმოშობის გერმანელის **არტურ აბრაჰამის** დამარცხების შემდეგ მიიღო. ამით მან დაიბრუნა ტიტული მას შემდეგ, რაც იმავე 2010 წლის აპრილში დანიელ **მიკაელ კესლერთან** დამარცხდა. ამასთან, კესლერი WBC-ის „საპატიო“ ჩემპიონად რჩება, რადგან დროებით შეწყვიტა კარიერა თვალის ტრავმის გამო. სხვათა შორის გასულ უქმეებზე დანიელი რინგს დაუბრუნდა და საფრანგეთში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო ადგილობრივ **მეჰდი ბუადლას**. სკანდინავიელს ნებისმიერ მომენტში შეუძლია მოითხოვოს საჩემპიონო ბრძოლის ჩატარება.

42 წლის ჯონსონმა, რომელიც ფროჩზე 10 წლით უფროსია, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ბრიტანელ მოკრივეს. ბრძოლა 12 რაუნდი გაგრძელდა და რთული იყო რომელიმე მოკრივისთვის უპირატესობის მინიჭება. ნახევრადმძიმე წონაში ყოფილმა ჩემპიონმა ჯონსონმა თავიდან ინიციატივა მოიპოვა და აქტიურად შეუტია. მაგალითად, მესამე რაუნდში ამერიკელს კარგი აპერკოტი და მარცხნიდან დარტყმების შესანიშნავი სერია გამოუვიდა. მოგვიანებით ფროჩმა ალღო აუღო მეტოქის მოქმედებებს და მშვიდად იცავდა თავს. ცოტა ხანში კი მისი კონტრშეტევები სახიფათო გახდა - მიზანს აღწევდა ერთეული დარტყმები და კომბინაციები იმ დროს, როცა მეტოქე იხსნებოდა და შეტევაზე გადასვლას ცდილობდა. ჯონსონმა აგრესიულობის მომატება სცადა, მაგრამ ფროჩი ბრძოლის ბოლომდე აკონტროლებდა სიტუაციას. საბოლოოდ, სამიდან ორმა მსაჯმა უპირატესობა ბრიტანელს მიანიჭა - 117:111, 116:112, მესამემ ფრე დააფიქსირა - 114:114.

ბრძოლის შემდეგ ფროჩმა შეაქო მეტოქის გამძლეობა. *„შენ ურტყამ, ის კი არ ინძრევა. ძალიან მყარად დგას ფეხზე და ცდილობს მუდმივად წინ იაროს,* - განაცხადა გამარჯვებულმა. - *ამიტომაც ვცდილობდი ბრძოლის რიტმიდან არ ამოვვარდნილიყავი და ამით რინგზე თავს იმედიანად ვგრძნობდი. ჩხუბის ბოლოს შევეცადე მაქსიმალურად მივახლოვებოდი მას, რათა დარწმუნებული ვყოფილიყავი გამარჯვებაში“.*

ჯონსონმა კი აღიარა, რომ თავდაპირველ გეგმას გადაუხვია, რამაც საბოლოო შედეგზე გავლენა იქონია: *„მეტოქემ შეძლო ჩემი საუკეთესო დარტყმებისთვის გამკლავება, რამაც გამაკვირვა.*

ვვარაუდობდი, რომ დისტანციაზე დავიჭერდი მონინააღმდეგეს, რადგან უფრო სწრაფი ვიყავი და როგორც მსურდა, ისე ვუსწორდებოდი მას. მაგრამ შემდეგ საშუალება მივეცი ბრძოლაში დაბრუნებულიყო თავისი ხშირი კონტრშეტევებით“.

Super Six-ის ტურნირის ფინალში ფროჩს კიდევ ერთ ამერიკელთან **ანდრე უორთან** მოუწევს შეხვედრა. ბრძოლის თარიღი და ჩატარების ადგილი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

■ ■ ■

კიდევ ერთი ბრძოლა ლოს ანჯელესში გაიმართა, სადაც საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონი, გერმანელი **სებასტიან ზბიკი** ტიტულს იცავდა მექსიკელი **ხულიო სესარ ჩავეს-უმცროსის** წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი სამ წონით კატეგორიაში ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონის, ლეგენდარული **ხულიო სესარ ჩავესის** ვაჟი გახლავთ.

გერმანელის შანსი სისწრაფე იყო, სამაგიეროდ, მექსიკელს უფრო ძლიერი დარტყმა ჰქონდა და გაბარიტებითაც აღემატებოდა მეტოქეს. ზბიკი ცდილობდა დარტყმების სიზუსტეზე ემუშავა, მექსიკელი კი ახლო ბრძოლისას კორპუსში დარტყმებს ანიჭებდა უპირატესობას.

ბრძოლის შუაში რინგზე სიტუაცია გათანაბრდა, რადგან ზბიკის აქტიურობამ იკლო - ევროპელი აშკარად დაიღალა. ჩავესი მსაჯისგან დაფარულად ხშირად ურტყამდა მუცლის ქვეშ მეტოქეს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რაუნდში ზბიკმა რამდენიმე კარგი კომბინაცია განახორციელა, მსაჯებმა უპირატესობა მექსიკელს მიანიჭეს - 116:112, 115:113, 114:114.

ბრძოლის შემდეგ გერმანელმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩავესს მსაჯები დაეხმარნენ. *„პირველი ექვსი რაუნდი ჩემი გამარჯვებით დასრულდა,* - განაცხადა აწ უკვე ყოფილმა ჩემპიონმა. - *ვფიქრობდი, რომ სერიოზული უპირატესობა მქონდა, მაგრამ რამდენიმე დარტყმა გავატარე, რაც დაღლილობის ბრალი იყო. მნვრთნელმა მითხრა, რომ ბოლო რაუნდის მოგება აუცილებელი იყო. მე მგონი ასეც მოხდა, მაგრამ მსაჯებმა უპირატესობა ჩავესს მიანიჭეს“.*

აქამდე ჩავესი მოსაწყენ ბრძოლებს მართავდა საუკეთესო შემთხვევაში საშუალო დონის მოკრივეებთან და ბოლოს, საჩემპიონო ბრძოლის შანსი მიიღო. მართალია, მსაჯების მცირედი დახმარებით, მაგრამ მან ეს შანსი გამოიყენა.

ახლა საინტერესოა, რამდენ ხანს გაგრძელდება მისი მწვერვალზე ყოფნა. იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ამ წყვილში გამარჯვებული არგენტინელ **სერხიო მარტინესს** შეხვდება. თუ ეს ასე მოხდა, ახალგაზრდა მექსიკელის საჩემპიონო პერიოდი ხანმოკლე იქნება.

უარი 65 მილიონზე

PROMOUTERULI კომპანია Top Rank-ის პრეზიდენტ **ბობ არუმს** აღარ სჯერა ფილიპინელ **მენი პაკიაოსა** და ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს** შორის ბრძოლის ორგანიზების.

თავის ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუში არუმმა აღიარა, რომ მეივეზერმა უარი თქვა 65 მილიონ დოლარზე, რომელიც მას პაკიაოსთან ბრძოლის სანაცვლოდ შესთავაზეს. ამერიკელი ჯიუტად ითხოვს 100 მილიონი დოლარის ოდენობის ჰონორარს.

„ბუნებით ოპტიმისტი ვარ, ამიტომაც ბოლო მომენტამდე მჯეროდა, რომ ასეთი ბრძოლის ორგანიზება შესაძლებელი იქნებოდა. ამ მომენტისთვის კი ასეთი რწმენა თითქმის არ არსებობს.

ცოტა ხნის წინ სინგაპურელი ბიზნესმენები მეივეზერს 65 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ, მაგრამ მან უარი განაცხადა. ამის შემდეგ რაზე უნდა ვილაპარაკოთ?“, - განაცხადა არუმმა.

მეივეზერი (მარჯვნივ) რეპერ 50 Cent-თან ერთად

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

უცხოური სპორტი

● კალათბურთი



ჯორდანი ისევ ჩემპიონობაზე ფიქრობს

„შარლოტ ბობკეტსის“ მფლობელი, ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანი** მომავალი სეზონისთვის თავისი გუნდის სერიოზულ პროგრესს ელოდება. შეგახსენებთ, რომ წლევანდელ დრაფტზე „ბობკეტსს“ მეცხრე და მე-19 ნომრების არჩევის უფლება აქვს.

„ყველაფერი დეტალურად უნდა განვიხილოთ. „შარლოტი“ უნდა გახდეს კლუბი, რომელიც ყოველ წელს ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს. 2010 წელს პლეი ოფში გავედით, რაც კარგი შედეგია, მაგრამ გულშემატკივრები მეტს იმსახურებენ“, - აცხადებს ჯორდანი.

კლუბის მფლობელს ეთანხმება „შარლოტის“ ამჟამინდელი მწვრთნელი **პოლ სილასი**: *„თუ შედეგების მხრივ სერიოზულ პროგრესზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, გუნდს ვარსკვლავური სტატუსის მოთამაშე სჭირდება. ვფიქრობ, დრაფტზე შევძლებთ ორი კარგი კალათბურთელის აყვანას“.*

ამასობაში, სილასი, შესაძლოა, თავისი ერთ-ერთი ასისტენტის გარეშე დარჩეს. მწვრთნელის კარიერის დასრულებას აპირებს წარსულში ცნობილი კალათბურთელი **ჩარლზ ოუკლი**. საქმე ისაა, რომ ამ სპეციალისტმა გასული წლის მაისში სერიოზული დაზიანებები მიიღო ლას ვეგასში, როცა ერთ-ერთი სასტუმროს ორი მცველი დაესხა თავს.

ამ ინციდენტმა ზურგის არეში ნერვი დააზიანა, რაც მუდმივი ტკივილების პროვოცირებას იწვევს. ამის გამო ოუკლიმ წლევანდელ სეზონში 13 მატჩი გამოტოვა. უახლოეს დღეებში გადაწყდება, სჭირდება თუ არა „შარლოტის“ მწვრთნელს ოპერაცია. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ვინ შეცვლის „ბობკეტსის“ სამწვრთნელო შტაბში ოუკლის.

ნიქსი პრეზიდენტის გარეშეა

„ნიუიორკნიქსის“ ხელმძღვანელობაში დიდი ცვლილებებია. კლუბი ახალი გენერალური მენეჯერისა და პრეზიდენტის ძებნას იწყებს.

ნიუიორკული კლუბის მფლობელმა **ჯეიმს დოლანმა** შაბათს გამოაცხადა, რომ **დონი უოლში** აღარ მუშაობს გენერალური მენეჯერისა და პრეზიდენტის თანამდებობაზე.

„დონი უოლშთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ჩვენ ერთობლივ გადაწყვეტილებამდე მივედით - ის დატოვებს ორივე თანამდებობას.

ჩვენ მადლობას ვუხდით მათ გაწეული შრომისთვის, რამაც „ნიქსი“ ახალ დონეზე აიყვანა“, - განაცხადა დოლანმა.

მომავალ სეზონში უოლშის მოვალეობა მხოლოდ „ნიქსის“ კონსულტანტობა იქნება.

რაც შეეხება „ნიუ იორკის“ მთავარ მწვრთნელ **მაიკ დ'ანტონის**, უოლშის წასვლის მიუხედავად, ის არ აპირებს პოსტის დატოვებას და მომავალ სეზონშიც უნდა „ნიქსის“ გაწვრთნა. ეს ინფორმაცია მწვრთნელის აგენტმა დაადასტურა.

„მაიკს კლუბთან მომავალი თანამშრომლობის იმედი აქვს. მან სამი კარგი სეზონი ჩაატარა „ნიქსში“, ამიტომაც არ წავა პოსტიდან თუ გუნდის ხელმძღვანელობამ თავად არ მოისურვა კონტრაქტის გაუქმება“, - ამბობს დ'ენტონის აგენტი.

შეგახსენებთ, რომ მომდევნო სეზონი ბოლო იქნება ამ სპეციალისტისთვის „ნიქსში“. გასულ სეზონში მისმა ხელფასმა 6 მილიონი დოლარი შეადგინა.

შაკი მწვრთნელობას არ აპირებს


შაკილ ო'ნილი

კალათბურთიდან წასვლის შემდეგ ლეგენდარული ცენტრი **შაკილ ო'ნილი** პრესის წარმომადგენლებს შეხვდა და მათთვის საინტერესო კითხვებს უპასუხა.

პირველ რიგში, შაკმა მადლობა გადაუხადა „ლეიკერსის“ ხელმძღვანელობას, რომელმაც გადაწყვიტა კლუბის არენის - Staples Center-ის თაღზე ო'ნილის 34-ნომრიანი მაისურა დაკიდოს.

„მადლობელი ვარ „ლეიკერსის“ იმისთვის, რომ მათ ჯერ კიდევ ახსოვთ ჩემი თამაში“, - განაცხადა ო'ნილმა.

ჟურნალისტებმა ხელიდან არ გაუშვეს შემთხვევა და დაინტერესდნენ შაკის მომავლით, კერძოდ, რამდენად შესაძლებელია მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელად მუშაობა.

„არავითარ შემთხვევაში. თუ საქმე მექნა ისეთ მოთამაშეებთან, როგორიც მე ვიყავი, ნამდვილად არაფერი გამომივა“, - იხუმრა „დიზელმა“.

ცენტრმა განაცხადა, რომ აქილევსის მყესზე ოპერაციის გაკეთება მოუნევს, რის შემდეგაც საზოგადოებრივ საქმიანობას დაუბრუნდება.

ო'ნილი ამბობს, რომ ის კარგ ფიზიკურ ფორმაში უნდა იყოს, რადგან მომავალში კინოში მოღვაწეობას აპირებს, გააგრძელებს სიმღერების ჩაწერას, ბიზნესს წარმართავს და ქველმოქმედებას მიხედავს.

● ჰოკეი. NHL პლეი ოფი. ფინალი

თამაში კანიბალმა მოიგო

„ვანკუვერ კანაქსმა“ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ თავისი არსებობის ისტორიაში სტენლის თასის პირველად მოგებისთვის. ოვერტაიმის მე-11 წამზე **ალექს ბაროუზის** მიერ გატანილი გოლით „ბოსტონთან“ ფინალურ სერიაში ანგარიში 2:0 გახდა. აქამდე მხოლოდ ოთხმა გუნდმა შეძლო ფინალში 0:2-დან სერიის გადარჩენა. ბოლოს ეს 2009 წელს **სიდნი კროსბის** „პიტსბურგ პინგვინზმა“ გააკეთა „დეტროიტ რედ უინგზის“ წინააღმდეგ.

ბაროუზმა NHL-ის პლეი ოფის ისტორიაში მეორე ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა ოვერტაიმში. რეკორდი მონრეალელ **ბრაიან სკრუდლანდს** ეკუთვნის, ვინც 1986 წელს დამატებითი დროის მეცხრე წამზე გაუტანა „კალგარის“.

ეს ასე მოხდა: სასტარტო ჩაგდების შემდეგ შაიბა ბოსტონელ **ენდრიუ ფერენსს** მიუვიდა, რომელიც წინ პასის შესრულებისას შეცდა და შაიბა **დანიელ სედინს** ჩააბარა, რომელსაც არც უფიქრია, მაშინვე თავისუფალი ბაროუზი მონახა. ამ უკანასკნელმა **ზდენო ხარა** ჩამოიცილა და **ტიმ ტომასთან** პირისპირ გავიდა. „ბრუინზის“ მეკარემ მოასწრო „ვანკუვერის“ ფორვარდის ფინტებზე რეაგირება, მაგრამ თან კარის დატოვებამ მოუწია. ბაროუზმა შაიბა არ დაკარგა, კარს უკნიდან შემოუარა და ახლო კუთხეში გაიტანა.

ბაროუზი ორი გოლითა და ერთი საგოლე პასით მატჩის პირველი ვარსკვლავი გახდა, არადა, ეს ის ჰოკეისტია, რომელსაც წესით და რიგით დისკვალიფიკაციის გამო არ უნდა ეთამაშა ამ შეხვედრაში. გახსოვთ, ალბათ, წინა მატჩის გახმაურებული ისტორია, როცა „ვანკუვერის“ ფორვარდმა თითზე უკბინა **პატრიკ ბერჟერონს**, მაგრამ ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა დაინდო ბაროუზი.

ოვერტაიმამდე მაყურებელმა კვლავინდებურად აგრესიული და უხეში თამაში იხილა. საწყის ხუთ წუთში გუნდებმა 12 ძალისმიერი ილეთი შეასრულეს, პირველი გაძევება კი მე-10 წუთზე დაფიქსირდა - ორი წუთით მოედანი ხარამ დატოვა და მასპინძლებმა მაშინვე გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა - ბაროუზმა „ბოსტონის“ კართან იბრძოლა და ახლო კუთხეში ძლიერი დარტყმა მოასწრო. ამ შაიბამ სტუმრებზე ცუდად იმოქმედა და პირველი პერიოდის დასრულებამდე დარჩენილ დროში მხოლოდ ერთი ზუსტად დარტყმა შეასრულეს.

სამაგიეროდ, „დათვებმა“ ძალიან კარგად დაიწყეს მეორე პერიოდი და პირველ ხუთ წუთში ექვსჯერ შეაწუხეს **რობერტო ლუონგო**. „ვანკუვერის“ მეკარემ მეცხრე წუთამდე გაძლო და შემდეგ მის მიერ მოგერიებულს **მილან ლუჩიჩმა** დაამატა - 1:1. ამ გოლამდე ლუონგო 137 წუთისა და 26 წამის განმავლობაში „მშრალად“ ინახავდა საკუთარ კარს. „ბოსტონს“ ამ შემდეგაც არ დაუგდია ტემპი და ლუჩიჩის გოლიდან წუთ-ნახევრის შემდეგ ტაბლოზე უკვე 2:1 ეწერა: **მარკ რეკიმ** მოასწრო ხარას დარტყმაზე რეაგირება და თავისი გუნდი დააწინაურა.

სხვათა შორის, რეკი ყველაზე ასაკოვანი ჰოკეისტი გახდა, ვინც NHL-ის ფინალურ სერიაში გოლი გაიტანა. მატჩის დღეს ვეტერანი ფორვარდი 43 წლის და 123 დღის იყო. წინა რეკორდის მფლობელი ლეგენდარული რუსი ჰოკეისტი **იგორ ლარიონოვი** იყო, ვინც 2002 წლის ფინალში „დეტროიტის“ მაისურით 41 წლისა და 189 დღის ასაკში გაიტანა შაიბა.

მხოლოდ ორი გოლის გაშვების შემდეგ გამოფხიზლდნენ მასპინძლები და რამდენიმე შტურმი მოაწყვეს **ტიმ ტომასის** კართან, მაგრამ უშედეგოდ - გუნდები მეორე შესვენებაზე „დათვების“ ერთშაიბიანი უპირატესობით გავიდნენ.

მესამე პერიოდი „ბოსტონმა“ რიცხობრივი უპირატესობით დაიწყო და პირველ წუთზე ლუონგოს ორი რთული დარტყმის მოგერიებამ მოუწია. ცოტა ხანში თავად „დათვებს“ მოუხდათ ერთი კაცით მეტი მეტოქის შეტევების მოგერიება, თუმცა ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან ამ ორი წუთის განმავლობაში მასპინძლებს ერთხელაც არ დაურტყამთ ზუსტად კარში.

ამის შემდეგ „ვანკუვერი“ მეტოქის პრესინგზე გადავიდა და მეხუთე წუთზე სულ ცოტა დააკლდა ანგარიშის გათანაბრებამდე - ცარიელ კარში **ერჰოფის** დარტყმა მცველმა მოიგერია. კანადელთა აქტიურმა თამაშმა შედეგი მხოლოდ მეცხრე წუთზე გამოიღო, როცა მათი მცირე შტურმი ტომასის კარში მეორე გოლით დასრულდა. ყველაფერი „ბოსტონის“ კაპიტნის ზდენო ხარას დასანანი შეცდომით დაიწყო - ბაროუზმა სლოვაკ გიგანტს „ბრუინზის“ ზონაში მოჰპარა შაიბა და **ედლერს** მიაწოდა, რომელმაც შორიდან დაარტყმა. ტომასმა წინ მოიგერია შაიბა და მას პირველმა დანიელ სედინმა მიუსწრო- 2:2. დაინიშნა ოვერტაიმი, რომლის პერიპეტიებზე ზემოთ მოგიყევით. აღსანიშნავია, რომ „ვანკუვერი“ 7 მაისის შემდეგ არ მარცხდება საკუთარ მოედანზე.

ვანკუვერი-ბოსტონი 3:2 (ოვ)

1:0, 0:2, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ბაროუზი-8 (ჰიგინსი-4, სალო-2), 1:1 ლუჩიჩი-4 (ბოიჩუკი-4, კრ[illegible]-8), 1:2 რეკი-3 (ხარა-4, ჰ. ბერჟერონი-12), 2:2 დ. სედინი-9, (ბაროუზი-8, ედლერი-8), 3:2 ბაროუზი-9 (დ. სედინი-9, ედლერი-9).

სერია: 2-0

მატჩის გმირი ალექს ბაროუზი

● კალათბურთი

მესინა კალიფორნიაში მიდის...

ცნობილმა იტალიელმა სპეციალისტმა **ეტორე მესინამ** „ლეიკერსის“ საწვრთნელ შტაბში მუშაობაზე თანხმობა განაცხადა.

მესინამ მიიღო კალიფორნიელთა წინადადება და მალე მას ოფიციალურად წარადგენენ „ლეიკერსის“ ახალი მთავარი მწვრთნელის **მაიკ ბრაუნის** კონსულტანტის თანამდებობაზე. ეს მწვრთნელები კარგად იცნობენ ერთმანეთს - „კლივლენდში“ მუშაობისას ბრაუნი ყოველ ზაფხულს რამდენიმე კვირა სტუმრობდა იტალიელს.

ბოლო კლუბი, რომელსაც მესინა წვრთნიდა, მადრიდის „რეალი“ იყო. კარიერის განმავლობაში ეტორეს ოთხჯერ აქვს მოგებული ევროლიგა.

ეტორე მესინა

მესინას ყოფილი კლუბი „რეალი“ კი დაპირებულ რევოლუციას იწყებს. ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში „ბილბაოსთან“ წაგების შემდეგ „სამეფო კლუბმა“ საბოლოოდ ჩააგდო სეზონი. შესაბამისად, პრაქტიკულად გადაწყვეტილია **ემანუელ მოლინას** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაშვების საკითხი. კლუბის დირექტორატმა **ხუან კარლოს სანჩესისა** და **ალბერტო ერეროსის** მეთაურობით უკვე დაიწყო ახალი მწვრთნელის ძებნა.

ესპანური პრესის ინფორმაციით, „რეალის“ პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესს** მაგიდაზე დაუდებენ ექვსი კანდიდატის დოსიეს, რის შემდეგაც დონ ფლორენტინო თავად გააკეთებს არჩევანს. სიაში პირველ ნომრადაა წლევანდელი ევროლიგის ტრიუმფატორის „პანათინაიკოსის“ დამრიგებელი **ჟელკო ობრადოვიჩი**. ის უკვე მუშაობდა „რეალში“ გასული საუკუნის 90-იან წლებში. თუმცა სერბის ათენური კლუბიდან გადაბირება პრაქტიკულად არარეალურია.

მეორე ნომერია „ვალენსიას“ ყოფილი დამრიგებელი **სვეტისლავ პეშიჩი**. სერბს კარიერის გაგრძელების ორი ვარიანტი აქვს - „რეალი“ და „კახა ლაბორალი“. ბასკები თითქოს მოელაპარაკნენ პეშიჩს, მაგრამ მადრიდული კლუბისგან სარფიანმა წინადადებამ, შესაძლოა, ყველაფერი შეცვალოს.

მესამე ნომერი - „ფენერბაჰჩეს“ მწვრთნელი **ნევენ სპაჰია**. ხორვატი გამოცდილია, წარმატებული კარიერაც აქვს და წლევანდელ სეზონს თურქეთში, სავარაუდოდ, გამარჯვებით დაასრულებს.

დანარჩენი კანდიდატები არიან „რეალის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი **ბოჟიდარ მალკოვიჩი**, „გრან კანარიას“ დამრიგებელი **პედრო მარტინესი** და პლეი ოფში „რეალის“ მძლეველის - „ბილბაოს“ ბერძენი თავკაცი **ფოცის კაცირაკისი**. თუმცა ეს კანდიდატები აუთსაიდერები არიან და მათ პირველ სამ პრეტენდენტთან წარუმატებელი მოლაპარაკებების შემთხვევაში მიმართავენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

მთავარი სტარტის მოლოდინში

მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და ათლეტები თანდათან შედიან ოპტიმალურ ფორმაში. ამაზე მეტყველებს ამერიკის ქალაქ იუჯინში გამართული „ბრილიანტის ლიგის“ მეოთხე ეტაპზე ნაჩვენები შედეგები. ეს სტარტი ამ კომერციული სერიის ჩამოყალიბებამდეც პრესტიჟული იყო. მისი ოფიციალური სახელწოდებაა - Prefontaine Classic. **სტივ პრეფონტეინი** მორბენალი იყო, რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. 2011 წელს იუჯინში ფენომენალური შედეგები დაფიქსირდა, მათ შორის ერთი - მსოფლიოს რეკორდი.

ტაისონ გაი

ტურნირი ორ დღედ დაიყო. თავდაპირველად არენა სტაიერებს დაეთმო და სწორედ ამ დღეს დამყარდა მსოფლიოს რეკორდი. მისი ავტორი გახდა კენიელი **მოზეს მოსოპი**, რომელიც 30 კილომეტრზე მირბოდა. თავდაპირველად მან საუკეთესო დრო 25 კილომეტრზე დააფიქსირა - 1:12.25,4, თუმცა ამით არ დაკმაყოფილდა და ხუთი კილომეტრის შემდეგ კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა - 1:26.47,4! სულ ამ გარბენისას ფინიშამდე ხუთმა სპორტსმენმა მიაღწია.

ორჯერ ნაკლებ დისტანციაზე ბრიტანელმა **მო ფარაჰმა** 22 აფრიკელს აჯობა. მო არათუ პირველი მივიდა ფინიშთან, არამედ ევროპის რეკორდის ავტორიც გახდა - 26.46,57.

მეორე დღე უფრო დატვირთული იყო. საყოველთაო ინტერესი გამოიწვია 100 მეტრზე გარბენამ, თუმცა ის ამჯერად არ შედიოდა „ბრილიანტის ლიგის“ ჩათვლაში. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება იყო მიპყრობილი ოლიმპიური ჩემპიონისკენ, ამერიკელ **ჯასტინ გეტლინისკენ**, რომელმაც შარშან მოიხადა ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია და პირველად გამოჩნდა ასეთი დონის ტურნირზე. ჯასტინი მერვე ბილიკზე დააყენეს. ამ გარბენში თანამედროვე სპრინტის ლიდერები ვერ ვიხილეთ, თუმცა ექვსმა მონაწილემ შეძლო 10 წამზე ნაკლები დროის დაფიქსირება. მათ შორის იყო გეტლინიც - 9,97 წამი, მაგრამ ეს დრო მხოლოდ მეექვსე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ჯასტინზე სწრაფები იყვნენ - **ფრატერი** (9,94), **პატონი** (9,94), **ნესტა კარტერი** (9,92), **როჯერსი** (9,85), გამარჯვება კი იამაიკელმა **სტივ მალინგსმა** მოიპოვა სეზონის საუკეთესო დროით - 9,80! იმის მისახვედრად, რამდენად მაღალი შედეგი აჩვენა მალინგსმა, გეტყვით იმას, რომ შარშან მსოფლიოს რეკორდსმენ **უსაინ ბოლტს** ასე სწრაფად არ ურბენია. ასე რომ, სტივმა სერიოზული განაცხადი გააკეთა თანამედროვე სპრინტერთა ელიტაში შესასვლელად.

მაღალი შედეგი ვიხილეთ ქალთა სპრინტშიც. **კარმელიტა ჯეტერმა** ზურგის ქარის (2 მ/წმ) დახმარებით 10,70 წამი დააფიქსირა! ქალთა სპრინტის ისტორიაში ამაზე სწრაფად მხოლოდ **მერიონ ჯონსსა** და მსოფლიოს რეკორდსმენ **ფლორენს გრიფიტ-ჯოინერს** ურბენიათ. თავად კარმელიტამ შარშანდელ სეზონში ექვსი მეასედით უკეთესი დრო აჩვენა, მაგრამ ეს წლის ბოლოს მოხდა. ამერიკელი წელს 32 წლის გახდება, მაგრამ, როგორც ჩანს, კარიერის ზენიტში იმყოფება. ასევე აღსანიშნავია ოლიმპიური ჩემპიონის **შელი-ენ ფრეზერის** დაბრუნება, რომელიც დისკვალიფიკაციას იხდიდა აკრძალული პრეპარატების მიღებისთვის.

110 მეტრზე თარჯრბენში **დევიდ ოლივერმა** რევანში აუღო **ლიუ სიანს** „ბრილიანტის ლიგის“ შანხაის ეტაპზე დამარცხებისთვის. ჩინელმა უფრო სწრაფად გაირბინა (13,00), ვიდრე შინ, მაგრამ ოლივერმა ბრწყინვალე ტემპი აჩვენა - 12,92 წამი. ამერიკელი **დაირონ რობლესის** მსოფლიოს რეკორდს მხოლოდ შვიდი მეასედით ჩამორჩა.

IV ეტაპი. იუჯინი (აშშ)

კაცები

100 მ. 1. სტივ მალინგსი (იამ) - 9,80; 2. მაიკლ როჯერსი (აშშ) - 9,85; 3. ნესტა კარტერი (იამ) - 9,92; **400 მ.** 1. ანჯელო ტეილორი (აშშ) - 45,16; 2. ჯერემი უორინერი (აშშ) - 45,43; 3. კევინ ბორლი (ბელ) - 45,51; **10 000 მ.** 1. მოჰამედ ფარაჰი (ბრიტ) - 26.46,57; 2. იმეინ მერგა (ეთი) - 26.48,35; 3. ჯოსფატ კიპკოეჩ ბეტი (კენ) - 26.48,99; **30 000 მ.** 1. მოსეს მოსოპი (კენ) - 1:26.47,4 (მსოფლიოს რეკორდი). 2. აბელ კირუი (კენ) - 1:30.00,1; 3. ხოსეა მვოკ მაჩარინიანი (კენ) - 1:32.25,6; **110 მ/თარჯბრენი.** 1. დევიდ ოლივერი (აშშ) - 12,94; 2. ლიუ სიანი (ჩინ) - 13,00; 3. არის მერიტი (აშშ) - 13,18; **სიმაღლეზე ხტომა.** 1. რაულ შპანკი (გერ) - 2,32; 2. ანდრეი სილნოვი (რუს) - 2,32; 3. ჯესი უილიამსი (აშშ) – 2,32.

ქალები

100 მ. 1. კარმელიტა ჯეტერი (აშშ) - 10,70; 2. მარშევეტ მაიერსი (აშშ) - 10,76; 3. კერონ სტიუარტი (იამ) - 10,87; **800 მ.** 1. კენი სიკლეირი (იამ) - 1.58,29; 2. კასტერ სემენია (ს. აფრ) - 1.58,88; 3. ჯანეტ ჯეპკოსგეი (კენ) - 1.59,15; **სამხტომი.** 1. ოლგა სალადუჰა (უკრ) - 14,98; 2. ბლესინგ უფოდიამა (აშშ) - 14,06; 3. ანა პიატიხი (რუს) - 13,98; **ჭოკით ხტომა.** 1. ანა როგოვსკა (პოლ) - 4,68; 2. სვეტლანა ფეოფანოვა (რუს) - 4,58; 3. ფაბიანა მიურერი (ბრა) - 4,48; **შუბის ტყორცნა.** 1. კრისტინა ობერგლოფი (გერ) - 65,48; 2. მარია აბაკუმოვა (რუს) - 65,30; 3. ბარბარა შპოტაკოვა (ჩეხ) - 64,87.

■ ■ ■

იუჯინში 100 მეტრზე გამარჯვებული სტივ მალინგსის დრო მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში იყო სეზონის საუკეთესო შედეგი. თანამედროვე სპრინტის ერთ-ერთმა ლიდერმა, ამერიკელმა **ტაისონ გაიმ** კლერმონტში (ფლორიდას შტატი) ნაკლებად წარმომადგენლობით ტურნირზე 100 მეტრი 9,79 წამში გაირბინა.

შეგახსენებთ, რომ წელს გაის მთავარ კონკურენტს უსაინ ბოლტს ჯერჯერობით მოკრძალებული შედეგი აქვს - რომსა და ოსტრავაში მან 9,91 წამი აჩვენა. ბოლტი მსოფლიოს რეკორდის მფლობელია - 9,58 წამი, გაის საუკეთესო შედეგი კი 9,69 წამია. მსოფლიოს ჩემპიონატამდე მათი გზები არ გადაიკვეთება. ამერიკელის მომდევნო სტარტი იქნება შაბათს „ბრილიანტის“ ლიგის“ ნიუ იორკის ეტაპი.

ამბები

კალათბურთი

ფერნანდესი ავარიაში მოყვა

ევროპის მოახლოებული ჩემპიონატის წინ სერიოზულ ტრავმას გადაურჩა ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **რუდი ფერნანდესი**. „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ მცველი იბიცაზე ისვენებს, სადაც სერიოზულ საავტომობილო ავარიაში მოყვა.

ავტობუსი, რომელშიც ფერნანდესი უბრალო მგზავრის სტატუსით იმყოფებოდა, BMW-ის მარკის მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა. როგორც პოლიციის წარმომადგენელი ამბობს, მსუბუქი მანქანის მძღოლმა მართვა დაკარგა, შემხვედრ ზოლში გადავიდა, სადაც ავტობუსი მიდიოდა.

მიუხედავად ამისა, რუდის სამედიცინო შემოწმება არ დასჭირვებია, იმ დროს, როცა BMW-ის მძღოლი ძლივს ამოიყვანეს მანქანიდან და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ჩოგბურთი

ჯოკოვიჩმა პაუზა აიღო

როლან გაროსის ნახევარფინალში განცდილი მარცხის შემდეგ სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** პაუზის აღება გადაწყვიტა. სეზონის ლიდერმა განაცხადი გამოიტანა ლონდონის ტურნირიდან, რომელიც უიმბლდონისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად განიხილება. ჯოკოვიჩმა განაცხადა, რომ დროა ტემპს უკლოს და მინიმუმ ერთი კვირა დაისვენოს მორიგი დიდი ტურნირის წინ.

სწორედ ამის გამო თქვა მსოფლიოს მეორე ჩოგანმა უარი ლონდონში თამაშზე. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ღიაზე **როჯერ ფედერერთან** დამარცხებამდე ჯოკოვიჩს ზედიზედ 43 მატჩი ჰქონდა მოგებული.

ლონდონის ტურნირმა ჯოკოვიჩის გარდა, შესაძლოა, კიდევ ერთი ვარსკვლავი დაკარგოს. ასევე როლან გაროსის ნახევარფინალში დამარცხებული ბრიტანელი ფეხის ტრავმას უჩივის, ამიტომაც მისი მონაწილეობა საშინაო ტურნირში ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ველოსპორტი

კონტადორი მეოთხე ტიტულს უმიზნებს

ჯირო დ'იტალიას გამარჯვებულმა **ალბერტო კონტადორმა** დაადასტურა წელს ტურ დე ფრანსზე გამოსვლა. თანაც ესპანელი ამბობს, რომ საფრანგეთში სტატისტის როლში ყოფნას არ აპირებს და მეოთხედ სურს ფრანგული ველომარათონის მოგება.

„ტურ დე ფრანსზე მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ. თუ ვიგრძნობ, რომ ცუდ ფორმაში ვარ, საფრანგეთში არ წავალ, - ამბობს ესპანელი. - ყოველ წელს ტურში გამოჩნდება ხოლმე ახალი ნიჭიერი ველომრბოლი, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ ენდი შლეკის გამოყოფა შემიძლია. დღეს მას ტურის მოგების ყველაზე დიდი შანსი აქვს“.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2011

UNDER 19

ინგლისი-ესპანეთი	1:1
ჩორნოგორია-შვეიცარია	2:3
მაკედონია-უნგრეთი	2:4
თურქეთი-გერმანია	1:0

ამხანაგური მატჩები

პერუ-ჩეხეთი	0:0
ბრაზილია-ჰოლანდია	0:0
აშშ-ესპანეთი	0:4
ბოლივია-რაპაგვაი	0:2
ავსტრალია-ახ. ზელანდია	3:0
ჩინეთი-უზბეკეთი	1:0
პოლონეთი-არგენტინა	2:1

UNDER 21

ინგლისი-ნორვეგია	2:0
ესპანეთი-რუსეთი	1:1
უკრაინა-საფრანგეთი	1:1

UNDER 20

იტალია-პოლონეთი	1:0

ტულონის ტურნირი

უნგრეთი-მექსიკა	0:2
საფრანგეთი-ჩინეთი	4:0
კოტ დ'ივუარი-პორტუგალია	0:1
კოლუმბია-იტალია	1:1

იტალია

სერია B. პლეი ოფი

ვარეზე-პადოვა	3:3
ნოვარა-რეჯინა	2:2

სერია B. პლეი აუტი

პიაჩენცა-ალბინოლეფე	0:0

სერია C1/A. პლეი ოფი

სორენტო-ვერონა	1:1
ალესანდრია-სალერნიტანა	1:3

სერია C1/A. პლეი აუტი

რავენა-სუდტიროლი	2:1
პერგოკრემა-მონცა	1:0

სერია C1/B. პლეი ოფი

ბენევენტო-იუვე სტაბია	1:1
ატლეტიკო რომა-ტარანტო	2:3

სერია C1/B. პლეი აუტი

კოზენცა-ვიარეჯო	0:1
ტერნანა-ფოლინო	1:1

ესპანეთი

II დივიზიონი

ალბასეტე-უესკა	3:1
პონფერადინა-ხიმნასტიკი	1:1
ლას პალმასი-ტენერიფე	1:0
ხირონა-კორდობა	2:1
სალამანკა-ნუმანსია	2:2
ვალეკანო-ბარსელონა B	2:3
ბეტისი-ვილიარეალი B	2:1
რეკრეატივო-გრანადა	0:0
სელტა-კარტახენა	3:0
ელჩე-ხერესი	4:1
ვალიადოლიდი-ალკორკონი	2:0

ნორვეგია

II დივიზიონი

ბრინი-ჰიონეფოსი	0:1
ჰამ კამი-ნილი	1:0
ლოვ ჰამი-ალტა	1:2
რანდაბერგი-ჰიოდი	2:2
რანჰაიმი-მიონდალენი	3:0
სანდნესი-სანდეფიორდი	1:0
სტრიომენი-ბოდო გლიმტი	1:2

შვედეთი

II დივიზიონი

ბრაგე-ატვიდაბერგი	1:0
დეგერფორსი-ვასტერასი	4:1
ასირისკა-ფალკენბერგი	2:1

ფინეთი

II დივიზიონი

ვიიკინგიტი-ოპს	4:3
კემი-ესპოო	2:0
პკ 35-ჰამეენლინა	2:1
კტპ-კპვ	3:0
ოულუ-ჰიფკ	1:1

ირლანდიის თასი

გრეისტოუნსი-შელბურნი	1:3
დანდალკი-გალვეი	4:1
იაგალი-ბრეი	1:3
საკრედი-ლიმერიკი	2:4

რუსეთი

II დივიზიონი

შინიკი-სკა ენერგია	1:2
გაზოვიკი-სიბირი	2:1
ურალი-ენისეი	0:0
დინამო (ბრ)-ლუჩ ენერგია	1:1
ჩერნომორეცი-ნ. ნოვგოროდი	0:1
ჟუმჩუჟინა-ტორპედო (მ)	2:1
ფაკელი-კამაზ	1:0
ტორპედო (მ)-ვოლგარი	0:0
ხიმკი-მორდოვია	0:6
ბალტიკა-ალანია	0:2

ჩეხეთი

II დივიზიონი

კლადნო-სოკოლოვი	3:3
დუკლა-ძლინი	2:0
ზნოიმო-ჩასლავი	1:1
ჰლუჩინი-სპარტა II	2:3
ვლაშიმი-იჰლავა	0:1
მოსტი-ვიქტორია	0:1
კარვინა-ტრშინეცი	2:1
სლოვანი-სეზიმოვო	3:1

ლატვია

გულბენე-იურმალა	1:1

ესტონეთი

ლევადია-ტამეკა	2:2
კურესაარე-ტულევიკი	0:2

არგენტინა

არსენალი-ოლიმპო	2:0
ბანფილდი-ოლ ბოისი	3:1
კილმესი-ბოკა	2:2
ხიმნასია (ლ-პ)-რასინგი	0:0

ბრაზილია

პალმეირასი-ატ. პარანაენსე	1:0
ფლუმინენსე-კრუზეირო	2:1
სეარა-ბოტაფოგო	2:2
ფიგუერენსე-ატ. გოიანენსე	2:0
ფლამენგო-კორინთიანსი	1:1
გრემიო-ბაია	2:0
კურიტიბია-ვასკო	5:1

ჩილე

პლეი ოფი

უნ. დე ჩილე-ო'ჰიგინსი	7:1

კოლუმბია

პლეი ოფი

მილიონარიოსი-ლა ეკვიდადი	2:2
ატ. ნასიონალი-ტოლიმა	3:1

პარაგვაი

ტაკუარი-სოლ დე ამერიკა	0:1
სერო პორტენიო-ნასიონალი	1:2
3 დე ფებრერო-ოლიმპია	3:2

ურუგვაი

მირამარი-მონტევიდეო	0:4
ნასიონალი-რამპლა	0:2
დეფენსორი-ტაკუარემბო	1:0
სენტრალი-დანუბიო	1:0
ლივერპული-სერო	0:2
ელ ტანკე-ფენიქსი	0:1
პენიაროლი-რასინგი	0:1
რივერ პლეიტი-ბელა ვისტა	2:2

აშშ

ლოს ანჯელესი-დი სი იუნაიტ.	0:0
ტორონტო-კანზასი	0:0
ნიუ იორკი-კოლამბუსი	1:1
დალასი-ნიუ ინგლენი	1:0
ჩიკაგო-სიეტლი	0:0
კოლორადო-ფილადელფია	1:1
სოლტ ლეიკი-ვანკუვერი	2:0
სან ხოსე-ჰიუსტონი	2:0
ჩივასი-პორტლენდი	1:0

კალათბურთი

გერმანია

ბამბერგი-ალბა	90:76

საბერძნეთი

არისი-პაოკ	80:91
პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი	101:94 (ო)

საფრანგეთი

ნანსი-ვილერბანი	89:75

იტალია

ბენეტონი-მონტეპასკი	56:68
მილანი-კანტუ	62:74

რუსეთი

ნ. ნოვგოროდი-სპარტაკი	81:70
ლოკომოტივი-ცსკა	63:79
ხიმკი-უნიქსი	77:56
კრ. კრილია-ენისეი	84:67

თურქეთი

ფენერბაჰჩე-გალათასარაი	81:59

TV პროგრამა

6 ივნისი. ორშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-კორინთიანსი.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ველეს სარსფილდი.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ვალანსიენი.
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პირველი ტურის მიმოხილვა.
16:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. მეორე ტურის მიმოხილვა.
17:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-კრუზეირო.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-კოლონი.
00:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-რენი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ინგლისი ჩემპიონატი. ფულემი-ლივერპული.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მესამე მატჩი.
14:30 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. ფინალი. ქალები. ფრანჩესკა სკიავონე-ნა ლი. პარიზი. საფრანგეთი.
16:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ფინალი. ტულუზა-მონპელიე.
19:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. 1/2 ფინალი. კაცები. როჯერ ფედერერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. პარიზი. საფრანგეთი.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მესამე მატჩი.

SPORT+

04:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფინალი. ბოსტონი-ვანკუვერი. მეორე მატჩი (LIVE).

EUROSPORT

15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 ველოსპორტი. კრიტერიუმ დოფინე. II ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

EUROSPORT-2

18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი-ახალგაზრდული ფესტივალი. ჯგუფური ეტაპი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
23:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. მეხუთე მატჩი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. როლან გაროსი. ფინალები

მეფე ცოცხალია

ნადალის მეექვსე ტრიუმფი

კაცებს როლან გაროსი წესით და რიგით **რაფაელ ნადალისა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** დაპირისპირებით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ საქმეში **როჯერ ფედერერი** ჩაერია, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა სერბი და ამით კარგი სამსახური გაუწია ნადალს - ნოვაკი ფინალში რომ გასულიყო, რაფა ნებისმიერ შემთხვევაში კარგავდა რეიტინგში პირველობას. ესპანელისთვის კლასიფიკაციაში ლიდერობის შესანარჩუნებლად კიდევ ერთი აუცილებელი პირობა იყო გუშინდელი ფინალის მოგება.

ნადალისა და ფედერერის დუელი XXI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სპორტული დაპირისპირებაა. სწორედ აქ ამსხვრევდა ნადალი როჯერის ოცნებებს „კარიერული შლემის" მოპოვებაზე. საბოლოოდ, ფედერერმა 2009 წელს ოცნება მაინც აისრულა, მაგრამ მაშინ გზად ნადალს არ გადაყრია. მათ არც შარშან უთამაშიათ ერთმანეთში, ასე რომ, ფრანგული პუბლიკა მოუთმენლად ელოდა ამ ბრწყინვალე ჩოგბურთელების ახალ დუელს.

როლან გაროსზე როჯერისა და რაფაელის ურთიერთშეხვედრებს ერთი თავისებურება ახასიათებდა - გამარჯვებული ყოველთვის ნადალი გამოდიოდა, ერთხელ კი საქმე სრული განადგურებით დასრულდა. მაგრამ ამჯერად თითქმის ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ცალმხრივი თამაში არ გამოვიდოდა. ჯერ ერთი, ნადალი ბოლო დროს ისე მრისხანედ არ გამოიყურება, როგორც წინა წლების გრუნტის სეზონებში. პირველ წრეში მან ხუთი სეტი ითამაშა ამერიკელი **ჯონ ისნერის** წინააღმდეგ, თუმცა ტურნირის მსვლელობისას მოუმატა თამაშს და ფინალს ზედიზედ 17 მოგებული სეტით შეხვდა. რაც შეეხება ფედერერს, არც ისე წარმატებული გრუნტის სეზონის მიუხედავად, როლან გაროსს სპორტული ფორმის პიკზე შეხვდა. ჯოკოვიჩთან ნახევარფინალამდე მას სეტი არ ჰქონდა წაგებული, ნოვაკის წინააღმდეგ კი ამ სეზონში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

პირველი სეტის პირველ ნანილში ფედერერის არგუმენტები უფრო მყარი იყო. შვეიცარიელმა უბრალოდ „გადაუარა" მეტოქეს და წინ გაიჭრა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 5:2-ზე მიღებისას ფედერერს სეტბოლიც ჰქონდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ცუდად შეასრულა მოკლე დარტყმა. შემდეგ როჯერს ნაკლებად შეელოდა მოწოდება და მისი მხრიდან შეცდომებმაც იმატა. ნადალმა კი ბეწვის ხიდზე გაიარა და ინიციატივა მოიპოვა. საბოლოოდ, პირველმა ნომერმა ზედიზედ ხუთი გეიმი და მასთან ერთად სეტი მოიგო - 7:5.

იმ მომენტში რაფა უბრალოდ არ ცდებოდა. როჯერი ბევრს ინდომებდა იმისთვის, რომ მისი ჩამორჩენა მხოლოდ ერთი ბრეიკი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ესპანელი უშეცდომო არ არის და მისი ერთადერთი მოდუნებით ისარგებლა ფედერერმა, რომელმაც ბრეიკი დაიბრუნა. თუმცა იქვე რაფაელმა კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება და სეტზე ჩაწოდების უფლება მიიღო. სწორედ ამ დროს წვიმა წამოვიდა და პირველად ამ როლან გაროსზე მატჩი უამინდობის გამო შეწყდა. ანგარიში 40:40 იყო და ნადალს ორი ბურთი აშორებდა მეორე სეტის მოგებას.

პაუზა მხოლოდ 10 წუთი გაგრძელდა. პირველივე გათამაშების შემდეგ ნადალმა სეტბოლი მიიღო, მაგრამ ფედერერი ამისთვის მზად აღმოჩნდა. შვეიცარიელმა ბოლომდე მაინც ვერ შეძლო ინიციატივის მოპოვება, ტაი-ბრეიკზე კი ძალიან ბევრი უზუსტობა დაუშვა. ნადალმა კიდევ ერთი სეტი მოიგო.

მესამე პარტიის შუაში ესპანელმა მოახერხა მეტოქის მოწოდების მოგება და თითქოს ყველაფერი ძალიან მალე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ როჯერმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა. მან საჭირო მომენტში მოუმატა თამაშს და რაფაელს როლან გაროსზე მეოთხე სეტი მოუგო.

ფსიქოლოგიური უპირატესობა, თითქოს ფედერერის მხარეს გადავიდა, რომელმაც მეოთხე სეტის პირველივე გეიმში სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო. მაგრამ ნადალმა სერიოზული საფრთხე თავიდან აიცილა და შემდეგ ინიციატივა მთლიანად მის ხელში გადავიდა. რაფამ 1:1-დან ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო. მან პირველივე მატჩბოლიდან წერტილი დაუსვა შეხვედრას - 7:5, 7:6(3), 5:7, 6:1. ამჯერად ის არა ზურგზე, არამედ მუხლებზე დაეცა.

ნადალმა მეექვსედ მოიგო როლან გაროსი და ამ მაჩვენებლით გაუსწორდა რეკორდსმენ **ბიორნ ბორგს**. *„ვულოცავ როჯერს. როგორც ყოველთვის, მან ფანტასტიკური ჩოგბურთი აჩვენა. კარგი მატჩი გამოგვივიდა. მადლობას ვუხდი ჩემი ოჯახის წევრებს, ჩემს გუნდსა და გულშემატკივრებს"*, - განაცხადა ესპანელმა დაჯილდოების ცერემონიის დროს.

ნადალმა მეათედ მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი და ახლა მეექვსე ადგილს იყოფს **ბილ ტილდენთან**. ამ დუეტზე წინ არიან როჯერ ფედერერი - 16 ტიტული, **პიტ სამპრასი** - 14, **როი ემერსონი** - 12, **როდ ლეივერი** და **ბიორნ ბორგი** - 11...

ესპანელმა შეინარჩუნა პირველი ადგილი რეიტინგში, თუმცა ჯოკოვიჩი ძალიან მიუახლოვდა რაფას. სხვათა შორის, უიმბლდონზე ნადალს ასევე ტიტული აქვს დასაცავი. შესაბამისად, მან, შესაძლოა, ლონდონის ბალახზე გამარჯვების შემთხვევაშიც დაკარგოს პირველი ადგილი. მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა, მანამდე კი რაფაელმა დამტკიცა, რომ კვლავაც „გრუნტის მეფედ" რჩება.

ფინალი

რაფაელ ნადალი (1)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 3) 7:5, 7:6(3), 5:7, 6:1.

ნა ლი ახალ ისტორიას წერს

ბედნიერი ჩინელი

ჩინელმა **ნა ლიმ** როლან გაროსისა და მთლიანად ჩოგბურთის ახალი ისტორია შექმნა. ამიერიდან ის პირველი აზიელი ჩოგბურთელი იქნება, ვინც „დიდი სლემის" ტურნირის მოგება შეძლო. შაბათს, ლიმ ფინალში შარშანდელი ჩემპიონი **ფრანჩესკა სკიავონე** დაამარცხა.

სკიავონემ წელს აშკარად ჩააგდო გრუნტის სეზონი, თუმცა იტალიელმა განაცხადა, რომ მიზანმიმართულად ემზადებოდა როლან გაროსისთვის და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს სიტყვები სიმართლეს შეესაბამებოდა. ასევე არასტაბილური ბოლო თვეების შემდეგ ნა ლიც დამაჯერებლად გავიდა ფინალში, თუმცა გადამწყვეტ მატჩში მისი გამოჩენა მაინც დიდი მოულოდნელობა იყო.

ეს გახლდათ ბოლო 25 წლის განმავლობაში როლან გაროსის ყველაზე „ასაკოვანი" ფინალი. მაშინ 1986 წელს პარიზში ტიტულისთვის იბრძოდა ორი ლეგენდარული ამერიკელი და 31 წლის **კრის ევერტმა** 29 წლის **მარტინა ნავრატილოვას** სამ სეტში აჯობა. რა თქმა უნდა, ეს ფინალი მაშინდელს შემადგენლობით ვერ შეედრებოდა, მაგრამ მაყურებლებს დაძაბული ბრძოლის იმედი მაინც ჰქონდათ.

ნა ლი კორტზე მაქსიმალურად მობილიზებული გავიდა. უკანა ხაზიდან უძლიერესი დარტყმებით სკიავონეს არ მისცა მისი საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენების შანსი, რომელიც რიტმის მუდმივ ცვლასა და სხვადასხვა სიგრძისა და სიმაღლის დარტყმის შესრულებაში გამოიხატება. ამან ჩინელს მეხუთე გეიმში ბრეიკი მოუტანა, რის შემდეგაც შეხვედრა მამაკაცების დაპირისპირებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალებისას. მეტოქეები დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს. მხოლოდ ერთხელ ლის გეიმში 30:30 დაფიქსირდა, მაგრამ აზიელი არ შედრკა და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

მეორე სეტში ნა ლიმ კიდევ უფრო გააქტიურა მიღებაზე თამაში, რასაც ფრანჩესკამ ვერაფერი დაუპირისპირა. ჩინელმა პირველივე გეიმში ბრეიკი გააკეთა, შემდეგ კი იოლად აუღო ალღო მეტოქის ცოტათი გაუმჯობესებულ თამაშს. ლის მუდმივად ჰქონდა ბრეიკ-პოინტები, მაგრამ მნიშვნელოვან მომენტებში სკიავონეს მოწოდება შველოდა, 3:4-ზე კი მას უკუბრეიკი გამოუვიდა. ჩინელი ოდნავ ანერვიულდა, სკიავონემ კი საბოლოოდ იპოვა საკუთარი თამაში - მოედნის კუთხეში ათავსებდა დარტყმებს, ბადესთან ხშირად გადიოდა და იქ ეფექტურად ასრულებდა შეტევებს... რამდენჯერმე სკიავონეს ერთი ქულა დააკლდა სეტბოლამდე. დაძაბულობა იზრდებოდა, რომლის კულმინაციაც უნდა გამხდარიყო მეორე სეტის ტაი-ბრეიკი.

მაგრამ ყველაფერი ძალიან მარტივად დასრულდა. თითქოს მცირე უპირატესობა იტალიელის მხარეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლიმ შესანიშნავად წარმართა „საჩოგბურთო ლატარია". ჩინელმა „შემოკლებულ გეიმში" ერთი ქულაც არ მისცა მეტოქეს, რის შემდეგაც ბედნიერი დაეცა კორტზე.

ნა ლიმ, რომელიც „დიდი სლემის" ტურნირის პირველი აზიელი გამარჯვებულია, თასი 1971 წლის ჩემპიონისგან, ავსტრალიელ **ივონ გულაგონგისგან** მიიღო, რის შემდეგაც მოკლე სიტყვა წარმოთქვა: *„რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ. ეს უდიდესი დღეა ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვის. ვნერვიულობდი, თუმცა ვცდილობდი ეს არავის შეემჩნია. მატჩი ჩემთვის კარგად ვითარდებოდა, 6:4, 4:2-ს ვიგებდი, მაგრამ ამ მომენტში ყველაფერი შეიცვალა. მოხარული ვარ, რომ გავძელი და მატჩი ორ სეტში დავასრულე. რა თქმა უნდა, გაისადაც ვაპირებ აქ ჩამოსვლას და ტიტულის დაცვას"*.

ნაგების მიუხედავად, სკიავონეს რეიტინგში ბევრი არ დაუკაგავს - გუშინ ის მეხუთედან მეშვიდე პოზიციამდე ჩამოქვეითდა და წინ გაუშვა ნა ლი და **მარია შარაპოვა**. რუსი მეექვსე ნომერი გახდება, ჩინელი კი **ვიქტორია აზარენკასაც** გაასწრებს და საუკეთესო ოთხეულში შევა. აზიის წარმომადგენელთაგან ბოლოს ასეთი შედეგი 1995 წელს იაპონელ **კიმიკო დატეს** ჰქონდა.

ფინალი

ნა ლი (ჩინ, 6)-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5) 6:4, 7:6(0).

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიფვილმა